

გია ქირია



---

სასამართლო გადაწყვეტილებათა  
გადასინჯვის  
თეორიულ-პრაქტიკული  
კომენტარები

---

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის მიხედვით

თბილისი 2002

გია ქირია

სასამართლო გადაწყვეტილებათა  
გადასინჯვის  
თეორიულ-პრაქტიკული  
კომენტარები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის მიხედვით



ნაშრომი შესრულებულია ჯონ დ. და კეტრინ ტ. მაკარტურების  
ფონდის სტიპენდიის ფარგლებში

თბილისი 2002



347.95 + 397.956

საქართველოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში



Gia Kiria

**THEORETICAL-PRACTICAL COMMENTS OF REVISION  
OF THE JUDICIAL DECISIONS On Civil-Procedural  
Courts Of Georgia**

ს. კირია

Гия Кирия

**ТЕОРЕТИЧЕСКО-ПРАКТИЧЕСКИЕ КОММЕНТАРИИ  
ПЕРЕСМОТРА СУДЕБНЫХ РЕШЕНИЙ  
по Гражданско-процессуальному кодексу Грузии**

F 106<sub>3</sub> 484

The work is done within the limits of **The John D. and Catherine T. MacArthur Foundation's** grant

Работа выполнена в рамках стипендии **Фонда Джона Д. и Кэтрин Т. Макартуров**

© გ. ქირია. საავტორო უფლებები დაცულია  
დიზაინი და გამოცემა - გ. ცინცაძე  
ტირაჟი 1500



## ს ა რ ჩ ე მ ე ბ ი

### თავი I

სამოქალაქო პროცესის პრინციპების არსი სამოქალაქო დავების  
განხილვის დროს

5

### თავი II

აპელაცია

52

შესავალი

52

§ 1. აპელაციის დასაშვებობა

76

§ 2. სააპელაციო საჩივრის შეტანის წესი

81

§ 3. სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა თუ უარის  
თქმის საფუძვლები

85

§ 4. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში

88

§ 5. სააპელაციო სასამართლოს განჩინებები და

გადაწყვეტილებები

96

### თავი III

კასაცია

101

შესავალი

101

§ 1. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები

112

§ 2. საქმის განხილვის წესი საკასაციო სასამართლოში

116

✓ § 3. შეგებებული საკასაციო საჩივარი

✓ §4. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

120

§ 5. საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება

121

✓ § 6. საკასაციო სასამართლოს განჩინებები და

გადაწყვეტილებები

124

P. S.

126

გამოყენებული ლიტერატურა

129

SUMMARY

152

РЕЗЮМЕ

161

## თავი I

# სამოქალაქო პროცესის პრინციპების არსი სამოქალაქო დავების განხილვის დროს

ქართული სახელმწიფო, დაადაგა რა სამართლებრივი, ღია საზოგადოების მშენებლობას, სამართლებრივი (სასამართლო) რეფორმების გზით ცდილობს ქვეყანაში დაამკვიდროს ახალი, არატრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტები, რაც საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციისათვის აღრუ უცნობი იყო. კერძოდ, სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა წარმოება გადავიდა საშეჯიბრო (Adversarial) საწყისებზე, ნაცვლად ე.წ. ინკვიზიციური (Inquisitorial), სამებრო პროცესისა.

ქვეყანაში, სამოქალაქო საქმეთა წარმოებისას დამკვიდრდა ჩვენთვის ისეთი ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორცაა აპელაცია და სრულიად ახალი სამართლებრივი ბუნების მქონე კასაცია.

აღნიშნულ სამართლებრივ ცვლილებებს მოუმზადებელი შეხვდნენ როგორც უბრალო მოქალაქეები, ასევე პროფესიონალი იურისტებიც. ამიტომაც, საზოგადოებისა და სახელმწიფო ხელისუფლების, ამ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლების, ჰარმონიული თანაარსებობისათვის, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამოქალაქო საქმეებზე - სასამართლო გადაწყვეტილებათა თეორიულ-პრაქტიკული კომენტირება.

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა ხელს შეუწყობს:

ა) საზოგადოების გათვითცნობიერებას, ახალი სამართლებრივი კონცეფციის აღქმაში. აღნიშნული ფაქტორი გახდება იმის წინაპირობა, რომ ამდღედ საზოგადოების სამართლებრივი მენტალიტეტი და მთლიანად ქვეყანაში ჩამოყალიბდება სამართლებრივი ცნობიერების კულტურა.

ბ) მოსამართლეთა მრავალრიცხოვან კორპუსს - კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტ და ერთგვაროვან აღქმაში.

აქედან გამომდინარე, ვთვლით: სამოქალაქო, ღია და სამართლებრივი საზოგადოების შექმნისათვის აუცილებელია ქვეყნის სასამართლოებში კერძო დავების განხილვისას ისეთი სამართლებრივი პროცედურა იქნას დანერგილი, რომლებიც საშუალებას მისცემს:

ა) საზოგადოებას - სასამართლოებში საქმეთა განხილვის საჯაროდ, საქვეყნოდ წარმართვის პრინციპიდან გამომდინარე (საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 9 მუხლი), უკეთ გაეცნოს სამართლებრივ კონცეფციას.

კონკრეტულ შემთხვევაში, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას უცხადებს ნდობას, თავიანთი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება სასამართლოების მხრიდან გაუმჯობესებული მომსახურებით, რაც პირდაპირ კავშირშია სასამართლოების მუშაობის რეგლამენტაციასთან.

ბ) სასამართლოებს (მოსამართლეებს) - კერძო დავების გადაწყვეტისას თავიანთი უფლებამოსილება განახორციელონ მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესუალური მეცნიერებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრინციპებს, რამდენადაც ეს არის ის ძირითადი იდეები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო მეცნიერების არსი და დებულებები და რომლებზეც დაფუძნებულია სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში.

სწორედ, პრინციპების არსიდან გამომდინარე დღევანდელი სამოქალაქო პროცესი არსებითად განსხვავდება ადრე მოქმედი სამოქალაქო პროცესისაგან, რამდენადაც მათ შორის სხვაობა განპირობებულია სამართლებრივ კონცეფციებს შორის სხვაობით.

სამოქალაქო პროცესში საქმეთა განხილვისას პრინციპების სწორ აღქმასა და გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ, რამდენადაც მათ უნდა უზრუნველყონ:

ერთის მხრივ - სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის ერთგვაროვანი და სწორი გამოყენება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, რაც საწინდარი გახდება სასამართლო ხელისუფლების როლისა და ავტორიტეტის ზრდის.

მეორეს მხრივ - პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რაც თავის მხრივ შექმნის საფუძველს სასამართლო ხელისუფლების, მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოების ჰარმონიული თანაარსებობისა.

ორივე ეს ფაქტორი კი გახდება წინამძღვარი სამოქალაქო, სამართლებრივი და ღია საზოგადოების აშენებისათვის.

დღესდღეობით საზოგადოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს, რაც მრავალი ფაქტორითაა





განპირობებული. მათ შორის მნიშვნელოვანია კონცეპტუალური სტრატეგია დღეს და ადრე მოქმედ სამოქალაქო პროცესუალურ კანონმდებლობას შორის.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დანერგილი სამართლებრივი ნიპილიზმი არის გამოძახილი საბჭოური სამართლებრივი კონცეფციისადმი უნდობლობისა, რასაც მივყავართ ე.წ. რეფლექსური შიშის ფაქტორამდე კერძო დავების სასამართლო წესით განხილვისას. ამიტომაც, საზოგადოების ეს ნაწილი ყველანაირად ცდილობს არაკანონიერი გზით, სასამართლოსაგან შორს დგომის პოზიციით აღიდგინოს თავისი დარღვეული ან სადაოდ გამზდარი უფლებები.

სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი გახლავთ, როგორც ამას სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს - სასამართლოების მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა არაერთგვაროვანი აღქმა და პრაქტიკაში დანერგვა.

სასამართლოების მხრიდან სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულებელყოფა განპირობებულია პრინციპების არსისა და სამართლებრივი ბუნების არასწორი ინტერპრეტაციით.

როგორც სასამართლო პრაქტიკის ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის პრინციპების დარღვევა განაპირობებს სასამართლოებში:

- დავების განხილვის გაჭიანურებას, თვეების განმავლობაში გარკვეული კატეგორიის საქმეებზე პროცესუალური მოქმედების შეუსრულებლობას საქმის წარმოების შეჩერების გარეშე;
- გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობას, როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური კუთხით;

• ე.წ. არაკეთილსინდისიერი მხარეების წახალისებას, რათა მათ მიერ მოხდეს გასაჩივრება საქმის ზემდგომ ინსტანციაში განსახილველად და ა.შ.

სასამართლო ხელისუფლების ადგილისა და მნიშვნელობის დადგენისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქმის განხილვის წესს, იმას თუ საქმე როგორ არის განხილული, რა წესისა და მოთხოვნის საფუძველზე.

სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმას, რომ ყოველი პირისათვის, ეს იქნება მოსარჩელე, მოპასუხე, თუ III პირი, უზრუნველყოფილი იქნას უფლებათა სასამართლო წესით დაცვა, რამდენადაც

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში განმარტებულია "ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლებათა სასამართლო წესით დაცვა" და ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს უარი უთხრას პიროვნებას მის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებაზე, იმ ერთადერთი ორგანოს მეშვეობით, რომელიც სახელმწიფოში ფუნქციონირებს, გარდა კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა. კონკრეტულად, როდესაც სარჩელი შეტანილი იქნა არასათანადო პირის მიერ, ან მოპასუხე იქნა არასათანადო მოპასუხედ დასახელებული და სხვა შემთხვევებისა, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს.

პიროვნებისათვის უარის თქმა იმის შესახებ, რომ მან სასამართლო წესით განახორციელოს თავისი უფლებების დაცვა იგივეა, რაც მართლმსაჯულების გამოყენებაზე უარის თქმა. ქვეყნისათვის ასეთი ტენდენცია საგანგაშო უნდა გახდეს. რადგან სახელმწიფო თვით უნდა იყოს დაინტერესებული, რათა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის კერძო ხასიათისა, კანონის ფარგლებში დაცული იქნას სასამართლო ხელისუფლების გზით. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა კი გვიჩვენებს, რომ სამწუხაროდ სწორედ ისეთ პირობებში, როდესაც ქვეყანა უარს ამბობს მართლმსაჯულების განხორციელებაზე, შეუძლებელი ხდება საუბარი სამართლებრივ საკითხებზე და პოლიტიკური სისტემის სრულყოფაზე, რომ არაფერი ითქვას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის 1948 წლის 10 დეკემბრის საყოველთაო დეკლარაციის მოთხოვნათა შესრულებაზე.

აღსანიშნავია, რომ 1950 წლის 4 ნოემბერს მიღებულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის VI მუხლში პირდაპირ დაფიქსირებულია: "ყველას აქვს უფლება საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად განიხილოს მისი საქმე კანონის შესაბამისად დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ სამართლინად, საჯაროდ და გონივრულ ვადაში"<sup>1</sup>.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

სასამართლოს მიერ სწორედ სამართლებრივი კუთხით უნდა იქნეს დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილონ უფლების დაცვის სასარჩელო თუ საქმეთა წარმოების სხვა ფორმების მიმართ.

<sup>1</sup> სამართლიანი სასამართლოს უფლება - თბილისი 2001 წ. გვ.15.



საგულისხმოა ისიც, რომ სასამართლომ დაინტერესებულ პირად ჩათვალოს ის პირი, რომელიც სასამართლოს თავისი დარღვეული ან სადაოდ გამხდარი უფლებების დასაცავად მიმართავს. პირო, რომელიც სასამართლოს სხვა პირის უფლებების დასაცავად მიმართავს არ შეიძლება ჩათვალოს დაინტერესებულ პირად. სამოქალაქო საპროცესო სასამართლოში ასეთი პირები კანონმდებლის მიერ განხილულნი არიან როგორც წარმომადგენლები, რომლებიც სხვა პირთა უფლებებს წარმოადგენენ.

პირის სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დასაცავად კანონმდებლის მიერ დადგენილი წესით საკმარისია იმისათვის, რათა სასამართლომ ჩათვალოს, რომ უფლების დარღვევას ნამდვილად ადგილი აქვს და ამას იგი მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის შედეგად გაარკვევს.

ამიტომაც, სამოქალაქო საქმეების არსებითად განხილვისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს, რომელიც წარმოადგენს პიროვნების კანონით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების გარანტს. სწორედ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლოს უფლებამოსილება ფუნქციონირების მიხედვით სამ კატეგორიად იყოფა:

1. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება სასამართლოს ის უფლება, რომელიც უშუალოდ არის მიმართული მხარეთა მოთხოვნების შემოწმებაზე და რომელზეც არის დაფუძნებული საპროცესო მასალის აღქმა, შეფასება და აქედან გამომდინარე, საქმის ფაქტური მხარის დადგენა და გადაწყვეტილების მიღება;
2. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება სასამართლოს ის უფლება, რომელიც თვით პროცესის წარმართვასთანაა დაკავშირებული და
3. მესამე კატეგორიას მიეკუთვნება ის უფლება, რომელიც გამომდინარეობს რა მეორე კატეგორიის უფლებიდან, უშუალოდ მიმართულია საქმის არსებითად განხილვის დროს სასამართლოში წესრიგის დამყარებისაკენ.

სწორედ, საქმის განხილვის წესისა და თავისებურებებს პასუხობს სამოქალაქო პროცესუალური პრინციპები.

როგორც სამოქალაქო საქმეთა პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, სასამართლოში კერძო დავების განხილვის დროს დარღვევათა აბსოლუტური უმრავლესობა სამოქალაქო პროცესუალური მეცნიერებაში არსებული



პრინციპების არასწორი აღქმით არის განპირობებული ერთი მხრივ საზოგადოებისა და მეორეს მხრივ სასამართლოს მხრიდან.

სასამართლოს უფლება არა აქვს უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ სამართლის ნორმა არ არსებობს ან ასეთი გადაწყვეტა მას არაზნეობრივად მიაჩნია. ამ შემთხვევაში საინტერესოა მატერიალური კანონმდებლობის, სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი, რომელიც პირდაპირ აფიქსირებს ამ ფუნდამენტურ მოთხოვნას სასამართლოსადმი.

კერძო სამართლებრივი დავების დროს, თუკი ნორმა არ არსებობს კანონმდებლობაში ამ დავის განხილვისას, სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური ნორმების სახით კანონისა და სამართლის ანალოგია.

სწორედ, ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ სასამართლოების რეალურ და არა ფორმალურ დამოუკიდებლობას.

პროცესუალური ნორმების დარღვევათა უმრავლესობა დღევანდელი, ახალი სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი კონცეფციით არსებული პრინციპების არასწორ კონცეპტუალურ აღქმაზე არის დაფუძნებული. რამდენადაც, ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოები, დავების განხილვისას მოქმედებენ დიამეტრულად. განსხვავებული - საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციისათვის დამახასიათებელი სამოქალაქო პროცესის პრინციპებით.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზე, რომლებიც დამახასიათებელია როგორც დღევანდელი, ასევე საბჭოური სამართლებრივი კონცეფციისათვის.

აღნიშნულ პრინციპებს შორის კონცეპტუალური განსხვავება უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმ განსხვავებით, რაც არსებობს საშეჯიბრო და ინკვიზიციურ პროცესებს შორის.

ინკვიზიციურმა პროცესმა თავისი კლასიკური ფორმით არსებობა შეწყვეტა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. ბურჟუაზიულ რევოლუციას არ შეიძლებოდა არ ემოქმედა მართლმსაჯულების სისტემაზე. ამის მაგალითად გამოდგება საფრანგეთი, სადაც XVIII საუკუნის რევოლუციის დროს მოხდა სერიოზული ცვლილებები დავის განხილვის პროცესში. მრავალი ახალი პრინციპი იქნა ულპარაკოთ მიღებული ფრანგული მართლმსაჯულების მიერ:

ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტი, სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობა, მაგრამ წერილობითი პროცესიდან ზეპირზე გადასვლამ გამოიწვია ცხარე დისკუსია. “ისინი ფიქრობდნენ, რომ ბრალდებულებს და მათ მეგობრებს, ადვოკატებს, მოწმეებს არ ეცოდინებოდათ ვისთვის მიემართათ და ესმინათ, რომ ისინი არ დააციდნენ ერთმანეთს ლაპარაკს, უწესრიგოდ ჩაეჭიდებოდნენ ფაქტებს, აურევდნენ მათ”<sup>1</sup>. მათ წინააღმდეგობას უწევდნენ ზეპირი პროცესის მომხრეები: “... ტონი, მოწმის გამოხატვა, მისი ჩარევა ან რწმუნება, ასჯერ მეტად არის გაჟღერებული სიმართლით, ვიდრე პირობითი და მეტაფიზიკური სიტყვების ენა”<sup>2</sup>.

რუსეთში სასამართლო რეფორმამ 1864 წელს კარდინალურად შეცვალა სამართალწარმოება, შემოიტანა მასში ახალი პრინციპები. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო რეფორმები, რომლებიც გამოწვეულია ბურჟუაზიული რევოლუციების ცხოვრებაში, იყო პირველი დაახლოება მართლმსაჯულების ორი სისტემისა.

თანამედროვე კონტინენტალურ სამართლებრივ სისტემაში ინკვიზიციური პროცესის თავისებურებები, აღებულია შეჯიბრობითობის სისტემისაგან. ერთი მხრივ არ შეიძლება ვთქვათ, რომ დაახლოება მიმდინარეობს ერთი მხრიდან. ეს ორმხრივი პროცესია, ერთიც და მეორე სისტემა იღებენ ამა თუ იმ დონემდე საწინააღმდეგო მხარის ზოგიერთ თვისებას.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია სამართლებრივი სისტემის ზეგავლენით იყოფა ორ მიმართულებად. პირველ რიგში, ეს არის სამართლებრივი სისტემის დარგების აღქმა, აგრეთვე ნორმატიული აქტების და სხვა ელემენტებისა - მეორე, სამართლებრივი სისტემიდან. მეორე რიგში, ეს არის ერთმანეთის იდეების აღქმა, პრინციპების, იურიდიული კონსტრუქციებისა და სხვა<sup>3</sup>.

პირველი მიმართულება დამახასიათებელია საერთოდ არა საკმარისად განვითარებული ქვეყნებისათვის, რომლებიც არიან განვითარების სტადიაზე. ინკვიზიციური და შეჯიბრობითობის სისტემები განვითარებულია, ამიტომ არ შეიძლება ლაპარაკი მათ უბრალო თანამშრომლობაზე ერთმანეთის სამართლებრივ ინსტიტუტებთან. თუმცა ეს გამორიცხული არ არის.

<sup>1</sup> Щербан Н. Суд, магистратура и адвокатура во Франции. Русский вестник. 1858, №5, с.7.

<sup>2</sup> Щербан Н. - დასახელებული ნაშრომი, გვ.213.

შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი დამახასიათებელი მიმართულებები შეჯიბრობითი და ინკვიზიციური სისტემების მართლმსაჯულების დაახლოებებისა.

მიმართულება პირველი. როგორც უკვე ითქვა კონტინენტალური სამოქალაქო პროცესის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანია კანონის უზენაესობა კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და ცხოვრების ყველა სფეროში. აღნიშნული ნიშნავს სამოქალაქო პროცესულური კოდექსის არსებობას. ამასთან, დღეს შეჯიბრობითობის სისტემის ქვეყნებში ჩნდება მართლმსაჯულებაში კანონის როლის ამღლების ტენდენცია, რაც ადრე მისთვის არ იყო დამახასიათებელი. ინგლისში სტატუტური სამართალი ე.ი. სამართალი, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ, გახდა ერთ-ერთი უმთავრესი სამართლის წყარო. მაგრამ ლაპარაკი ორ მსგავს სისტემაზე შეუძლებელია, რადგან ინგლისის საკანონმდებლო აქტები განსხვავდებიან ევროპულისაგან. ინგლისის სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო ბევრს ლაპარაკობენ სამოქალაქო პროცესულური კოდექსის მიღების აუცილებლობაზე<sup>4</sup>. ამერიკის შეერთებული შტატების მრავალ შტატში ეს კოდექსები არსებობენ. ამერიკული კოდიფიკაცია განსხვავდება ევროპულისაგან, მაგრამ ამ ქვეყანაში მისი აუცილებლობა გამოწვეულია საერთო სამართლით.

და პირიქით, ჩვენ მივეჩვიეთ ვილაპარაკოთ სასამართლო პრეცედენტზე, როგორც შეჯიბრობითობის პროცესის დამახასიათებელ ნიშანზე. ამასთან პრაქტიკის როლი კონტინენტალურ პროცესში თანდათან იზრდება. საფრანგეთში ხდება მოსამართლეთა კანონშემოქმედების გაძლიერება. გერმანიაში, არგენტინაში, შვეიცარიაში, პორტუგალიაში გადაისინჯა მოსამართლეთა ვალდებულებები - მიყვენ თუ არა განსაზღვრულ პრეცედენტს, ანუ იმ გზას, რომელიც დადგინა პრეცედენტმა<sup>5</sup>. იტალიაში საკასაციო სასამართლო ადგენს პრინციპებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მოსამართლეებმა, როდესაც მიიღებენ საქმეს ხელახალი განხილვისათვის<sup>6</sup>. თავის დროზე, მაგალითად ირლანდიაში, რომელიც საერთო სამართლის ქვეყანაა, ახალი კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით, გაჩნდა ახალი სფერო პრეცედენტის გამოყენებისა.

<sup>4</sup> Jacob. J. Op.cit. p.67.

<sup>5</sup> Давид Р. Фитиотелули ნაშრომი, გვ.141.

<sup>6</sup> Попов Н. Верховный кассационный суд Италии. Вестник Верховного суда СССР. 1991, №12, с.29.



სასამართლო პრეცედენტმა შეიძლება შეასრულოს ორმაგი როლი. ერთი მხრივ, ჩამოაყალიბოს მდგომარეობა, რომელიც არ არის ნორმატიული აქტებში, მეორე მხრივ კი - შეეხონ ან განიხილონ მოქმედი სამართლის მუხლები და საჭიროების შემთხვევაში გამოცვალონ ისინი.

და ისევ საუბარია არა ორი სისტემის შერევაზე, არამედ მხოლოდ მათ დაახლოებაზე. ქართული და ინგლისური პრეცედენტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რიგი გარემოებით. პირველ რიგში უმაღლესი სასამართლოს დადგენილება, რომ გადაწყვეტილება გამომდინარეობდეს სასამართლო პრაქტიკიდან, არ წარმოადგენდეს აუცილებლობას გამოვიყენოთ ის კონკრეტულ საქმეზე.

საქართველოს განსხვავება შეჯიბრობითობის სისტემის ქვეყნებთან მდგომარეობს იმაში, რომ ქართული სასამართლოები ემყარებიან უკვე არსებულ პრაქტიკას და არ ცდილობენ გადაწყვიტონ რომელიმე ახალი პრეცედენტი.

მიმართულება მეორე. როგორც შეჯიბრობითობის, ისე კონტინენტალურ სისტემაში არსებობს დამოუკიდებელი რეგლამენტი საქმის განხილვისა, სხვადასხვა კატეგორიის უმაღლეს საქმეზე. საგრაფო სასამართლოებში და ინგლისის უმაღლეს სასამართლოში მოქმედებს სხვადასხვა წესები სამოქალაქო საქმეების განხილვისა. იგივე შეინიშნება ამერიკის შერთებული შტატების სააპელაციო სასამართლოში. ამ ქვეყნის სასამართლო ორგანოები იყენებენ, როგორც წესი, საქმის განხილვის პროცედურის გამოთხოვნას.

ახალი სამართლებრივი კონცეფციის თანახმად სასამართლო რეფორმის უმთავრესი ნიშანია ის, რომ სამოქალაქო პროცესის დიფერენცია მოხდეს სასამართლოების სახეობის მიხედვით<sup>1</sup>.

მოსმენის პროცედურა სამოქალაქო საქმეებზე ქართული სასამართლოების ყველა ინსტანციაში ერთნაირია.

მიმართულება მესამე. ორივე სისტემის ქვეყნების მართლმსაჯულებაში მოქმედებს ისეთი პრინციპები, როგორიცაა მაგალითად: ერთპიროვნულობა და კოლეგიალობა საქმის განხილვის დროს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე შეიძლება განიხილოს ერთპიროვნულად ან კოლეგიურად. სააპელაციო და საკასაციო განხილვები ხორციელდებიან, როგორც წესი, კოლეგიალურად. ჩვენ არ წარმოვადგენთ გამოწვევის ამ წესებიდან. სამოქალაქო საქმეების უმრავლესობა პირველ ინსტანციაზე

<sup>1</sup> Концепция судебной реформы в РФ., М., 1992, с.99



განხილვა ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ზოგიერთ შემთხვევაში კოლეგიურად. სააპელაციო და საკასაციო წესით სამოქალაქო საქმეების განხილვები ხორციელდება კოლეგიურად.

საქმის კოლეგიური განხილვის ერთ-ერთი ასპექტია - ამჟამად რამდენიმე მოსამართლისა და წინათ მსაჯულთა მონაწილეობა. დიდხანს მსაჯულები იყვნენ სიმბოლო მართლმსაჯულების შეჯიბრობითობის სისტემის, თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ინგლისში დღემდე შემორჩენილია, მაგრამ თითქმის არ გამოიყენება სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტის დროს. ინგლისელმა მოსამართლეებმა სამოქალაქო საქმეების მსაჯულების გარეშე განხილვა დაიწყეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მის შემდეგაც აღარ გამოუყენებიათ. მაგრამ დღესდღეობით რუსეთში გამოიყენება მსაჯულთა ინსტიტუტი სისხლის სამართლის საქმეებზე.

საინტერესო განვითარება ჰპოვა მართლმსაჯულების ზეპირობის პრინციპმა ორივე სისტემაში. როგორც ადრე ითქვა ერთი და იმავე პრინციპს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, იმის მიხედვით, თუ რა ტიპის სამოქალაქო საქმეა. ამასთან არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრობითობის სისტემაში არის წერილობითი პროცესის ელემენტებიც. მაგალითად, ინგლისში არსებობს წერილობითი ჩვენება, რომელიც გამოიყენება სასამართლოში. ბოლო დროს ინგლისში მიღის წერილობითი მასალების გაცვლის გაძლიერება მოსამზადებელ სტადიაზე. პირველად ეს პრაქტიკა შეტანილ იქნა უმაღლესი სასამართლოს კანცელარიის განყოფილების შემოქმედებაში, შემდეგ მან განიცადა განვითარება სხვა ქვეყნებშიც.

დღეს წერილობითი ჩვენების გაცვლა ხდება უმაღლესი სასამართლოს შემოქმედების ყველა სფეროში (High Court). შესაბამისად მოსამართლეს შეუძლია გაეცნოს მოწმეთა წერილობით ჩვენებებს მანამდე, სანამ იგი მოისმენს მოწმეთა ზეპირ ჩვენებებს სხდომის დარბაზში. ახლახანს ლორდთა პალატამ (House of Lords) მხარი დაუჭირა ინკვიზიციური პროცესის შემდგომ განვითარებას, რადგან სასამართლო განხილვის დრო შეიძლება შემცირდეს, თუ მოსამართლეები გაეცნობიან საქმის მასალებს წინასწარ და ეს არის სწორედ პროცესის ის წერილობითი ელემენტი, რის გამოც შეჯიბრობითი პროცესის მომხრეები თავიდანვე აკრიტიკებდნენ ინკვიზიციურ პროცესს. საზღვარგარეთელი მეცნიერების აზრით, თანამედროვე სამოქალაქო პროცესი შეჯიბრობითობის სისტემაში ხდება უფრო და უფრო წერილობითი.

ამერიკულ პროცესშიც არის ელემენტები წერილობითი პროცესის მაგალითად, მოწმის ჩვენების გამოყენება, თანმიმდევრობით მტკიცებულებათა მიღების უზრუნველყოფა. ამასთან ამერიკელებმა მონახეს შესაძლებლობა მიიღონ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ზომები პროცესის ზეპირობის პრინციპის შესაბამისად. მოწმეთა ჩვენების ქალაღზე ფიქსირების გარდა, შეიძლება გამოვიყენოთ აუდიო თუ ვიდეო ჩაწერა. ეს უკანანელი ეხმარება არა მარტო თვალყური ვადევნოთ ჩვენების შინაარსს, არამედ იმასაც, თუ როგორი მანერებით ხორციელდება ისინი.

ულაოა ისიც, რომ ზეპირობის პრინციპზე გავლენას ახდენს ცალკეული ნაციონალური თავისებურებები. მაგალითად, იაპონიაში სამოქალაქო პროცესი ვითარდებოდა ძალიან საინტერესო სახით: მისი საფუძველი გახდა გერმანიის სამოქალაქო პროცესუალური კოდექსი, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღქმული იქნა ჯვარედინი დაკითხვა ამერიკული ვარიანტით. დღეს იაპონიაში მხარეებს შეუძლიათ უპასუხონ მოსამართლეს კითხვებზე არა დაკითხვის დროს სასამართლო სხდომაზე, არამედ გვიან, წერილობით განცხადებაში.

გგონია, რომ შეუცვლელი დარჩებოდა ინკვიზიციური და შეჯიბრობითობის სისტემის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი: მხარეთა როლი პროცესში. მაგრამ, აქაც უკვე შეინიშნება ან უკვე არსებობს ცვლილებები, რომლებიც რაღაცით აკავშირებს მართლმსაჯურების ორ სისტემას. მაგალითად, ინგლისის ხელისუფლება აძლევს უფრო დიდ და აქტიურ როლს სასამართლოებს, რომ უხელმძღვანელონ საქმის მიმდინარეობას, იმისათვის რომ შემოკლდეს საქმის სასამართლომდე მომზადების დრო<sup>1</sup>. ინგლისის სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ სასამართლო განსაზღვრულ სტადიებზე განსაზღვრული მიზნებით უნდა გახდეს უფრო აქტიური, მაგრამ არ უნდა დაარღვიოს სისტემის ფუნდამენტალური საფუძველები. მეცნიერები გეთავაზობენ, რომ ის საქმეები, რომლებიც უფრო ნაკლებ მოთხოვნებს შეიცავს უნდა განიხილებოდეს მხარეთა წარმომადგენლების გარეშე, მაგრამ უსამართლო განხილვის თავიდან ასაცილებლად, სასამართლომ უნდა შეცვალოს დამკვირვებლის პოზიცია<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Supreme Court practice News 1990. Issue 1. p.34  
<sup>2</sup> Jolowicz J.A. Active role of the court //Capelletti; M., Jolowicz J.A. Public interest parties and the active role of the judge in civil litigation. Milano, 1975, p.253





სასამართლოს აქტიურობა შეჯიბრობითობის პროცესში მულაგნდება უკვე დღეს განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტით. რუსულ სასამართლო პროცესში დღეს სასამართლოს აქტიურობა ადგილს უთმობს მხარეთა ინიციატივასა და შეჯიბრობითობას. 1996 წლამდე სასამართლო ვალდებული იყო არ შემოფარგულიყო წარმოდგენილი მასალებითა და განხილვებით, მიეღო ყველა კანონით გათვალისწინებული ზომები - საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, სასამართლოს ეკისრებოდა მტკიცებულებათა შეგროვება და წარმოდგენა. ახლაც სასამართლო მხარს უჭერს მხარეებს მათი უფლებების განხორციელებაში იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო პროცესუალური კოდექსით. ამგვარად, მხარეებმა თვითონ უნდა განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე მტკიცებულებათა შეგროვება და წარმოდგენა, სასამართლო მხოლოდ ეხმარება მათ შეგროვებაში.

სასამართლოსთვის მტკიცებულებათა შეგროვების ფუნქციის მოხსნამ კი არ შეასუსტა მისი მნიშვნელობა, არამედ შეტანილმა ცვლილებებმა განამტკიცეს მისი პოზიცია როგორც ორგანოსი, რომელიც უფლებამოსილია თვალყური ადევნოს საქმის მსვლელობას. მაგალითად, თუ პირს არა აქვს შესაძლებლობა წარადგინოს საჭირო წერილობითი და ზოგიერთი მტკიცებულება სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს, მაშინ ის ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ სასამართლოს მიზეზების მითითებით. შეუტყობინებლობის შემთხვევაში მოქალაქეები ექვემდებარებიან ჯარიმას ხელფასის 50 მინიმალურ ოდენობით, ამის შემდეგ თუ კიდევ არ დაემორჩილებიან სასამართლოს, მაშინ გადაიხდიან ჯარიმას ხელფასის 100 მინიმალური ოდენობით.

ახალ კანონმდებლოში სასამართლოს აქვს უფლება აღძრას სისხლის სამართლის საქმე, იმ პირზე, რომელმაც დაარღვია წესრიგი სასამართლოს სხდომაზე, თუ მათ ქმედებაში არის დანაშაულის ნიშნები, და გადაუგზავნოს მასალები შესაბამის პროკურორს.

რუსულმა სამოქალაქო პროცესმა, ისე როგორც ქართულმა უარი თქვა სამართლის ობიექტურობის პრინციპზე, რაც აირეკლა მტკიცებულებათა ნორმებზე. პირველ რიგში სასამართლო აღარ არის მტკიცებულებათა შეგროვების ძირითადი სუბიექტი. მეორედ, სასამართლოს მოვალეობაში აღარ შედის სამართლიანობის დადგენა საქმეზე. მესამეს, მხარეები არიან

უფრო აქტიური პროცესში, ისინი ვალდებული არიან თვითონ მტკიცებულე-ბათა შეგროვებასა და წარმოდგენაზე სასამართლოში წაგების შიშით. მეოთხე, შეიცვალა აზრი აღიარებაზე. ადრე სასამართლოს შეეძლო ჩაეთვალა აღიარებული ფაქტი დადგენილად, თუ მას არ ექნებოდა ეჭვი, რომ აღიარება შეესაბამება ტყუილს, გამოწვეულია მუქარით, ზეწოლით, გაურკვევლობაში შეიყვანათ სასამართლო ან სიძარტლის დაფარვის მიზნით.

შეჯიბრობითობის საკითხები და სამართლიანობის დადგენა ყოველთვის უკავშირდება სამოქალაქო პროცესუალური კოდექსის თანამედროვე რედაქციას. ერთი მხრივ სასამართლო შეაფასებს მტკიცებულებებს ყოველმხრივი, მიუკერძოებელი და სრული განხილვის საფუძველზე, იმ მტკიცებულებებით, რომელიც არსებობს საქმეში. მეორე მხრივ სასამართლო განსაზღვრავს რომელ გარემოებებს აქვთ მნიშვნელობა საქმეზე, რომელმა მხარემ უნდა ამტკიცოს, მას უფლება აქვს, მოთხოვოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებები. ამგვარად სახეზეა სასამართლოს აქტიური პოზიცია და როლი არამარტო მტკიცებულებათა შეფასებაში, არამედ მათ შეგროვებაში.

ახალი მსვლელობის შემოსვლამ კანონმდებლობაში არ მისცა ლოგიკური დასასრული შეჯიბრობითობის საწყისებს პროცესში, როგორც წინათ, მხარეები არ არიან ვალდებული გაცვალონ შეჯიბრობითობის ქაღალდები, მტკიცებულებები საქმეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის წინ მოსამართლეს შეიძლება გაუჩნდეს ახალი მტკიცებულებები, რომელსაც მხარე პირდაპირ შეეჩეხება სასამართლო განხილვის დარბაზში. რაიონულ სასამართლოებში, სადაც განიხილება უმეტესობა სამოქალაქო საქმეებისა, არ არის სპეციალურად გამოყოფილი ადგილები მასალების გასაცნობად, არ არის საკმარისი ქსერო ასლების გადამღები ტექნიკა. ძირითადად საქმის გაცნობის განხორციელება ხდება სიჩქარეში, გადაღებული ასლები გადაიტყვევა მექანიკურ გადაწერად. მაგალითად, ინგლისში მხარეებსა და მოსამართლეს აქვთ ერთი და იგივე საქმის მასალები.

ლოგიკური იქნებოდა, თუ შეჯიბრობითობის საწყისი შევიტანდით საქმის მომზადების სტადიაზე, რომელიც დაავალდებულებს მხარეებს გაცვალონ შეჯიბრობითობის ქაღალდები, წერილობითი მტკიცებულებების ასლები და სხვა კანონით დადგენილ დროში. სასამართლოს დარჩა უფლება კონტროლი გაუწიოს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციას. შეიძლებოდა, რომ საქმის მომზადების ფუნქციები შეეცვლებოდა მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის.

F 106 489



შეჯიბრობითობა ითვალისწინებს ადვოკატთა დახმარებას. ადვოკატის არ არსებობის შემთხვევაში ის უნდა უზრუნველყოს სასამართლო პროცესს ადვოკატები პოსტსაბჭოურ სივრცეში 15-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში და 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე საფრანგეთში. რადგან სასამართლომ დაკარგა მტკიცებულებების შეგროვებისა და წარმოდგენის ფუნქცია, მხარეებს ასეთი დამხმარე აღარ შეუძენიათ, მითუმეტეს რომ ადვოკატები არც თუ ხშირად მონაწილეობენ სამოქალაქო საქმის განხილვაში. სამოქალაქო პროცესულური კოდექსის ახალმა გამოცემამ უნდა მიიზიდოს ადვოკატები სამოქალაქო პროცესში.

ამგვარად, სამოქალაქო პროცესის ორივე სისტემა (ინკვიზიციური და შეჯიბრობითობის) თანდათანობით იძენენ საერთო ნიშნებს, ისინი განსაზღვრულ დონეზე უახლოვდებიან ერთმანეთს. ბუნებრივია, რომ უცხოელი მეცნიერები ლაპარაკობენ შერეულ პროცესზე. მაგალითად, ჯ.მაკივანი თვლის, რომ იტალიის სასამართლო სისტემა ეკუთვნის შერეულ სისტემას. მასში არსებობს მტკიცებულებების დაშვების შეზღუდვა და სასამართლოს უფლება გამოითხოვოს მტკიცებულებები. სკანდინავიური შერეული სისტემა პირველ ინსტანციაში ითვალისწინებს რამდენიმე წესს მტკიცებულებათა შესახებ. მაგრამ აქ არ არის წესი სხვისი სიტყვებით ჩვენების მიცემის დაუშვებლობის შესახებ (hearsay). მხარეები წარმოადგინენ თავიანთ საკუთარ მტკიცებულებებს, მაგრამ მოსამართლე იღებს ვალდებულებას საქმის განხილვის შესახებ. მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვს მტკიცებულებები, ადვოკატს კი არ შეუძლია შეაწყვეტინოს სიტყვა მოწმეს, სანამ ის არ დაამთავრებს ჩვენების მიცემას სასამართლოში<sup>1</sup>.

ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ცალკეულმა სისტემებმა ევროპის კონტინენტზე შერეული პროცესის ნიშნების ტარება დაიწყეს. ეს არის ორი სისტემის დაახლოების შედეგი, რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში ძდა რომელმაც ძალები მოიკრიბა მხოლოდ ახლა.

როგორც მოცემულიდან გამომდინარეობს, ქართული სამოქალაქო პროცესიც ასევე ფლობს შერეულ ნიშნებს.

ამ ორი სისტემის სიახლოვის გარდა, შეიძლება ვილაპარაკოთ განსაზღვრულ საერთო ნიშნებზე მსოფლიოს სამოქალაქო პროცესის განვითარებაში.

<sup>1</sup> Mc Ewan I. Op.cit. p.11-13.

პირველი ნიშანია - უზრუნველყოფა და მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი სასამართლო ხელისუფლებისათვის. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ქვეყანა, სადაც ძლიერი სასამართლო ხელისუფლებაა, ითვლება ინგლისი. აქ მოსამართლის ავტორიტეტი ძალიან მაღალია, რაც გამოწვეულია შემდეგით: მოსამართლეები ასრულებენ კანონშემოქმედებით ფუნქციებს; მოსამართლეები და არა პარლამენტი ადგენენ საქმის გადაწყვეტის წესებს. იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებული სასამართლო პრეცედენტია, ძლიერი სასამართლო ხელისუფლების შენარჩუნება ადვილია, ვიდრე იქ, სადაც ეს არ არის. თუმცა კონტი-ნენტალურ ქვეყნებშიც იღებენ ყველანაირ ზომებს სასამართლო ხელისუფლების გასა-ძლიერებლად. საფრანგეთის სამოქალაქო მოსამართლეები იყვნენ დამატებითი უფლებამოსი-ლებით აღჭურვილნი სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით. საქართველოში სასამართლო მდგომარეობის განმტკიცება პირველ რიგში დაკავშირებულია მოსამართლეთა რეალურ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე, რომელიც მიდის ორ მიმართულებამდე.

პირველი მიმართულება - საკანონმდებლოა. ეს არის კანონის გამოცემა, რომელიც რეგ-ლამენტაციას გაუკეთებს როგორც მის მოწყობას, ასევე სასამართლოების მოქმედებას. ამასთანავე დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სასამართლო ხელისუფლების განვითარებაში კანონის მიღებამ მოსამართლეთა სტატუსზე და მოსამართლის უპატივცემულობაზე პასუხისმგებლობამ.

დღესდღეობით საქართველოში:

ა) სასამართლო ხელისუფლება მოქმედებს დამოუკიდებლად საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან;

ბ) გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემულობისათვის;

გ) დადგენილი მაღალი ჯარიმები სასამართლოს ზოგიერთი მითითების შეუსრულებლობაზე;

დ) საჭიროა მაღალი მოთხოვნები მოსამართლის კანდიდატობაზე;

ე) კანონიერად უნდა იყოს გაფორმებული როგორც პროცესუალური, ისე ორგანიზაციული სამართლებრივი გარანტიები მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა.

მეორე მიმართულება - არის ორგანიზაციული (სასამართლოების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა, საკადრო პოლიტიკა). სწორედ ეს

მიმართულება მეტისმეტად ჩამორჩება, ის ასუსტებს ხელისუფლებას, უტეხს მას პრესტიჟს.

ნიშანი მეორე - ეს არის ფორმალური სამართლის ინსტიტუტის განვითარება. ეს ინსტიტუტი დიდი ხნის განმავლობაში კრიტიკას იწვევდა. ჩვენს ქვეყანაში ხდება საკანონმდებლო ცვლილებების რეალური გატარება.

მესამე ნიშანია - სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო პროცესუალური კოდექსის გართულება, განაპირობებს საკუთარი ინტერესების დაცვის დროს პროფესიონალი იურისტების გამოყენების აუცილებლობას. შეჯიბრობითობის პრინციპის განვითარება დაკავშირებულია ადვოკატურის ინსტიტუტის სრულყოფასთან, ის განაპირობებს უფრო აქტიურად გამოვიყენოთ პროფესიონალი წარმომადგენლები საქმის განხილვაში.

მეოთხე ნიშანია - სასამართლოების სპეციალიზაცია, რომელიც გამოიხატება სასამართლოების დაყოფაში - სამოქალაქო და სისხლის სამართლის სპეციალობით. თავის დროზე სამოქალაქო სასამართლოები იყოფიან განსახილველი საქმეების მიხედვით. ინგლისის უმაღლესი სასამართლო შედგება სამი განყოფილებისაგან: სამეფო ოჯახის განყოფილება, საკანცელარიო და ოჯახური საქმეების განყოფილებები. გერმანიის უმაღლესი სასამართლო რთავს სენატს სამოქალაქო და საოჯახო საქმეების განხილვაში და სხვა. რუსეთის სასამართლოებსაც აქვთ სპეციალიზაცია. იაპონიაში კანონით აკრძალულია სპეციალური სასამართლოების დაარსება, თუმცა მოქმედებს საოჯახო სასამართლოები, რომლებიც იხილავენ როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც ეხება ოჯახებს და არასრულწლოვანებს. ზოგიერთი ქვეყნებში მოქმედებს სპეციალიზირებული სასამართლოები და ტრიბუნალები. მარტო ინგლისში აღირიცხება თითქმის ორი ათასი ტრიბუნალი. გერმანიაში მოქმედებენ საარბიტრაჟო ფინანსური სასამართლოები, სასამართლოები შრომით საქმეებზე და სოციალური უზრუნველყოფის საქმეებზე. საფრანგეთში არის სავაჭრო სასამართლოები.

საერთო ნიშნები, მართლმსაჯულების დაახლოებისა, აირეკლება მთელი მსოფლიოში დამყარებული ტენდენციის ინტეგრაციაზე ეკონომიკურ პოლიტიკურ სამართლებრივ სფეროებში. ავტონომიური განვითარება, როგორც განსხვავებული სამართლებრივი სისტემების, ასევე ცალკეული სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემებისა შეუძლებელია. ასეთი



მოვლენა ხსნის მშენიერ პერსპექტივას შეისწავლონ ერთმანეთის სამართლებრივი მოვლენები, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტების შესწავლა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით აღმოჩნდნენ უფრო განვითარებულნი.

ამგვარად შეგვიძლია განვაცხადოთ, კლასიკური გაგებით სამართლებრივი სკოლების შეუვალობა დღესდღეობით ტრანსფორმაციას განიცდის. რამდენადაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესები გვარწმუნებენ სხვადასხვა სამართლებრივ კონცეფციებს შორის ჰარმონიზაციისა და უნიფიცირების აუცილებლობაში.

საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციისათვის არსებით და უმთავრეს პრინციპთა შორის გახლდათ ე.წ. ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის პროცესუალური პრინციპი. ნაცვლად იმისა, რომ დადგენილიყო მხარეთა პროცესუალური სიმართლე, სადაო საქმის განხილვის დროს ამ პრინციპის მოქმედების შედეგად - ფაქტობრივად ილახებოდა მხარეთა უფლებები. მხარეთა საპროცესო უფლებების შეზღუდვა თავისთავად იწვევდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვას, რაც წინაპირობა გახდა კიდევ დღესდღეობით ქვეყანაში დამკვიდრებული სამართლებრივი ნიჰილიზმისა და რეფლექსური შიშისა სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების მხრიდან.

სწორედ აღნიშნულ ფაქტორთა გამო დღესდღეობითაც ჭირს ნდობის ფაქტორის აღდგენა საზოგადოებასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ამიტომაც, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავისი დარღვეული ან სადაოდ გამხდარი უფლების აღდგენას ცდილობს ყოველგვარი არასამართლებრივი, არაკანონიერი გზით. ეს კი ქვეყნის დაღუპვის ტოლფასია, რამეთუ სასამართლო ხელისუფლებისადმი რწმენა, სასამართლო ხელისუფლების მდგრადობა, მისი სტაბილურობა და მის მიმართ მოქალაქეთა დამოკიდებულება ადეკვატურია სახელმწიფოს სტაბილურობისა, იმ სტაბილურობისა, რომლის საფუძველზეც ქვეყნის შიგნით არსებული ყოველგვარი დავა უნდა გადაწყდეს სამართლებრივ ჩარჩოში.

საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციით აღიარებული ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპის არსებობა ავტომატურად იწვევდა არა მხოლოდ ზოგადად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, არამედ

როგორცაა ნების გამოხატვისა და ნების ავტონომიურობის თავისუფლების დარღვევატ.

დღევანდელი სამართლებრივი კონცეფციისაგან განსხვავებით, საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციით ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპის არსისაგან გამომდინარე სასამართლოს შეეძლო თავისი ინიციატივით გასულიყო სარჩელის საგნისა და საფუძვლის გარეთ. უფრო მეტიც, სასამართლოს კანონმდებლის მიერ ჰქონდა მინიჭებული უფლება თვით მოეხდინა საქმის აღძვრა.

აღნიშნულ დებულებას თეორიული დასაბუთების ბაზა შეუქმნეს ისეთმა დიდმა პროცესუალისტებმა, როგორებიც არიან - მ.ელისეიკინი, მ.შაქარაიანი, ე.მალცევი, ი.პიატილეთოვი, ვ.ბოიარინცევი<sup>1</sup> და სხვები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მხარის გარდა სამოქალაქო საქმის აღძვრის უფლება სასამართლოსაც უნდა მინიჭებოდა.

იმ პერიოდისათვის სამოქალაქო საქმის აღძვრის უფლების მინიჭების წინააღმდეგ გამოვიდნენ მ.ა.გურვიჩი, ვ.ნ.შჩეგლოვი, მ.დ.როზოვა<sup>2</sup> და სხვები.

სასამართლოსათვის საქმის აღძვრის უფლების მინიჭების წინააღმდეგ გამოვიდა ასევე აბონერი<sup>3</sup>, რომელმაც თავისი პოზიცია იმით დაასაბუთა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპები და მათ შორის ყველაზე უმთავრესი პრინციპი - დისპოზიციურობა - ფიქციად იქცეოდა სასამართლოსათვის ამ უფლების მინიჭების შემდგომ.

ს.აბრამოვი, ნ.ზეიდერი<sup>4</sup> და სხვები თვლიდნენ, რომ სარჩელის შეცვლა შეიძლება მომხდარიყო როგორც მხარეების მიერ, ასევე სასამართლოს ინიციატივითაც.

დ.პოლუმორდენოვის, ი.მარტკოვიჩისა<sup>5</sup> და სხვათა შეხედულებებით, აუცილებლობის გამო სასამართლოს შეუძლია სარჩელის საგნის შეცვლა და მან, სარჩელის საგნის შეცვლის შესახებ მოსარჩელეს უნდა შეატყობინოს და მისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში ახალი საფუძვლით განიხილოს სარჩელი.

საბჭოთა პერიოდისათვის მართლაც მისასალმებელი იყო ს.კურილევის, ვ.პუჩინსკის<sup>6</sup> და სხვათა მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ მხოლოდ მოსარჩელეს შეუძლია სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლა.

1.Елисейкин М. Право суда выйти за пределами требования — Сов. Юстиция, №5, 1965.

Шакарян М. Субъекты советского гражданского, процессуального права, Москва, 1970, ст. 16.

Мальцев Е. О праве суда (судьи) на возбуждение гражданских дел; Сборник ученых трудов Свердловского юридического института, вып. 40, Свердловск, 1975.

Пятилетов И. Право суда выйти за пределы исковых требований, Сов. юстиция, №18, 1978.

Бояринцев В. Соотношение публичности и диспозитивности в советском судебном праве, авт. диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 1987, ст. 5.

2. Гурвич М.А. Принципы советского гражданского процессуального права (система и содержание). Сов. государство и право, №12, 1977.

Щеглов В.Н. Принципы искового производства; Вопросы теории и практики гражданского процесса, вып. 1, Саратов, изд-во СГУ, 1976, ст. 33.

Советское гражданское процессуальное право (понятие, предмет и метод, принципы, гражданское процессуальное правоотношение). Лекция для студентов. Томск, изд-во ТГУ, 1976, ст. 44.

Розова М.Д. К вопросу об инициативе возбуждения гражданских дел; проблемы действия и совершенствования советского гражданского процессуального законодательства, Свердловск, 1982, ст. 122-123.

3. Боннер А.Г. Соотношение инициативы и активности сторон и суда в гражданском судопроизводстве, Сов. государство и право, №8, 1983.

4. Абрамов С.Н. Гражданский процесс, М.: 1948, ст. 171.

Зейдер Н.Б. Элементы иска в советском гражданском процессе; ученые записки Саратовского юридического института, вып. 4, 1956, ст. 166-167.

5. Полумордвинов Д. Право суда выйти за пределы исковых требований, Социалистическая законность, 1949, №3, ст. 25.

Марткович И.Б. Определение объема судебного исследования в советском гражданском процессе; Труды Иркутского государственного университета, т. 13, серия "Юридическая", 1955, ст. 78-80.

6. Курилев С.В. Предмет доказывания в советском гражданском процессе; Сов. юстиция № 8, 1968 ст. 20

Пучинский В.К. О единообразном толковании применения Основ гражданского судопроизводства; Сов. государство и право №4, 1972 ст. 53-54



საბჭოთა პროცესუალურ მეცნიერებაში მანც უმრავლესობას შეადგენდა მეცნიერების ის წრე, რომელიც თეორიულად ასაბუთებდა მოსაზრებას, რომ სასამართლოს ჰქონოდა უფლება სასარჩელო მოთხოვნისა და საქმის განხილვის ფარგლებს გარეთ გასვლისა. ამ დებულების მომხრეები იყვნენ მელისეინი, გბირკინი, იპიატალეტოვი, მ.მატიევსკი, ვ.სემიონოვი, ი.ეცტოდიევა<sup>1</sup> და სხვები.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში არსებობდა თ.ლილუაშვილის აღნიშნული საკითხის ირგვლივ სამსებით სამართლიანი მოსაზრება. იგი აღნიშნავდა, რომ სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეუძლია სარჩელის საგნისა და საფუძვლის შეცვლა, რადგანაც ეს გამოიწვევს დისპოზიციურობის პრინციპის დარღვევას<sup>2</sup>.

საბჭოთა პროცესუალურ მეცნიერებაში ზემოაღნიშნულ კონტექსტში - ფრიად პრობლემატურად იდგა საკითხი მტკიცების ტვირთთან და მტკიცებულებების წარმოდგენის უფლებასთან მიმართებისა.

ვ.მოლჩანოვის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა მიენიჭოს მტკიცებულებათა შეკრების უფლება<sup>3</sup>. პროფესორ თ.ლილუაშვილს დასაშვებად მიაჩნია სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულების გამოთხოვა<sup>4</sup>.

1. Елисейкин М. Право суда выйти за пределами требования – Сов. Юстиция, №5, 1965.

Биркин М.М. Роль суда в обнаружении и собирании письменных доказательств по гражданским делам; Сборник научных трудов №529 Ташекнтского государственного университета, 1977.

Активность суда при рассмотрении гражданских дел; Общественные науки в Узбекистане, АН Уз.ССР, Ташкент, №12, 1980.

Пятилетов И. Право суда выйти за пределы исковых требований, Сов. юстиция, №18, 1978.

Матиевский М. Осуществление диспозитивных правомочий в советском гражданском процессе; Сов. юстиция, №8, 1980, ст. 23.

Семенов В.Н. Конституционные принципы гражданского судопроизводства, М., Юр.литература, 1982, ст. 127.

- Евтодиева И.А. Принципы диспозитивности и состязательности советского гражданского процессуального права, авт.диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1983, ст. 12.
2. Лилуашвили Т.А. Предмет доказывания и распределение бремени доказывания между сторонами в советском гражданском процессе; авт.диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1961, ст. 7.
3. Молчанов В.В. Собрание доказательств в гражданском процессе; авт.диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1986, ст. 8, 19.

Некоторые вопросы совершенствования деятельности по собиранию доказательств в гражданском процессе; Вопросы перестройки правовой системы, изд-во МГУ, М., 1988, ст. 59-60.

4. თ.ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაში. საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, თბილისი, მეცნიერება, 1977, გვ. 112-113.

ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპის არსიდან გამომდინარე საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციისათვის დამახასიათებელ ზემოაღნიშნულ თეორიულ დებულებათა უზრუნველყოფაზე მეტყველებს არა მხოლოდ დღევანდელი სამართლებრივი კონცეფცია, არამედ იურისპრუდენციაში არსებული საყოველთაოდ ცნობილი აფორიზმებიც:

- "არავინ შეიძლება ვაიძულოთ სარჩელი წარადგინოს".  
nemo invitus agere cogitur;
- "სასამართლო და მოსარჩელე სარჩელის გარეშე წარმოუდგენელია"  
nemo iudex sine actore
- "მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს"  
Probandi necessitas uncumbit illi qui agit.

საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციით სასამართლო ხელისუფლებისათვის სწორედ ასეთი თეორიულ-საკანონმდებლო ბაზის შექმნა განაპირობებდა კიდევ იმას, რომ მხარეთა შორის მორიგება სასამართლოს შეეძლო არ დაემტკიცებინა იმ შემთხვევაში, თუ სახელმიფო ინტერესები შეილახებოდა.





მართლაცა, დღევანდელი მიმართებით წარმოდგენილია კერძო დაჯგუფება და სახელმწიფო ინტერესთა ერთმანეთთან დაკავშირება, მაგრამ ეს ყველაფერი თავის დროზე რეალობა გახლდათ.

საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციით კერძო დაჯგუფების გადაწყვეტის დროს წინა პლანზე წამოწეული იყო სახელმწიფო ინტერესთა პრიმატი, რაც ქვეყნის პოლიტიკური სისტემით იყო განპირობებული. კერძო ინტერესებს სამოქალაქო სამართალწარმოების დროს ნაკლები, ან თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, რაც ვ.ი.ლენინის ცნობილი გამოთქმის - "რამდენადაც მეურნეობრიობის დარგში ყველაფერი არის საერთო-სამართლებრივი და არა კერძო ... კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო საქმეების განხილვაში ჩარევა აუცილებელია" - თეორიული დასაბუთების ტოლფასი იყო!

საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალურ მეცნიერებაში, ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპის არსიდან გამომდინარე, დაფიქსირებული იყო სასამართლოს აქტივობის პრინციპი. მის მიხედვით, ნაცვლად სამართალწარმოების ხელმძღვანელობისა, სასამართლო კერძო დაჯგუფების განხილვის დროს, მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვის გარდა, თავის თავზე იღებდა მხარეთა მიერ თვით თავიანთი უფლებების განხორციელების ინიციატივას პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა დათრგუნვის გზით. ახალი სამართლებრივი კონცეფციის საფუძველზე, დღევანდელი სასამართლო ხელისუფლების მიერ აღნიშნული მეთოდოლოგია უგულბებელყოფილ უნდა იქნეს.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, დღევანდელ მოსამართლეთა კორპუსის გარკვეულ ნაწილში ინერციისა თუ ნოსტალგიის გამო არსებობს მიდრეკილება სასამართლო აქტივობის პრინციპის გამოყენებისა სამოქალაქო დაჯგუფების განხილვის დროს, რაც იწვევს:

1. იმ სამოქალაქო პროცესუალური კონცეფციის ზოგად უგულბებელყოფას, რომელიც ერთ-ერთ ძირითად მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში სამოქალაქო, ღია და სამართლებრივი საზოგადოების დამკვიდრების თვალსაზრისით.

2. საზოგადოების ანტირეაქციას არა მხოლოდ კონკრეტული საქმის თუ მოსამართლის მიმართ, არამედ საერთოდ სასამართლო ხელისუფლების მიმართაც.

ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების მხრიდან თუნდაც ერთი შემთხვევაც კი საკითხის ასე დასმისა საგანგაშოა. რამდენადაც ნდობის ფაქტორის აღდგენა საზოგადოებასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის არის როგორც სასამართლო ხელისუფლების, ასევე გლობალურად სახელმწიფო ხელისუფლების მიზანიც.

დღევანდელი სამოქალაქო პროცესუალური პრინციპები ადრე მოქმედი ე.წ. ინკვიზიციური ანუ სამძებრო პრინციპებისაგან არსებითად განსხვავებულია. რამდენადაც, დღევანდელი სამოქალაქო პროცესი საშუალებო საწყისებზეა დაფუძნებული. სწორედ, სამართალწარმოების შეჯიბრებათობის კონსტიტუციური მოთხოვნა გახდა დღევანდელი სამოქალაქო პროცესუალური მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის წარმმართველი ძალა.

აღნიშნული კონსტიტუციური მოთხოვნა პირდაპირ, პრინციპის სახით არის დაფიქსირებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში, რომელიც მტკიცეა დაკავშირებული დისპოზიციურობის პრინციპთან (სსსკ მე-3 მუხლი).

შეჯიბრებათობისა და დისპოზიციურობის პრინციპების საფუძველზე მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში. მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება სასამართლოში საქმის წარმოებისა. ანუ მოსარჩელესა და მოპასუხეს, ამ მათ წარმომადგენლებს რწმუნების საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებული მუხლების შესაბამისად. თუ რა პროცედურით, სარჩელის თუ განცხადების გზით უნდა განახორციელონ მათ თავიანთი დარღვეული ან სადაოდ გამძდარი უფლების აღდგენა, დამოკიდებულია იმაზე, საქმე სასარჩელო, გამარტივებული თუ უდავო წარმოებისაა.

სამოქალაქო პროცესისათვის ფუნდამენტური - დისპოზიციურობის პრინციპის არსიდან გამომდინარეობს, რომ დავის საგანი თვით მხარეთა მიერ განისაზღვრება და არავის, მათ შორის სასამართლო ხელისუფლებას (სასამართლო აქტივობის ან საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციისათვის დამახასიათებელი ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის პრინციპისნაირად) არა აქვს უფლება დავის საგანი შეცვალოს.

სასამართლოს არა აქვს უფლება, მხარეთა სურვილისდა მიუხედავად, გადაწყვიტოს საკითხი მხარის დარღვეული ან შებღალული უფლების აღდგენის შესახებ სასამართლოში სარჩელის (განცხადების) შეტანის ან არ შეტანის საკითხთან. სასამართლო მხოლოდ სასამართლოში სარჩელის

ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანს განჩინებას ამ სარჩელის მიღების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა ურთიერთშორის დავა გადაწყვეტონ მორიგებით. ასევე მხარეებს უფლება აქვთ საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე უარი განაცხადონ სარჩელზე (მოსარჩელე) ან ცნონ ეს სარჩელი (მოპასუხე).

მხარეთა აღნიშნულ უფლებებში სასამართლოს ჩარევა დაუშვებელია. მაგრამ თუ ხდება პრაქტიკაში ასეთი ჩარევები - და პრაქტიკაში ასეთი ფაქტები საკმაოდ ხშირია - ეს მეტყველებს არა კონკრეტული მოსამართლის სამართლებრივ გაუთვითცნობიერებაზე, არამედ ზოგად კონცეპტუალურ დარღვევაზე, რაც მეტად სახიფათო ტენდენციაა სახელმწიფოსათვის.

დისპოზიციურობის პრინციპის ამგვარი გაგება არის კიდევ დღევანდელი სამოქალაქო პროცესისათვის ამოსავალი წერტილი. მისი ამგვარი აღქმა უზრუნველყოფს სამოქალაქო საქმეების საშეჯიბრო საწყისებით წარმართვას. ამ შემთხვევაში, საბჭოური სამართლებრივი კონცეფციით მოსამართლის დაინტერესება და სადაო საქმეზე აქტივობა ობიექტური ჭეშმარიტების მისაღწევად, ნამდვილად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს კონსტიტუციით გარანტირებულ საშეჯიბრო საწყისით დავების გადაწყვეტის ბედზე.

სამოქალაქო პროცესულურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში არსებული შეჯიბრებითობის პრინციპი საფუძველთა საფუძველია იმისა, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის სასამართლო სხდომაზე - ეს იქნება მოსამზადებელი თუ მთავარი სხდომა. მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წაყენებული მოსაზრებანი თუ მტკიცებულებანი. ეს საკითხი უკავშირდება მტკიცების საგანს ანუ მტკიცების საგნის მიხედვით ისინი განსაზღვრავენ იმ ფაქტობრივ მდგომარეობებს, რომლებზეც მიუთითებენ. საშეჯიბრო საწყისით კერძო დავების განხილვის ძირითადი იდეა იმაშია, რომ სწორედ დავის მონაწილე მხარეებზე გადადის მტკიცების ტვირთი.

როგორც ზემოთა აღნიშნეთ, მტკიცების ტვირთთან მიმართების საკითხში დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია იყო დაფიქსირებული საბჭოთა სამართლებრივ კონცეფციაში, რაც განაპირობებდა კიდევ სამოქალაქო დავების განხილვას არა საშეჯიბრო, არამედ საგამოძიებო, ინკვიზიციური საწყისით.





სწორედ ეს გახლავთ მტკიცების საგნის დასაბუთებულობის, მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით სამოქალაქო პროცესის პრინციპით არსებითი განსხვავება ახალ და ადრე მოქმედ საპროცესო კანონმდებლობებს შორის.

შეჯიბრებითობის პრინციპის არსიდან გამომდინარე, მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. მოსამართლე ყოველივე ამის შემოწმებას ახორციელებს საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევით იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რაც მხარეთა მიერ იქნა წარმოდგენილი.

თუმცადა, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელიც მას დაეხმარება წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასებასა და შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია:

- დანიშნოს ექსპერტიზა ან მოიწვიოს სპეციალისტი, რაც აუცილებელი სპეციალური ცოდნის გამოყენებას მოითხოვს;
- მოახდინოს მტკიცებულებათა გამოთხოვა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან;
- მოახდინოს ადგილის დათვალიერება;
- მიიღოს ყველა ღონისძიება მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად და სხვა.

ამგვარად გვინდა აღვნიშნოთ:

სასამართლო მოქმედებს არა სასამართლო აქტივობის პრინციპის შესაბამისად, რაც საბჭოური სამართლებრივი კონცეფციისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ ხელმძღვანელობს მხარეთა შორის წარმოებულ დავას და საჭიროებისას შეუძლია კიდევ მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ჩაერიოს საქმის განხილვაში. ე.ი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რაც სასამართლო ხელისუფლებამ და საზოგადოებამ უნდა გაითავისოს არის ის, რომ მოხდა სასამართლო აქტივობის პრინციპის ტრანსფორმაცია სასამართლო ხელმძღვანელობის პრინციპად.

სწორედ ეს დებულება უნდა გახადონ სასამართლოებმა სახელმძღვანელოდ, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის დარღვევები დავების განხილვისას.



ფაქტი იმისა, რომ ახალ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული პრინციპები დიამეტრიალურად განსხვავებულია საბჭოური სამართლებრივი კონცეფციის პრინციპებისგან, თვალნათლივ ჩანს სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს. ამ პრინციპების ზუსტი აღქმა უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას სასამართლოში. მათი ზუსტი და ერთგვაროვანი გამოყენება გახდება საწინდარი იმისა, რომ სასამართლო აღასრულებს კანონით მინიჭებულ ყველა იმ უფლებას და განხორციელებას ყველა იმ ღონისძიებას, რაც მიმართული იქნება უშუალოდ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისაკენ.

ისევე, როგორც ქართულ, ასევე აშშ სამოქალაქო პროცესის წარმოების ფედერალური წესების (2001 წელი) ყველა თავში -

I. სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესები და ჩარჩოები - მხარეთა ქმედების ფორმა;

II. მხარეთა ქმედების დასაწყისი; პროცესის მომსახურება, სასარჩელო განცხადება (განცხადება), შუამდგომლობა და პროცესის თანმიმდევრობა;

III. სასარჩელო განცხადებები (განცხადებები) და შუამდგომლობები;

IV. პროცესის მხარეები;

V. ჩვენებები და მტკიცებულებები;

VI. სასამართლო განხილვა;

VII. საქმეთა წარმოების პროცედურა;

VIII. წინასწარი და საბოლოო სასამართლო დაცვის საშუალებები;

IX. სპეციალური განხილვები;

X. რეგიონალური სასამართლოები და კლერკები;

XI. ძირითადი მტკიცებულებები;

XII. ფორმათა დანართი;

XIII. გარკვეულ საზღვაო საქმეთა გასაჩივრების წესები.

მითითებულია სამართალწარმოების პრინციპების სავალდებულო გამოყენებაზე, იგივე შეიძლება ითქვას გერმანიის, რუსეთის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა თუ სხვა ქვეყნების სამოქალაქო პროცესულურ კანონმდებლობაზეც.

საზოგადოებისა და სასამართლო ხელისუფლების ჰარმონიული თანაარსებობის კონტექსტში აუცილებელია მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება. ამის რეალურ და არა ფორმალურ საფუძვლებს იძლევა კიდევ მოსამართლის მიერ არა აქტივობის,

არამედ სასამართლოსადმი ხელმძღვანელობის გამოყენების  
სამოქალაქო დავების გადაწყვეტის დროს.

როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, აბსოლუტური  
უმრავლესობა სამოქალაქო სამართალწარმოებაზე დაშვებული დარღვევებისა

- საქმის განხილვის გაჭიანურება;
- დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა;
- კანონმდებლობის დარღვევის საფუძველზე საქმეში დაშვებული

პროცესუალური ლაფსუსები;

- არაკეთილსინდისიერ მხარეთა - რომლებიც სამოქალაქო საპროცესო  
კანონმდებლობის დარღვევით მოქმედებენ - სტიმულირება თუ სხვა  
განპირობებულია პრინციპების არასწორი აღქმითა და სასამართლო  
პრაქტიკაში დანერგვით.

თანამედროვე სამოქალაქო პროცესუალური პრინციპების არასწორი  
გააზრება და სასამართლო პრაქტიკაში დანერგვა, მათ შორის სასამართლო  
ხელმძღვანელობის ნაცვლად სასამართლო აქტივობის პრინციპის გამოყენება  
იწვევს არა მხოლოდ თანამედროვე სამართლებრივი კონცეფციის  
უგულებელყოფას, არამედ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა  
დარღვევას.

აღნიშნული პრინციპის არასწორმა ინტერპრეტაციამ კუროზულ  
სიტუაციაში შეიძლება მიგვიყვანოს. საილუსტრაციოდ კონკრეტული  
საქმეების მოყვანაც შეიძლება.

საქმე №2/1285

მოსარჩელე: თ.შ.

მოპასუხე: ჰ.კ.

სარჩელი ეხება უნებართვოდ აშენებული სახლის ნაწილის აღებას.

საქმის მასალების გაცნობიდან ჩანს, რომ მოსარჩელე ითხოვს თავის  
ტერიტორიაზე მოპასუხის მიერ აშენებული და დაუმთავრებელი სახლის  
ნარჩენების აღებას და თავისი ტერიტორიის თავდაპირველ მდგომარეობაში  
აღდგენას. რამდენადაც, ყოველგვარი სახელშეკრულებო ვადა მოსარჩელესა  
და მოპასუხეს შორის სახლის აშენების თაობაზე გავიდა. ამასთანავე, აშკარა  
იყო მოპასუხის მხრიდან სახლის აშენების გეგმიდან გადახვევა.

აღნიშნული საქმის სასამართლო სხდომის (მოსამზადებელი თუ მთავარი  
სხდომის - არ ჩანს) ოქმიდან (ს.ფ. 13-15) ვარკვევთ:





- სასამართლო სხდომას, რომელსაც მოპასუხე მხარე არ ესწრებოდა, მოსარჩელე მხარე სხდომის არ ჩანს ცვლის თავის თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას. კონკრეტულად, თუ იგი სასარჩელო განცხადებაში ითხოვდა სახლის აღებასთქმ ერთად მოპასუხე მხარეს მისთვის ბინის დასაქირავებელი თანხა თვიურად 70\$ გადაეხადა, სასამართლო სხდომაზე ნაცვლად 70\$ გადახდისა იგი ითხოვს 100 \$ გადახდას.

აღნიშნული სასამართლო სხდომის (როგორც ჩანს, მთავარი სხდომის) ოქმის დეტალური ანალიზიდან გამომდინარე მოსარჩელე მხარე არსად არ აყენებს საკითხს, იმაზე, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა სასამართლოს იმავე დღეს, 2000 წლის 25 აპრილს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (ს.ფ. 16-18), რომლითაც "სასაჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს დაეკისრა ... მოსარჩელის პირადი საკუთრების მიწის ნაკვეთიდან აილოს სახლის საძირკველი საკუთარი სახსრებით და გაიტანოს ტერიტორიიდან სამშენებლო მასალა. მასვე დაეკისრა ხუთი თვის ქირა (სტილი დაცულია). მოსარჩელის მიერ გადახდილი 350\$ გადახდის დროისათვის ეროვნულ ვალუტაში". აღნიშნულ თანხაში ჩათვლილია მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე დაყენებული გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნის თანხა.

აღნიშნული საქმის ფაბულიდან გამომდინარე, აშკარაა სასამართლოს მიერ დაშვებული უხეში შეცდომები, რაც ჩვენი აზრით, თანამედროვე სამართლებრივი კონცეფციის გაუზრებლობით იქნა ჩადენილი.

სასამართლოს მხრიდან ამ საქმეზე დაშვებულია შემდეგი დარღვევები:

1. სასამართლო სხდომა - ამ შემთხვევაში მთავარი სხდომა - ისე მიმდინარეობს, რომ მისი დანიშვნის შესახებ სასამართლოს არ გამოუტანია განჩინება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ, რაც სსსკ 207 მუხლის უხეში დარღვევაა.

2. მოსარჩელემ ბინის ქირის გაზრდის საკითხი დააყენა მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რასაც მოპასუხის წინასწარი თანხმობა სჭირდებოდა. რამდენადაც, სსსკ 83 მუხლის III ნაწილით საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლების ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის თანხმობით.

ამ შემთხვევაში ეს თანხმობა არ იყო, რამდენადაც მოპასუხე საერთოდ არ ესწრებოდა პროცესს, მოსამართლემ კი მოსარჩელის მოთხოვნა უკანონოდ გაიზიარა.

როგორც აღნიშნული საქმის დეტალური ანალიზიდან ჩანს, მოპასუხე სხდომის ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ ინფორმირებულიც კი არ იყო.

ამგვარად, სასამართლოს მხრიდან სსსკ 233 მუხლის I ნაწილის ა) პუნქტის უხეში დარღვევით მაინც გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

3. როგორც საქმის დეტალური ანალიზიდან ჩანს, მოსარჩელეს მთავარ სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობა არ დაუყენებია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. მოსამართლემ კი ეს ინიციატივა თავის თავზე აიღო, დღევანდელი სამართლებრივი კონცეფციის გაუთვალისწინებლად და მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც უხეშად დაირღვა სსსკ 230 მუხლის I ნაწილის მოთხოვნა, სადაც მითითებულია: "თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება".

4. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოპასუხე სასამართლოს მხრიდან 2000 წლის 25 აპრილის სხდომაზე გამოცხადებისათვის გაფრთხილებული იქნა ხელწერილით (ს.კ.10), მაგრამ ამ ხელწერილით მას არ განუმარტეს და შეუძლებელი იყო კიდეც, რომ მისთვის ხელწერილით განემარტათ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები. ამგვარად, სასამართლოს მხრიდან ამ შემთხვევაშიც უხეშად იქნა დარღვეული სსსკ 72 მუხლის მოთხოვნები.

სწორედ ამ ბოლო მოტივაციით საკასაციო ინსტანციის სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა უკან.

ამრიგად, ერთი სამოქალაქო საქმის კომენტირებიდანაც აშკარაა, რომ სამოქალაქო პროცესულური პრინციპების არაკანონისმიერი მოთხოვნებით აღქმა სასამართლოს მხრიდან იწვევს დღევანდელი სამართლებრივი კონცეფციის ზოგად უგულებელყოფასა და საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას სასამართლო ხელისუფლების მიმართ.



სამოქალაქო პროცესუალური პრინციპების არამართლზომიერი გამოყენება სასამართლოების მხრიდან სამოქალაქო დავების დროს განაპირობებს სწორი განმარტების უქონლობას.

სამოქალაქო პროცესის მოუმზადებლობას დავის არსებითად განსაზიღველად.

ამაში იგულისხმება, როგორც მოსამზადებელი (სადაც მხარეთა შორის წერილობით მიმდინარეობს შეჯიბრი), ასევე მთავარი (ზეპირი) სხდომის მოუმზადებლობა.

პროცესის მოუმზადებლობაში პირველ ყოვლისა იგულისხმება ის ფაქტი, რომ მხარეებს ან საერთოდ არ ეგზავნება შეტყობინება სასამართლოში გამოძახებისა და მოწინააღმდეგე მხარის სასამართლოში წარმოდგენილი მასალებისა თუ მტკიცებულებების ასლების გაცნობის შესახებ, ან თუ ეგზავნებათ - ეს ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ვადების დარღვევით.

აღნიშნული ფაქტორი მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის ტოლფასია, რაც ქვეყნისათვის ფრიად პრობლემატური და სავალალო შეიძლება გახდეს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ცალკეული საქმეების კომენტირება.

საქმე №2/216

მოსარჩელე: ჯ.მ.

მოპასუხე კულტუროლოგიის\* აკადემია

(ს-ო კათედრა)

სარჩელი ეხება სამსახურში აღდგენას

სარჩელი სასამართლოში შემოვიოდა 1999 წლის 31 აგვისტოს და იმავე დღეს დაეწერა მოსამართლეს.

აღნიშნულ საქმეში მოსამართლის მიერ განჩინება სამოქალაქო საქმის გარჩევისათვის მომზადებისა და საქმის წარმოებაში არ მიღების შესახებ გამოდის 1999 წლის 20 სექტემბერს (ს.ფ.1). ამ შემთხვევაში უხეშად იქნა დარღვეული სასამართლოს მიერ სსსკ 183 მუხლის მოთხოვნები, რამდენადაც "მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ.

ამავე საქმეში მოსამართლის მიერ მხარეების უწყებები დაერგზავნათ 14 სექტემბერს (ს.კ.8,9). აქედან გამომდინარე ამკარაა, რომ მოსამართლემ საქმე

\* ასეთი აღნიშვნა მეტყველებს მასზე, რომ დასახელება სახეშეცვლილია.

წარმოებაში იმდაგვარად მიიღო, რომ ფაქტიურად სამართლებრივად იყო პროცესის მონაწილეთა საპროცესო უფლებები.

საქმე №2/1285

აღნიშნული საქმის არსი ნაცნობია და ამდენად, საქმის ფაბულაზე ყურადღებას არ გავამახვილებთ. ამ საქმის დეტალური ანალიზიდან გამომდინარე ამკარად ცანს, რომ მოსამართლეს სარჩელის სასამართლოში შემოსვლიდან 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არცერთი საპროცესო მოქმედება არ შეუსრულებია, რაც შემდგომში, ამ საქმის განხილვის დროს უხეში პროცესუალური დაკვირვების საწინდარი გახდა.

აღნიშნულ საქმეში სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 1999 წლის 18 ნოემბერს და იმავე დღეს დაეწერა მოსამართლეს, ხოლო განჩინება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ მან გამოიტანა 2000 წლის 23 ნოემბერს (!!).

ამ შემთხვევაში დასკვნა ერთია! განჩინება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ ერთი წლის განმავლობაში არ არსებობდა. მოსამართლემ, ერთი წლის დაგვიანებით, როდესაც დარწმუნდა სსსკ 183 მუხლის მოთხოვნის გამოყენების აუცილებლობაში, ფორმალურად გამოიტანა აღნიშნული განჩინება. მაგრამ საუბედუროდ მოსამართლეს წლები აერია (!!). უფრო მეტიც, მოსამართლე დარწმუნებული იყო იმაში, რომ აღნიშნული განჩინების გამოტანისათვის აუცილებლად საჭირო იყო ხუთდღიანი ვადა. ამიტომაც, მან განჩინება გამოიტანა 23 ნოემბერს. აქაც მოსამართლეს გადაავიწყდა, რომ 23 ნოემბერი გიორგობის დღესასწაულია და ეს დღე დასვენების დღეა.

აქედან გამომდინარე დასკვნა ერთია. აღნიშნული განჩინება უკანონოა არა მარტო პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო, არამედ იმ მიზეზითაც, რომ უქმე და დასვენების დღეებში, აგრეთვე სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება ბათილი გადაწყვეტილებაა.

სასამართლოს ამ შემთხვევაში უკანონო მოქმედება ნამდვილად არ დასჭირდებოდა თუ ზუსტად და ერთგვაროვნად აღასრულებდა სსსკ 183 მუხლის მოთხოვნებს. რამდენადაც, სარჩელი თუ განჩინებით ხუთდღიან ვადაში არ არის მიღებული მოსამართლის მიერ - სარჩელი მიღებულად მიიჩნევა მაინც, თუ განჩინება გამოტანილი არ არის სარჩელის მიღების შესახებ.

საქმე №2/358

განმცხადებელი: შ.დ.

მოვალე: ნ.ს.



საქმე ეხება დავალიანების გადახდევინებას გამარტივებული წესით.

საქმის მასალების გაცნობიდან ჩანს, რომ განმცხადებელი ინტერესს გამარტივებული წესით მოვალისაგან 11000\$ ვალის გადახდას. აღნიშნული განცხადება სასამართლოში შემოვიდა და მსოამართლეს დაეწერა 2000 წლის 5 დეკემბერს, ხოლო 27 დეკემბერს მოსამართლემ გამოიტანა გადახდის ბრძანება (ს.კ.11), მაგრამ ამ ბრძანების მოვალესადმი გადაგზავნა არ ჩანს. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ სასამართლოს მიერ დაირღვა სსსკ 306 მუხლის II და III ნაწილების მოთხოვნები.

კონკრეტულ საქმეზე დასკვნა ერთია: უხეშად დაირღვა მოვალის ინტერესები, რამდენადაც, როგორც საქმის მასალების ანალიზი გვიჩვენებს, მან არ იცოდა თუ რა ხდებოდა მისი საქმის გარშემო სასამართლოში მითუმეტეს, რომ გადახდის ბრძანების გამოტანის თაობაზე იგი ინფორმირებულიც კი არ ჩანს საქმის მასალებიდან გამომდინარე. არადა ამ შემთხვევაში, სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა ემოქმედა.

სასამართლოს პარალელურად განმცხადებლისთვის უნდა გაეკეთებინა შეტყობინება, რომ მოპასუხეს გადაეცა გადახდის ბრძანება. ე.ი.სახეზეა პარალელურად განმცხადებლის ინტერესების შებღალვა.

საქმე №2<sup>ბ</sup>/30

მოსარჩელე: შპს "კომპლექტაცია" ვაშლოვანის ბაზა;

მოპასუხე: სევა ბანკის არაგვის ფილიალი;

თანამოპასუხე: ფირმა "სვაის" მინდროვანის ხილსაცავი.

სარჩელი ეხება დაკისრებული თანხისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას 5041 ლარის ოდენობით.

სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 2001 წლის 23 თებერვალს და იმავე დღეს დაეწერა მოსამართლეს, რომელმაც განჩინებით საქმე წარმოებაში მიიღო 28 თებერვალს, რაც უდაოდ პოზიტივიზმის მაჩვენებელია. მიუხედავად საქმის განხილვის დასაწყისში სასამართლოს მხრიდან გამოვლენილი პოზიტივიზმისა ამ საქმეში შეიმჩნევა დარღვევები. კონკრეტულად, საქმის დეტალური ანალიზიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სარჩელის სასამართლოში შემოტანიდან მხარეები აბსოლუტურად გაუცნობიერებელნი იყვნენ თავიანთი სადაო საკითხის ირგვლივ. რამდენადაც სასამართლოს მიერ სარჩელი და თანადროული საბუთები მოპასუხეს (ს.ფ. 20-22) და თანამოპასუხეს (ს.ფ. 21-23) გადაგზავნათ 18 აპრილს.



საქმე 2/230

მოსარჩელე: სააქციო საზოგადოება "მილგადაცემის" ფილიალის ფეროს საქმელო საწარმო

(ღირექტორი გ.კ.);

მოპასუხე: ფეროს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის ადმინისტრაცია.

სარჩელი ეხება იძულებითი წესით გამოსახლებას.

ამ საქმის ანალიზიდან აშკარად ჩანს, მხარეებს არ გაეგზავნათ სასამართლო უწყებები, რაც უაღრესად ნეგატიურად დამკვიდრებული პრაქტიკაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

სასამართლოს მხრიდან ამ შემთხვევაშიც კანონმდებლის მოთხოვნა დაცული არ იქნა, რამაც უხეშად დაარღვია საქმეში მონაწილე პირთა უფლებები.

აღნიშნულ საქმეზე სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 2000 წლის 29 მაისს და საქმეზე I ინსტანციაში არსებითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა თითქმის 7 (შვილი) თვის შემდეგ 2000 წლის 26 დეკემბერს, არადა საქმე სულ 26 (ოცდაექვს) ფურცელს მოიცავს (!!).

მართლაცდა, ასეთ შემთხვევაში კომენტირებაც ჭირს!!!

აღნიშნულ საქმეშივე, საქმის II ინსტანციით (სააპელაციო წესით) განხილვის დროს მითითებულია, რომ "სასამართლოს არა აქვს იმის დოკუმენტი, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებული აქვს" (ს.კ. 57).

აქაც დასკვნა ერთია. მხარე II ინსტანციის სასამართლოშიც არ არის ინფორმირებული თავისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.

აღნიშნული ფაქტები მეტყველებენ, რომ სასამართლოების მხრივ მხარეთა გამოძახების პრობლემა ფრიად აქტუალურია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კონტექსტში, რომ არაფერი ითქვას კონკრეტულ საქმეზე სსსკ 70, 78 და მე-2 მუხლების მოთხოვნების უხეშ დარღვევებზე.

საქმე №2/28

მოსარჩელე: შპს "არდიას"\* პარტნიორები

მოპასუხე: შპს "არდიას"\* ღირექტორი ჩ.ხ.

სარჩელი ეხება პარტნიორობიდან გამორიცხვასა და წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

აღნიშნული საქმის ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ საქმეში მონაწილე მხარეებს საერთოდ არა აქვთ ინფორმაცია, თუ რომელ მოსამართლეს

დაეწერა საქმე და საერთოდ, სარჩელი წარმოებაშია თუ არა მიღებული. კერძოდ: სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 1999 წლის 1 თებერვალს და მოსამართლე 1 თვეზე მეტი ხნის შემდეგ (ისე რომ სარჩელში არავითარი ხარვეზი შესავსები არ არის) 8 მარტს იღებს საქმეს წარმოებაში, რის შემდეგაც საქმეზე არცერთი პროცესუალური მოქმედება არ ტარდება. ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ 19 მაისს (ს.ფ.93) საქმე გადაეწერა ახლად დანიშნულ მოსამართლეს, რომელიც საქმეს სსსკ 183 მუხლის უხეში დარღვევით წარმოებაში არ იღებს და მხარეთათვის (უწყების) გაგზავნის გარეშე ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას.

ამ საქმის კომენტირებიდანაც აშკარად ჩანს სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების უხეში დარღვევის ფაქტები.

საქმე 2/36

მოსარჩელე: ავიდგორის\* სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ფ.გ.

მოპასუხე: ე.მ.

სარჩელი ეხება საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტას, საიჯარო ქირის გადახდას, უნებართვოდ აშენებული შენობის დანგრევასა და ახლად აშენებულის დაკანონებას.

აღნიშნულ საქმეში მოპასუხის მიერ შემოტანილი შესაგებელი (ს.ფ. 11-12) მოსარჩელემ ჩაიბარა 2000 წლის 2 თებერვალს, ხოლო მოსამართლემ განჩინება მთავარი სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ (ს.ფ. 13) გამოიტანა 13 იანვარს, ე.ი. იქამდე, სანამ მოსარჩელე მოპასუხის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კურსში იქნებოდა. აღნიშნული განჩინებით მთავარი სასამართლო სხდომა დაინიშნა 28 იანვარს.

საქმის ფაქტობრივი მონაცემების კვალობაზე აშკარაა, რომ საქმის განხილვა ფაქტობრივად და სამართლებრივად მოუზადებელია, რამდენადაც ჯერ მთავარი სასამართლო სხდომა დაინიშნა, ხოლო შემდეგ მიეცა მხარეებს შესაძლებლობა, რომ გაცნობოდნენ საქმის მასალებს, ერთმანეთის მტკიცებულებებსა და იმ დოკუმენტებს, რომლებზეც მხარეები ამყარებდნენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხარეებს უწყებებიც არ ჩაბარებიათ, რამდენადაც უწყებაზე (ს.ფ. 14-15) აღრესატების ხელმოწერა არ არის.



ამგვარად, მოუმზადებელი პროცესი ლოგიკურად სხვა გაურკვეველი დროისათვის გადაიდო (ს.კ. 16). ამ შემთხვევაში მოსამართლემ პროცესის გადადება ყოველგვარი მოტივაციის გარეშე მოახდინა.

საქმის გადადება სასამართლომ კანონსაწინააღმდეგოდ მოახდინა, რამდენადაც საქმის გადადებისას გამოცხადებულ მხარეთათვის ცნობილი არ ყოფილა ახალი სასამართლო სხდომის დანიშვნის დრო, რაც სსსკ 216 მუხლის II ნაწილისა და ზოგადად, XXIV თავის უხეშ დარღვევებზე მეტყველებს. თუმცა, მოსამართლემ ფორმალურად სსსკ 207 მუხლის მოთხოვნის საფუძველზე გამოიტანა განჩინება საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ და ისე დანიშნა მთავარი სასამართლო სხდომაზე ამკარად მოუმზადებელი საქმის განხილვა.

საქმე №2/449

მოსარჩელე: ერთ-ერთი რეგიონის საბაჟო დეპარტამენტი\*

მოპასუხე: ერთ-ერთი რეგიონის წყალ-კანალ კომპანია\*

სარჩელი ეხება თანხების დაკისრებას.

საქმის დეტალური ანალიზიდან ვარკვევთ, რომ საქმის განხილვა 13 დეკემბრის სასამართლო სხდომიდან მოიხსნა და გადაიდო სხვა გაურკვეველი დროისათვის იმ მოტივაციით, რომ მოპასუხეს სასარჩელო განცხადება და თანდართული მასალები არ ჩაბარებია.

ამ შემთხვევაში თავისდა უნებურად სასამართლომ დაადასტურა ფაქტი იმისა, რომ თვითონვე უარყო სამოქალაქო საქმეთა განხილვის საშეჯიბრო საწყისი და სსსკ XXIV თავის მოთხოვნები.

მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი ამ საქმეში გახლავთ ის, რომ სასამართლომ 9 (ცხრა) თვის განმავლობაში ვერ უზრუნველყო არათუ პროცესის მომზადება, არამედ მხარის ინფორმირებულობა, სადაო საკითხების ირგვლივ არსებული დოკუმენტაციის შესახებ.

ასეთი მკვეთრი განცხადების საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 23 მარტს.

ახალ სამართლებრივ კონცეფციაში სასამართლო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გაუთვითცნობიერებლობა, მოქმედებს სამოქალაქო პროცესუალური პრინციპების არასწორ აღქმასა და პრაქტიკაში დანერგვაზე, რაც წინაპირობა ხდება კიდევ საზოგადოების მხრიდან სამართლიანი გულისწყრომისა.

ახალი სამართლებრივი კონცეფციის საბჭოურ სამართლებრივ კონცეფციასთან განსხვავებული ძირითადი ნიშანი შეჯიბრებითობაა და დისპოზიციურობის პრინციპების ახლებური სამართლებრივი გააზრებაა.

დისპოზიციულობის პრინციპის ზოგადი არსი მდგომარეობს მასში, რომ მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სსსკ-ში ჩამოყალიბებული ნორმების შესაბამისად.

დისპოზიციურობისა და ყველა სხვა პროცესუალური პრინციპების დაუცველობას, ახალი სამართლებრივი კონცეფციის გაუაზრებლობას, მიყვარათ ისეთ პარადოქსულ სიტუაციამდე, როდესაც მხარეს გასაჩივრების უფლება ერთმევა (?). კონკრეტულად:

საქმე №2-408/1

მოსარჩელე: ი.ა.

მოპასუხე: დ.ა.

სარჩელი ეხება ქორწინების შეწყვეტას

აღნიშნული საქმის გადაწყვეტილებაში (ს.კ.14), რომელიც სასამართლოს მიერ გამოტანილია 2001 წლის 1 ივნისს, წერია: "გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში არ საჩივრდება"

საქმე 2-222/2

მოსარჩელე: ნ.ნ.

მოპასუხე: რკინიგზის\* საფინანსო განყოფილება

სარჩელი ეხება სამემკვიდრეო ვადის გაგრძელებას.

აღნიშნული საქმის გადაწყვეტილებაში მოსამართლის მიერ მითითებულია: "გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ საჩივრდება".

საქმე №02-0/392

განმცახებელი ნ.ბ.

საქმე ეხება სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას.

ამ საქმის გადაწყვეტილებაში (ს.კ. 13-14) წერია: "გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება". ამ საქმის დეტალური ანალიზიდან ჩანს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა კონკრეტული ხასიათის დარღვევასთან მოცემულ შემთხვევაში, არამედ სასამართლოს მხრიდან პიროვნების უფლებების უზურპაციასთან, რამდენადაც სასამართლოების ამ გადაწყვეტილებით პიროვნებას უფლება ჩამოერთვა სასამართლო წესით დაიცვას თავისი უფლებები.

აღნიშნული ფაქტები მეტყველებს მასზე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო პიროვნებას უარს ეუბნება მართლმსაჯულების განხორციელებაზე და უტოვებს (თეორიულად მაინც) არაკანონისმიერი გზით დავის გადაწყვეტის შანსს. რაც მეტად საშიში და სახიფათო ტენდენციაა, ისეთი ქვეყნებისათვის, რომელსაც პრეტენზია გააჩნია ჩამოყალიბდეს სამოქალაქო, სამართლებრივ სახელმწიფოდ.

ახალი სამართლებრივი კონცეფციისა და მის საფუძველზე შექმნილი სამოქალაქო პროცესუალური პრინციპების სასამართლოების მხრიდან არასწორ აღქმასა და სასამართლო პრაქტიკაში დანერგვას მივყავართ ისეთ კუროიზამდე, როდესაც არა ჩანს, კონკრეტული სამე თუ სარჩელი რეგისტრირებულია თუ არა კანცელარიაში. ამ განცხადების საფუძველს იძლევა ის, რომ მათზე დასმული არ არის კანცელარიის შტამპი.

კონკრეტულად:

საქმე №15/03

მოსარჩელე: რ.ჭ.

მოპასუხე: გ.ჭ.ჭ.

III პირი: ე.გ.

სარჩელი ეხება ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას.

ამ საქმეში თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ შემოსულ სარჩელზე, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარე აწერს კონკრეტულ მოსამართლეს, არ არის დასმული კანცელარიის შტამპი და შესაბამისად რეგისტრაციის ნომერიც. ეს გვაფიქრებინებს, რომ სარჩელი კანცელარიის გვერდის ავლით იზილება სასამართლოში.

ამავე საქმეში სსსკ 90 მუხლის I ნაწილის უხეში დარღვევით სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი განჩინება III პირის საქმეში მონაწილეობის ჩაბმის ან ასეთ ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ.

ამავე საქმის დეტალური ანალიზი საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მთავარი სასამართლო სხდომა სსსკ 207 მთხოვნის უგულვებელყოფით იქნა დანიშნული, რამდენადაც საქმეზე არ ყოფილა გამოტანილი განჩინება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ.

ამგვარად, აშკარად მოუმზადებელი პროცესი ყოველგვარი დასაბუთების ვარეშე გადაიდო.

ლოგიკურად ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ სასამართლოს სხვადასხვა მოქმედების შესაბამისად გამოცხადებულ მხარეთათვის უნდა ეცნობებინა პროცესის გადადების დრო და საქმის გადადების მოტივაცია.

კანონმდებლის აღნიშნული მოთხოვნები სასამართლოს მიერ უხეშად იქნა უგულებელყოფილი.

საქმე №2/1285

აღნიშნული საქმის კომენტირება I ინსტანციის სასამართლოში განხილვისას ჩვენს მიერ მოხდა. ამ საქმეს კიდევ მიუხედავად II და III ინსტანციაში განხილვის კომენტირებისას. მაგრამ აქ გვინდა აღვნიშნოთ, II ინსტანციიდან I ინსტანციაში ისე დაბრუნდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაუქმებლად და მოსამართლეს ისე დაეწერა 2000 წლის 9 აგვისტოს ეს საქმე, რომ საქმეზე კანცელარიის შტამში არ არის დასმული, რაც ამ საქმის კანცელარიაში არარეგისტრირებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

იგივე შეიძლება ითქვას - საქმე №2/1-122

მოსარჩელე: გაჭვდილის\* ს.ს. "მედი"

მოპასუხე: გაჭვდილის\* რაიკოპერატივი. სარჩელი ეხება 14600 ლარის დაბრუნებას

აღნიშნული სამე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ისე დაეწერა მოსამართლეს, რომ სარჩელზე კანცელარიის შტამში არ არის დასმული.

იგივე შეიძლება ითქვას - საქმე №2/72

აღნიშნული საქმეც კანცელარიაში არა რეგისტრირებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რამდენადაც საქმის არცერთ ფურცელზე კანცელარიის შტამში დასმული არ არის.

ამავე საქმის 2000 წლის 22 აგვისტოს განჩინებაში (ს.ფ. 1) სამოქალაქო საქმის გარჩევისათვის მომზადების შესახებ მითითებულია, მოსამართლე გაეცნო "რაიკოპერატივის თავმჯდომარის ზ.გ. განცხადებას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ".

საქმის მასალებიდან გამომდინარე მოსარჩელე არის რაიონის\* რაიკოპერატივის გამგეობა და განცხადებას ხელს აწერს თ.მ. (ს.ფ. 2 - სტილი დაცულია).

საქმის მასალების დეტალური ანალიზის მიუხედავად, მაინც გაურკვეველი დარჩა თუ ვისი განცხადება მიიღო მოსამართლემ საქმის გარჩევისათვის მომზადების შესახებ, რამდენადაც ზ.გ.-ს პიროვნება უცნობია.



აქვე უნდა აღინიშნოს: მოსარჩელე და განცხადება ალოგიკურ კავშირში ერთმანეთთან, რამდენადაც სასარჩელო წარმოება იწყება სარჩელით, ხოლო უდავო წარმოება, რომელსაც ეხება ეს საკითხი, იწყება განცხადებით.

აღნიშნულ საქმეზე, მთავარი სასამართლო სხდომა განჩინებით სხდომის დანიშვნის შესახებ სსსკ 207 მუხლის მოთხოვნის უგულებელყოფით ჩატარდა. ამ სხდომის ოქმით (ს.ფ.8) ჩვენთვის, საქმის მასალებიდან გამომდინარე, უცნობი ზ.გ.-ა განმცხადებელი.

ამავე სასამართლო სხდომაზე, საქმის მასალებიდან გამომდინარე, კიდევ ერთი სრულიად ახალი, პროცესუალურად გაურკვეველი სტატუსის მქონე პიროვნება ა.ხ. განცხადებით ითხოვს ქონების დაყადაღებას (არადა, პროცესუალურად, ამის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ზ.გ-ს), რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

როგორც საქმის ანალოზი გვიჩვენებს, საქმე სრული ანარქიის პირობებში განიხილება სასამართლოში, რამდენადაც პიროვნების სტატუსი თვით სასამართლოსათვის, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ან უცნობია, ანდა სამკითხაოა.

აქედან გამომდინარე, დასკვნა ერთია: აღნიშნული საქმის სასამართლოში განხილვის პროცესი აშკარად მოუმზადებელი და კანონმდებლობის უხეში დარღვევითაა წარმოებული.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ გამოიტანა 5 დეკემბერს გადაწყვეტილება, მაგრამ მასში ყადაღის მოხსნის თაობაზე რასაკვირველია მითითებული არაფერია, არადა, საქმის მასალიდან გამომდინარე ყველა წინაპირობა არსებობდა იმისა, რომ ყადაღა მოხსნილიყო.

ამგვარად, ამ საქმის კომენტირებიდან აშკარაა, რომ პროცესუალური დარღვევები განპირობებულია მთლიანად ახალი სამართლებრივი კონცეფციის გაუაზრებლობითა და არასწორი ინტერპრეტაციით სასამართლოს მხრიდან.

სასამართლო კანცელარიაში არარეგისტრირებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს შემდეგი საქმეები:

1) საქმე №2/173

მოსარჩელები: დ.ა. და მ.ე

მოპასუხეები: ს.ტ. და ე.ა.

სარჩელი ეხება სესხის დაბრუნებას;

2) საქმე №2/1882

საქართველოს თ-ი სამინისტროს განცხადება შპს "ლ-ე" მიერ გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და კანონის შეცვლის შესახებ



3) საქმე №2/1280

მოსარჩელე: ა.ქ.

მოპასუხე: საქართველოს უ-ა კავშირის თავმჯდომარე გ.კ.

სარჩელი ეხება სამუშაოზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას.

4) საქმე №2/815

მოსარჩელე: ქ.შ.

მოპასუხე: ჯ.შ. გ.დ.მ.

სარჩელი ეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას.

როგორც აღნიშნული საქმეების დეტალური ანალიზისას გავარკვეით, თითოეული საქმის არცერთ გვერდზე არ აღმოჩნდა დასმული კანცელარიის შტამპი, რაც მეტად საგანგაშო სიმპტომი უნდა გახდეს ქვეყნის სასამართლო ხელისუფლებისათვის.

საქმის კომენტარებისას მივედით ერთადერთ დასკვნამდე: მხარეები აბსოლუტურად ინფორმირებული უნდა იყვნენ თავიანთი სადაოდ გამზდარი უფლებების აღდგენის შესახებ სასამართლოს მხრიდან. ეს ეხება კანცელარიაში მუშაობის რეგლამენტაციასა თუ პროცესუალურ საკითხებს.

ინფორმაციის მიუცემლობა მხარეებისათვის ტოლფასია მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმისა. მითუმეტეს, რომ სსსკ 9 მუხლის შესაბამისად საქმეები სასამართლოში განიხილება ღიად და საქვეყნოდ. აგრეთვე, სამუჯიბრო საწყისით საქმის განხილვის ძირითადი არსი მდგომარეობს მასში, რომ მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ თავიანთი დარღვეული ან სადაოდ გამზდარი უფლებების აღდგენისათვის მიმდინარე განხილვების პერიპეტებიზე. მათ უფლება გააჩნიათ იცოდნენ, თუ რა მტკიცებულებით აპირებს მოწინააღმდეგე მხარე მათ წინააღმდეგ სასამართლო ბრძოლას. სასამართლოს არსი და მნიშვნელობა იმაშია, რომ მან უნდა უხელმძღვანელოს სასამართლოში მხარეთა შორის გამართულ დავას. ამისათვის, მან პროცესი უნდა მოამზადოს იმდაგვარად, რომ მოდავე მხარეები ერთმანეთის მიმართ ინფორმირებულობის თვალსაზრისით თანასწორ საწყისებზე იმყოფებოდნენ. რითაც, სასამართლო გამორიცხავს მხარეთა მიერ მოსალოდნელ არაკეთილსინდისიერებას მოწინააღმდეგე მხარისა თუ თვით სასამართლოს მიმართ. ყოველივე ეს კი გახდება საწინდარი იმისა, რომ სსსკ 5 მუხლის საფუძველზე არა ფორმალურად,

არამედ რეალურად მართლმსაჯულება განხორციელდეს  
სასამართლოს მიერ მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე.

სადაო საქმეებისადმი სწორედ, ამგვარი მიდგომის შემდგომ რეალური  
გახდება ქვეყანაში სსსკ 6 მუხლის შესამაბისად მოსამართლეთა  
დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება.

ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა:

საქმე №2/79

მოსარჩელე: თ.ნ.გ.

მოპასუხე: თ.თ.გ.

სარჩელი ეხება საკომლო წიგნიდან უკანონოდ ჩაწერილი პირის  
ამოწერას.

აღნიშნული საქმის ანალიზით გაირკვა, რომ I ინსტანციით საქმის  
სასამართლო განხილვის დროს გადაწყვეტილების გამოტანას არ ესწრებოდა  
სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. მის ადვოკატს  
მარწმუნებლისაგან გასაჩივრების თაობაზე რწმუნება არ ქონია.

ამ საქმეზე სასამართლომ სსსკ 369 მუხლის უგულებელყოფით  
სასამართლო სხდომის ოქმსა და გადაწყვეტილებაში არ მიუთითა  
გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, თუ როდის იწყებოდა იგი.  
სასამართლომ არ მიიღო ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება  
მხარეთათვის მისი უფლების განმარტების (ინფორმაციის მიღების) შესახებ.  
სასამართლო ვალდებული იყო მხარეებისათვის განემარტა გასაჩივრების წესი  
- თუ საიდან იწყებოდა ვადის დინება სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში აშკარად დაირღვა მხარის უფლება  
სასამართლოს მხრიდან

ამ საქმის კომენტარებისას მივედით დასკვნამდე: შესაძლებელია,  
გასაჩივრების ვადის არ ცოდნა მხარისა და მისი ინტერესების დამცველის  
არაკეთილსინდისიერების დამცველის არაკეთილსინდისიერების შედეგი იყო,  
მაგრამ ამ შემთხვევაში სასამართლო ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმალლეზე.

მხარეთა არაინფორმირებულობის თვალსაჩინო მაგალითია

საქმე №2/122

მოსარჩელე: გაჭვდილის\* ს.ს. "იმედი"

მოპასუხე: გაჭვდილის\* რაიკოოპერატივი.

სარჩელი ეხება 14600 ლარის დაბრუნებას.



აღნიშნული საქმე სასამართლოში შემოვიდა და მოსამართლეს დაეკავშირა 1998 წლის 27 ივლისს.

საქმის დეტალური ანალიზი საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ: საქმე ყოველგვარი მოტივაციის გარეშე 1 წლის განმავლობაში ერთი სასამართლო სხდომიდან მეორეზე გადაიდებოდა (ს.ფ. 23; 25; 26; 41; 49) იმგვარად, რომ სასამართლო სხდომის დანიშნვის შესახებ განჩინება საერთოდ გამოტანილი არ ყოფილა. ე.ი. დასკვნა ერთია, პროცესი აშკარად მოუმზადებლად იმართებოდა.

1999 წლის 23 ივნისს სასამართლომ გამოიტანა განჩინება სამოქალაქო საქმეზე მოკვლევის ჩასატარებლად საქმის რაიპროკურატურაში გადაგზავნის შესახებ (ს.კ. 53-54).

აღნიშნული საქმის პროკურატურაში გადაგზავნას, ანუ ერთი შენობიდან მეორე შენობაში გადატანას (შეიძლება ერთი სართულიდან მეორე სართულზე ატანასაც) მოუწია 3 თვე. რამდენადაც, საქმე სასამართლოდან პროკურატურაში გადაიგზავნა 1999 წლის 16 სექტემბერს (ს.კ.56).

როგორც საქმის ფურცელთა მითითებიდან ჩანს, საქმეს ამ სამი თვის განმავლობაში აბსოლუტურად არაფერი არ შემატებია.

აღნიშნული საქმე პროკურატურიდან სასამართლოში (ან იყო პროკურატურაში საქმე) თუ როდის დაბრუნდა არ ჩანს.

საქმეში ჩნდება თანამოპასუხე, მაგრამ სასამართლოს ამ შემთხვევაშიც არ გამოაქვს განჩინება საქმეში ამ პიროვნების ჩართვის შესახებ.

საქმის განხილვაში ისევ წყვეტილობაა და 2000 წლის 10 აგვისტოს დაინიშნა სასამართლო სხდომა, რა თქმა უნდა სსსკ 207 მუხლის მოთხოვნის უგულბელებოფით, განჩინების გამოტანის გარეშე. მაგრამ მხარეები რომ ინფორმირებულნი არიან ამ სხდომის ჩატარების შესახებ საქმის დეტალური შესწავლიდან არ ჩანს (!)

აქ დასკვნა ერთია: ამ საქმეზე მხარეების არაინფორმირებულობა, სასამართლოს მიერ პროცესის ხელმძღვანელობის უგულბელებოფა, გახდა საფუძველი კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევების.

საქმე №2/1728

მოსარჩელე: დ.მ.

მოპასუხე: თ.ბ.

სარჩელი ეხება სესხის დაბრუნებას.

აღნიშნულ საქმეზე სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 2000 წლის 20 ივლისს.  
სექტემბერს.

რა ბედი ეწია საქმეს 20 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე უცნობია, რამდენადაც ამ ნახევართვიან პერიოდში საქმის განხილვა ერთი მოსამართლიდან გადაეწერა მეორე მოსამართლეს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე.

საქმეში - რაც ყველაზე საგანგაშოა - განმხილველ არცერთ მოსამართლეს საქმე წარმოებაში არ აქვს მიღებული. ამის შესახებ, მხარეთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე ლაპარაკი საზოგადოებისათვის ფორმალურ ხასიათს ატარებს.

საქმე №2/210

მოსარჩელე: ნ.დ.

მოპასუხე: ა.კ.

სარჩელი ეხება სამხარეულოს საკუთრებაში დაკანონებას.

აღნიშნულ საქმეში სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 2000 წლის 5 ივლისს. და იმავე დღეს დაუწერია მოსამართლეს.

საქმის დეტალური ანალიზიდან თვალსაჩინოა, რომ ამ საქმეზე დავის არსებითი განხილვა ფაქტობრივად და სამართლებრივად მოუმზადებლად ჩატარდა. რამდენადაც, საქმეზე მოპასუხის მიერ შემოტანილი შესაგებელი მოსარჩელე მხარეს არ ეცნობა (ყოველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ასე ჩანს) და მოსამზადებელი სასამართლო სხდომა განჩინების გამოტანის გარეშე დაინიშნა.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს სსსკ 202 მუხლის შესაბამისად მოპასუხის წერილობითი პასუხი და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნა მოსარჩელისათვის.

სასამართლოს, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყო მოსარჩელის მიერ მოპასუხის წერილების შესაგებელზე სასამართლოში, 5 დღიან ვადაში, წარმოედგინა თავისი მოსაზრებები.

ამგვარად, ამ საქმის ანალიზიდან აშკარაა, რომ სასამართლოს მიერ თავისი უფლებამოსილების არაკანონიერი გზით აღსრულება და სამოქალაქო პროცესუალური პრინციპის დარღვევა გახდა კიდევ წინაპირობა სსსკ XXIV თავის მოთხოვნების დარღვევების.

საქმე №1914

საქმე ეხება გ.ო. განცხადებას რეგისტრაციის ვადის აღდგენის შესახებ.

აღნიშნული საქმე სასამართლოში შემოვიდა და მოსამართლეს დაეწინაურა 1998 წლის 27 ივლისს.

საქმის დეტალური ანალიზი საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ: საქმე ყოველგვარი მოტივაციის გარეშე 1 წლის განმავლობაში ერთი სასამართლო სხდომიდან მეორეზე გადაიდებოდა (ს.ფ. 23; 25; 26; 41; 49) იმგვარად, რომ სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინება საერთოდ გამოტანილი არ ყოფილა. ე.ი. დასკვნა ერთია, პროცესი ამკარად მოუმზადებლად იმართებოდა.

1999 წლის 23 ივნისს სასამართლომ გამოიტანა განჩინება სამოქალაქო საქმეზე მოკვლევის ჩასატარებლად საქმის რაიპროკურატურაში გადაგზავნის შესახებ (ს.კ. 53-54).

აღნიშნული საქმის პროკურატურაში გადაგზავნას, ანუ ერთი შენობიდან მეორე შენობაში გადატანას (შეიძლება ერთი სართულიდან მეორე სართულზე ატანასაც) მოუნდა 3 თვე. რამდენადაც, საქმე სასამართლოდან პროკურატურაში გადაიგზავნა 1999 წლის 16 სექტემბერს (ს.კ.56).

როგორც საქმის ფურცელთა მითითებიდან ჩანს, საქმეს ამ სამი თვის განმავლობაში აბსოლუტურად არაფერი არ შემატებია.

აღნიშნული საქმე პროკურატურიდან სასამართლოში (ან იყო პროკურატურაში საქმე) თუ როდის დაბრუნდა არ ჩანს.

საქმეში ჩნდება თანამოპასუხე, მაგრამ სასამართლოს ამ შემთხვევაშიც არ გამოაქვს განჩინება საქმეში ამ პიროვნების ჩართვის შესახებ.

საქმის განხილვაში ისევ წყვეტილობაა და 2000 წლის 10 აგვისტოს დაინიშნა სასამართლო სხდომა, რა თქმა უნდა სსსკ 207 მუხლის მოთხოვნის უგულებელყოფით, განჩინების გამოტანის გარეშე. მაგრამ მხარეები რომ ინფორმირებულნი არიან ამ სხდომის ჩატარების შესახებ საქმის დეტალური შესწავლიდან არ ჩანს (!)

აქ დასკვნა ერთია: ამ საქმეზე მხარეების არაინფორმირებულობა, სასამართლოს მიერ პროცესის ხელმძღვანელობის უგულებელყოფა, გახდა საფუძველი კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევების.

საქმე №2/1728

მოსარჩელე: დ.მ.

მოპასუხე: თ.ბ.

სარჩელი ეხება სესხის დაბრუნებას.



აღნიშნულ საქმეზე სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 2000 წლის 20 სექტემბერს.

რა ბედი ეწია საქმეს 20 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე უცნობია, რამდენადაც ამ ნახევართვიან პერიოდში საქმის განხილვა ერთი მოსამართლიდან გადაეწერა მეორე მოსამართლეს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე.

საქმეში - რაც ყველაზე საგანგაშოა - განმხილველ არცერთ მოსამართლეს საქმე წარმოებაში არ აქვს მიღებული. ამის შესახებ, მხარეთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე ლაპარაკი საზოგადოებისათვის ფორმალურ ხასიათს ატარებს.

საქმე №2/210

მოსარჩელე: ნ.დ.

მოპასუხე: ა.კ.

სარჩელი ეხება სამზარეულოს საკუთრებაში დაკანონებას.

აღნიშნულ საქმეში სარჩელი სასამართლოში შემოვიდა 2000 წლის 5 ივლისს. და იმავე დღეს დაუწერია მოსამართლეს.

საქმის დეტალური ანალიზიდან თვალსაჩინოა, რომ ამ საქმეზე დავის არსებითი განხილვა ფაქტობრივად და სამართლებრივად მოუშზადებლად ჩატარდა. რამდენადაც, საქმეზე მოპასუხის მიერ შემოტანილი შესაგებელი მოსარჩელე მხარეს არ ეცნობა (ყოველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ასე ჩანს) და მოსამზადებელი სასამართლო სხდომა განჩინების გამოტანის გარეშე დაინიშნა.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს სსსკ 202 მუხლის შესაბამისად მოპასუხის წერილობითი პასუხი და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნა მოსარჩელისათვის.

სასამართლოს, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყო მოსარჩელის მიერ მოპასუხის წერილების შესაგებელზე სასამართლოში, 5 დღიან ვადაში, წარმოედგინა თავისი მოსაზრებები.

ამგვარად, ამ საქმის ანალიზიდან აშკარაა, რომ სასამართლოს მიერ თავისი უფლებამოსილების არაკანონიერი გზით აღსრულება და სამოქალაქო პროცესუალური პრინციპის დარღვევა გახდა კიდევ წინაპირობა სსსკ XXIV თავის მოთხოვნების დარღვევების.

საქმე №1914

საქმე ეხება გ.ო. განცხადებას რეგისტრაციის ვადის აღდგენის შესახებ.

სასამართლოს აღნიშნულ საქმეზე 2000 წლის 13 ნოემბერს, სასამართლო კანონზომიერად გამოაქვს განჩინება სარჩელის (ალბათ უნდა იყოს განცხადების) უმოქმედოდ დატოვების შესახებ. სასამართლო ბაჟის გადაუნდებლობისა და ტეხლარიცხვის სამსახურიდან ცნობის მოუტანლობის მოტივაციით განმცხადებელს, ხარვეზის შესავსებად აძლევს 10 დღიან ვადას.

სასამართლოს, მის მიერვე დაწესებული 10 დღიანი ვადის დარღვევით, 27 ნოემბერს გამოიტანა განჩინება სარჩელის (ალბათ, განცხადების) მიღების შესახებ (ს.ფ.9), რომელშიც წერია: "ა.წ. 25 ნოემბერს განმცხადებლის მიერ შევსებულ იქნა ხარვეზი".

მოსამართლის მიერ გამოტანილი ეს განჩინება აშკარად სიყალბეზე დაფუძნებული, რამდენადაც, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს:

- სახელმწიფო ბაჟი განმცხადებლის მიერ გადახდილია 1 დეკემბერს და
- ტექნიკური აღრიცხვის სამსახურიდან განმცხადებლის სახელზე ცნობა გაცემულია 27 ნოემბერს (ს.ფ. 12).

ამგვარად, დასკვნა ერთია: შეუძლებელი იყო რომ განმცხადებელს 25 ნოემბრისათვის განცხადებაზე არსებული ორივე ხარვეზი შეეგვსო.

ამდენად მოსამართლემ არაკანონისმიერი გზით დაიცვა განმცხადებლის ინტერესები.

ჩვენი ღრმა რწმენით, პიროვნების უფლებები და თავისუფლებები სასამართლოებში დაცული უნდა იქნას მხოლოდ კანონისმიერი გზით, რაც გახდება კიდევ საფუძველი საზოგადოებისა და სასამართლო ხელისუფლების პარმონიული თანაარსებობისათვის.

საქმე №02/79

მოსარჩელე: მ.კ

მოპასუხეები ა) ქ.მ.

2) თ.მ.

სარჩელი ეხება საავტორო უფლების დარღვევის აკრძალვას.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე სასამართლოს წინაშე შეამდგომლობს, რომ მოპასუხეების მიმართ გამოყენებულ იქნას სსსკ 198 მუხლის II ნაწილის პუნქტი "თ" და მოითხოვს მათთვის გაუსვლელობის ხელწერილის ჩამორთმევას, მაგრამ სასამართლო ამაზე არავითარ რეაგირებას არ ახდენს.

ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში სასამართლომ უხეშად დაარღვია სსსკ 193 მუხლის მოთხოვნა და იმავე დღესვე არ გამოიტანა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ან სარჩელის უზრუნველყოფაზე ოქმის შესახებ.



როგორც ჩანს, სამოქალაქო პროცესუალური პრინციპების არასწორი ინტერპრეტაცია და სასამართლო პრაქტიკაში დანერგვა კერძო დასჯების განხილვის დროს განაპირობებს:

• პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებათა შეზღუდვას, რაც შემდგომში მასტიმულირებელი ხდება იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დროს სასამართლოების მხრიდან -

1) ყოველგვარი ვადაგადაცილებით გაჭიანურდეს საქმეთა წარმოება (მათ შორის თვეების განმავლობაში ქონდეთ პროცესუალური მოქმედების გარეშე საქმე წარმოებაში);

2) შეუძლებელი გახდეს იმის გაგება, თუ საქმე რომელ მოსამართლეს აწერია;

3) არ იქნეს დაცული, როგორც ფორმალურად, ასევე სამართლებრივად სსსკ 90 და 207 მუხლების მოთხოვნები;

4) სადაო, განსახილველი საქმიდან დაიკარგოს საბუთები და დოკუმენტები;

5) მხარეები არასწორად იქნეს მოხსენებული;

6) მოხდეს სხვადასხვა საპროცესო ლაფსუსები;

მაგალითად, სამოქალაქო პროცესისათვის ასეთი ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების შემოღება, როგორიცაა:

- "საქმის გადაგზავნა ნივთობრივი პრინციპის მიხედვით",
- "დაუსწრებელი სასამართლო სხდომა" და ა.შ.

7. ვადების დარღვევა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე და სხვა.

ყველა ამ და სხვა საკითხებზე დეტალური კომენტარები, ჩვენი საკვლევი ობიექტიდან გამომდინარე, შემდეგ თავებში გვექნება.

ამგვარად: ახალი სამართლებრივი კონცეფციის საფუძველზე პროცესის პრინციპების თეორიულ-პრაქტიკულ ასპექტში კვლევისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნის სამოსამართლო კორპუსმა დავების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს შემდეგი საკითხებისადმი:

I. სარჩელის წარმოებაში მიღება -

• ჩანს თუ არა სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შემოსვლა და თარიღი;

• სასამართლოში სარჩელის (განცხადების) რეალური შემოსვლის თარიღი რამდენადაა დაფიქსირებული;



- სასამართლოს მიერ სსსკ 183 მუხლის მოთხოვნათა დაცვა; გამოტანილია თუ არა საქმეში განჩინებები სარჩელის (განცხადების) ხარვეზის შევსებისა თუ უმოძრაოდ დატოვების შესახებ და როგორია მათი დასაბუთებულობა სსსკ 185 მუხლის შესაბამისად.

- სსსკ 187 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების დასაბუთებულობა;

- შემოსულია თუ არა სასამართლოში მოპასუხის მხრიდან შეგებებული სარჩელი და საქმის განხილვის რა სტადიაზეა იგი შემოსული. აქვე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სასამართლოს მხრიდან აღსრულებაზე სსსკ 188-189 მუხლების მოთხოვნებისა შეგებებული სარჩელის მიღების პირობებზე;

- სასამართლოების მხრიდან განჩინების გამოტანისას სსსკ 284-286 მუხლების მოთხოვნების დაცულობა, რომელნიც შეეხება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებას;

## II. საქმის წინასწარი მომზადება -

- როდიდან დაიწყო სასამართლომ საქმის წინასწარი მომზადება;

- სასამართლოებისგან ყურადღების გამახვილება იმ განჩინების გამოტანაზე, რომელიც ეხება სარჩელის ასლისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ჩაბარებას მოპასუხისათვის;

კონკრეტულად დაცულია თუ არა სსსკ 201 მუხლის მოთხოვნები.

- სასამართლოების მიერ სსსკ 202-203 მუხლების მოთხოვნების გათვალისწინება;

- სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებების (მოსამზადებელი თუ მთავარი ზეპირი სასამართლო სხდომების დანიშვნის შესახებ) სსსკ 205-207 მუხლებთან შესაბამისობაში;

## III. სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული განჩინების;

## IV. III პირებისა და თანამონაწილეების პროცესუალური მდგომარეობა;

## V. სასამართლო უწყებების ჩაბარებისას, სსსკ 70-78 მუხლების მოთხოვნების დაცულობა;

## VI. სასამართლოს მთავარი (ზეპირი) სხდომის ჩატარება -

- მთავარი (ზეპირი) სხდომის წარმართვის დროს სსსკ 210-217 მუხლების დაცულობა;

• საქმის განხილვის შეჩერების შესახებ გამოტანილი განჩინების სსსკ 279-280 მუხლებთან შესაბამისობა;

VII. საუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სსსკ 229-230 მუხლების მოთხოვნების განსაკუთრებული დაცულობა;

VIII. სასამართლო სხდომის ოქმების წარმოების;

IX. არსებითი გადაწყვეტილების გამოტანისას მათი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების დასაბუთებულობა.

### შესავალი

აპელაცია ეს არის ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც დამახასიათებელი არ იყო საბჭოური სამართლებრივი კონცეფციისათვის.

ევროპის კულტურული ხალხების სახელმწიფოთა განვითარების ადრეულ სტადიაზე, სასამართლო წარმოდგენდა წმინდა სახალხო დაწესებულებას. იგი სარგებლობდა საქმიანობის სრული დამოუკიდებლობით იმის წყალობით, რომ თავდაპირველად, სახელმწიფო ხელისუფლება საერთოდ არ არსებობდა, ხოლო შემდგომში, იმდენად სუსტი იყო, რომ არ შეეძლო დაექვემდებარებინა და ემართა სასამართლოები. მოგვიანებით, ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების თანდათანობითმა განვითარებამ და გაძლიერებამ მითხოვა თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა სახალხო დაწესებულებები, და სასამართლომაც თანდათან იწყო თავისი დამოუკიდებლობის დაკარგვა. ამას შედეგად მოჰყვა სასამართლოების გადაწყვეტილებათა რევიზიის უფლება ცენტრალიზებული ხელისუფლების მხრიდან. ამას მოჰყვა საზოგადოების წევრთათვის იმ უფლების წარმოშობა, რომლის ძალითაც მათ შეეძლოთ მიემართათ ხელისუფლებისათვის სასამართლოს და მმართველობის ორგანოთა მოქმედებების შესახებ საჩივრით. სახელმწიფოებრიობის განვითარების ამ ეტაპზე გასაჩივრების სააპელაციო მეთოდი უცნობი იყო, ხოლო არსებული წესები უზრუნველყოფდნენ გადაწყვეტილების შეცვლას ან გაუქმებას მხოლოდ ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ. გასაჩივრების სააპელაციო მეთოდის წარმოშობა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ სიტუაციაში, როცა ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება იმდენად გაძლიერდებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თავისი კონტროლისათვის იერარქიულად დაწვემდებარებინა სახალხო სასამართლო ან თუნდაც შეეცვალა იგი თავისი დაწესებულებებით. ეს ზოგადი დებულებები თავის მტკიცებას პოულობენ ძველი რომის და ევროპის ხალხთა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ისტორიაში.

ძველი რომის სახელმწიფოს განვითარების ადრეულ პერიოდში, როცა იქმნებოდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება, სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ინსტიტუტი საერთოდ არ





არსებობდა. მრავალი კონფლიქტი წყდებოდა თვითდაცვის გზით. იშვიათად მიმართავდნენ სისხლით შურისგებას. ყველა, ვინც თვლიდა, რომ მისი უფლებები უსამართლოდ დაირღვა, მოწინააღმდეგეს უსწორდებოდა საკუთარი ან საკუთარი ოჯახის ძალებით. თვითდაცვა, შემდგომში განმტკიცებული იქნა XII ტაბულის კანონებშიც.

რესპუბლიკის პერიოდის პირველ ნახევარში, რომის სამოქალაქო პროცესში სამართალწარმოების ორი სტადია იყო გაბატონებული: “in jure” და “in iudicio” პროცესები. “in jure” პროცესში მონაწილეობდნენ მხარეები და სასამართლო მაგისტრატი. ეს უკანასკნელი მხოლოდ ესწრებოდა იმ საზეიმო ცერემონიებს, რომლებსაც მხარეები აწყობდნენ და წარმოთქვამდა რიტუალთა გათვალისწინებულ რეპლიკებს. მხარეებიც იმ საზეიმო, ცნობილ აქტებს ასრულებდნენ რაც მაშინდელი სამართლით იყო გათვალისწინებული. ამ აქტების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მოსარჩელე აცხადებდა თავისი უფლების შესახებ, რომლის განხორციელებაც სურდა მოპასუხის მიმართ. მოპასუხეს შეეძლო ამ უფლების მიღება (ცნობა) ან უარყოფა. ორივე შემთხვევაში, საქმის წარმოება “in jure” სტადიაში ამით მთავრდებოდა. ამ სტადიაში მთელი ფორმულებისა და ჟესტების ერთიანობას, რომელსაც მხარეები ასრულებდნენ, ეწოდებოდა “legis actio” ანუ “კანონიერი სარჩელები”, ხოლო თვით პროცესი ატარებდა “ლეგისაქციურის” სახელს.

თუ მოპასუხე არ მიიღებდა (ცნობდა) მოსარჩელის უფლებას, “in jure” გადადიოდა “in iudicio” სტადიაში. მხარეთა ფაქტობრივი მტკიცებულებების ჭეშმარიტებას ადგენდნენ მოსამართლეები, რომლებსაც თვითონ მხარეები ირჩევდნენ მაგისტრატის მიერ წარმოდგენილი სენატორთა სიებიდან. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იყო და შემდგომ გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

ლეგისაქციური პროცესები, თავისი რიტუალებით, თანდათან სულ უფრო შეუსაბამო ხდებოდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის. ახალი საქმიანი ცხოვრება - ახალ მოთხოვნებს აყენებდა დღის წესრიგში.

ებუციუსის კანონისა და იულიუსის ორი კანონის ძალით, რომში შემოღებულ იქნა და შემდგომში განმტკიცდა ფორმულარული პროცესი. აქ, პრეტორი, უკვე წერილობითი ფორმულებით იძლეოდა იმ მითითებებს, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელათ მსაჯულებს დავის გადაწყვეტისას. საქმის წარმოება ამ შემთხვევაშიც ორ სტადიას ითვალისწინებდა. “in jure” სასამართლოს ორგანოს, რომში, წარმოადგენდა პრეტორი, ხოლო



მუნიციპალებში - მუნიციპალური მაგისტრატები. "in iudicio" სასამართლო ორგანოებს, საერთო წესის მიხედვით, პრეტორის მიერ დანიშნული კერძო მოსამართლეები წარმოადგენდნენ. ფორმულარულ პროცესშიც, ისივე, როგორც ლეგისაქციურში, მოსამართლის გადაწყვეტილება, მისი სამართლიანობის მიუხედავად, საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

თუმცა, უკვე ამ პერიოდში, ჩნდება გასაჩივრების პირველი მეთოდები - გადაწყვეტილების შესაცვლელად - *restitutio in integrum* (საწყის მდგომარეობაში აღდგენა). გადაწყვეტილების გაუქმება შეიძლებოდა პრეტორის ან ზემდგომი მაგისტრატის ედიქტით. ამ აქტის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო: საქმის გადაწყვეტისას მოსამართლეზე ზეწოლა და მუქარა მის მიმართ; მოსამართლის მოსყიდვა; მოსარჩელის არასრულწლოვანება, რომლითაც ისარგებლა მოპასუხემ და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილების გაუქმებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ახალი პროცესი. ფორმულარული პროცესი - ჩვეულებრივ სამოქალაქო პროცესს წარმოადგენდა არა მარტო რესპუბლიკის პერიოდის ბოლოს, არამედ პრინციპატის ხანაშიც.

იმპერიის დამყარებასთან ერთად, ვითარდება ექსტრატორდინარული პროცესი, რომელიც არ ცნობდა ორ სტადიად დაყოფას. სამოქალაქო საქმეთა წარმოების მახასიათებელი ნიშანი ამ პერიოდისათვის, არის სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციების თავმოყრა ადმინისტრაციული ორგანოს ხელში. მაგალითად, მაგისტრატის ადრინდელმა მოსამართლეებმა გზა დაუთმეს იმპერიის ჩინოვნიკებს, რომელთა შორის დამყარდა დაქვემდებარებული ურთიერთობები, რამაც განაპირობა ქვედა ინსტანციებში მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების საშუალება ზედა ინსტანციებში, იმპერატორთანაც კი. რამდენადაც იმპერატორები წარმოადგენდნენ რომის იმპერიის უმაღლესი თანამდებობის პირებს, ფლობდნენ ყველა თანამდებლობის პირის საქმიანობაში ჩარევის უფლებას, რასაც ფართოდ იყენებდნენ სასამართლოებთან დამოკიდებულებაშიც. სასამართლოს საქმიანობაში იმპერატორის ჩარევის თხონას, სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით, აპელაცია (*appelatio*) ეწოდებოდა. სწორედ ამ პერიოდში, ჩვ.წალ-ის III საუკუნის ბოლოს წარმოიშვა გასაჩივრების ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალწარმოებაში - აპელაციის ფორმით.

სააპელაციო წარმოება, თავდაპირველად საკმაოდ მოუწესრიგებელი, თანდათან იღებდა ორგანიზებულ სახეს. აპელაციამ - როგორც სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებამ - თავისი საბოლოო სახე და ფორმა მიიღო იმპერატორ იუსტინიანეს მეფობის ხანაში (527-565წ.წ.). ამ დროს განისაზღვრა სააპელაციო და ზემდგომ ინსტანციაში საქმის გადაგზავნის ვადები. მიღებული გადაწყვეტილების მიმართ საჩივარი მხარეს შეეძლო ზეპირად განეცხადებინა მოსამართლისათვის, მისი გამოცხადებისთანავე, ან წარედგინა წერილობითი ფორმით ათდღიან ვადაში. იმპერატორისადმი მიმართული სააპელაციო საჩივარი ითვალისწინებდა განსაზღვრულ სააპელაციო გადასახადს. სააპელაციო საჩივრის შეტანა იწვევდა გადაწყვეტილების შესრულების შეჩერებას.

იუსტინიანეს დროს ადგილი ჰქონდა ადრე არსებულისაგან სრულიად განსხვავებულ საქმის წარმოებას, მხარეთა მიერ ახალი მტკიცებულებების წარდგენის უფლებით და მათი სასამართლო სხდომაზე გამოკვლევის ჩათვლით<sup>1</sup>.

აპელაციის სისტემის არსებობამ ზოგიერთი გართულებაც გამოიწვია. კერძოდ, სასამართლო წარმოება შენელებული გახდა და გაძვირდა, სასამართლო ბაჟის შემოღების გამო. მიუხედავად ამისა, სააპელაციო გასაჩივრება გახდა რომის სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, რომელმაც განაპირობა ამ სამართლის როლი მსოფლიო იურისპრუდენციის ისტორიაში.

XIV-XV სს მიჯნაზე მოხდა რომის სამართლის ნორმების რეცეფცია გერმანიის სამართალში. უკვე XIV ს-ში, ეროვნული ჩვეულებითი სამართალი ვერ აკმაყოფილებდა განვითარებადი საზოგადოების მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია რომის სამართლის რეცეფცია. ეს მოხდა, ძირითადად, სასამართლო პრაქტიკის ნიადაგზე, კერძოდ, კათოლიკურ ეკლესიაში არსებული რომაულ-კანონიკური პროცესის საფუძველზე. ეს უკანასკნელი სხვა არაფერი იყო, თუ არა ეკლესიის მიერ ნასესხები იტალიური პროცესი. ამ გარემოების წყალობით, გერმანულ სამართალწარმოებაში გაჩნდა აპელაციის ინსტიტუტი. გასაჩივრების სააპელაციო წესის შემოღებამ გამოიწვია ის, რომ მოსამართლემ დაკარგა სამართლის ნორმის თვითნებურად შექმნის უფლება. ამიერიდან მას მხოლოდ უნდა ეხელმძღვანელა,

<sup>1</sup> Хвостов В.М. История Римского права. М., 1919. с.37.



კონკრეტულ შემთხვევაში, უკვე არსებული აბსტრაქტული მოსამართლე შეიბოჭა სამართლის ნორმებით.

რომის სამართლის, იტალიური პროცესის რეცეფცია გერმანიაში დასრულდა 1495 წელს საიმპერიო სასამართლოს დაარსებით, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად, ასრულებდა მთელი იმპერიისათვის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს ფუნქციასაც. თავდაპირველად, სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ რაინდები და სწავლული იურისტები, რომლებმაც იცოდნენ და იყენებდნენ პრაქტიკულად რომის სამართლის ნორმებს. საიმპერიო სასამართლოს დამფუძნებელ სტატუტში მითითებული იყო, რომ სასამართლო იხელმძღვანელებს “საერთო სამართლით”, ე.ი. წერილობითი და შესაბამისად, რომის სამართლით. საიმპერიო სასამართლოს მნიშვნელობა განმატკიცდა 1555 წელს, როცა ახალგაზრდა იურისტთა მოვალეობაში შევიდა საიმპერიო სასამართლოში გარკვეული ვადით სამსახური. ამის შედეგად, უმაღლესი სააპელაციო სასამართლო გახდა, რომის სამართლის მცოდნე სწავლულ იურისტთა ადგილებზე “გამწესებელიც”.

ამგვარად, გერმანიაში აპელაციის შემოღებამ, იერარქიული სასამართლო სისტემის არსებობამ, განაპირობა ინფორმაციული კონტროლის განმტკიცება როგორც უმაღლეს სასამართლოებში, ისე ქვედა რგოლებშიც. ყოველივე ამან კი, თანდათანობით გამოდევნა ჩვეულებითი სამართალი, რომელიც შესაბამისად, გზას უთმობდა სასამართლო პრაქტიკით შემუშავებული იურიდიული ნორმების ერთობლიობას.

საფრანგეთში აპელაციის ცნება გამოჩნდა XIII ს-ის ბოლოს. დიდი ხნის მანძილში მას ცვლიდა სასამართლო ორთაბრძოლები, რომლებშიც მოსამართლე იარაღით ხელში იცავდა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ასეთი ორთაბრძოლები განმტკიცებული იყო სენტ ლუისის 1270 წლის დადგენილებით, რომელმაც შემოიღო განსაკუთრებული სააპელაციო სასამართლოები, თუმცა ამ პერიოდის აპელაციები ატარებდნენ მოსამართლეთა უსამართლობაში პირადი ბრალდების ხასიათს. მხოლოდ XVII ს-ში, 1667 წლის ორდონანსების გამოცემამ აქცია აპელაცია საჩივრად გადაწყვეტილებაზე და არა მოსამართლეზე.

1667 წელს, ლუდოვიკ XIV-მ თავისი ბრძანებით დაამტკიცა ჰენრიხ III მიერ მიღებული 1579 წლის დადგენილება, რომლის თანახმად, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მეფის ბრძანებულებებს -

ბათილად ითვლებოდა. ამ ბრძანებულებების საფუძველზე, საფრანგეთის პარლამენტის (რომელიც ამ პერიოდში უმაღლესი სასამართლოს ფუნქციას ასრულებდა) მხარეთა საბჭომ მიიღო უფლება, კასაცირება მოეხდინა ყველა იმ გადაწყვეტილებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სამეფო კანონებს და დაებრუნებინათ ეს საქმეები პარლამენტში, ხელახალი განხილვისათვის. 1667 წლის ორდონანსმა პირდაპირ აუკრძალა მხარეთა საბჭოს საქმის არსის განხილვა: "ბოლო ინსტანციის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შეცვლა დაუშვებელია, არსის შესახებ არასწორი გადაწყვეტილების მიღების მიზეზით, თუკი არ არსებობს საფუძველი უფრო საპატიო საჩივრისათვის". ამგვარად, დამკვიდრდა კასაციის ინსტიტუტი (ფრანგული Kasser-ისაგან - "მსხვრევა"), როგორც სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთ-ერთი სახე. აუცილებელი იყო მკვეთრად გაემიჯნათ კანონის ან პროცესუალური ნორმის დარღვევით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა (საკასაციო წარმოება) - ფაქტებში დაშვებული შეცდომით მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვისაგან (სააპელაციო წარმოება). ეს აუცილებელი იყო თითოეული მათგანისათვის განსაზღვრული წესის დასადგენად.

ამრიგად, მრავალი მცდელობის შემდეგ, 1806 წელს მიღებული და 1807 წლის I იანვარს ძალაში შესული საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძალით, საფრანგეთში დამკვიდრდა სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ისეთი სახეები, როგორცაა აპელაცია და კასაცია<sup>1</sup>. აღნიშნული კოდექსის პრინციპები, აპელაციისათვის და კასაციისათვის, გაითვალისწინა საფრანგეთის ახალმა, 1976 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმაც.

გერმანიისა და საფრანგეთთან შედარებით, მცირე გავლენა მოახდინა რომის სამართალმა ინგლისის ეროვნული სამართლის განვითარებაზე. არ გააჩნდა რა პრაქტიკული მნიშვნელობა, რომის სამართალმა, გარკვეულწილად, ზეგავლენა მოახდინა ინგლისელთა იურიდიულ აზროვნებაზე. რომის სამართლით გაეცნო ინგლისი იურიდიულ ტერმინებს, იურიდიულ განსაზღვრებებს, რომის იურისპრუდენციის მთელ რიგ ზოგად ცნებებს.

ინგლისის სამართალწარმოებაში გასაჩივრების ინსტიტუტად ჩამოყალიბდა აპელაცია. იგი, თავისი არსით, განსხვავდებოდა კონტინენტზე არსებული

<sup>1</sup> Мальшев К.И. Курс гражданского судопроизводства. СПб. 1874. т.2, с.152.



აპლაციისაგან. გასაჩივრების ინგლისური წესი ითვალისწინებდა აპელაციას სამართლის საკითხებზე და აპელაციას ფაქტის შესახებ საკითხებზე. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა საშუალებას, გადასინჯული ყოფილიყო იმ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, რომლებმაც უშუალოდ დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ინგლისში დღემდე შემორჩა სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების "ინგლისური ინსტიტუტის" თავისებურება.

მიუხედავად განსხვავებისა, რაც არსებობდა ძველ რომაულ სამოქალაქო პროცესსა და ევროპაში დამკვიდრებულ სამოქალაქო პროცესებს შორის, რაც განპირობებული იყო ისტორიული პირობების განვითარებით; ზოგადად, ევროპის ქვეყნების იურისტები ხელმძღვანელობდნენ დევიზით, რომელიც მკაფიოდ ჩამოაყალიბა გერმანელმა იურისტმა, სამართლის პროფესორმა იერინგმა (1818-1892): "durch das romische Rect, aber uber dasselbe hinaus" - რომის სამართლით, მაგრამ წინ, უფრო შორს".

სააპელაციო ინსტანციის არსებობა ნიშნავს, რომ საქმე არსებითად შეიძლება განხილული იქნას ორჯერ - პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში. საქმის ორჯერადი განხილვის დაშვება შეიძლება განპირობებული იყოს მოსამართლეთა სუბიექტური მიზნებით. კერძოდ, მათ, საქმის პირველად, არსებითად განხილვისას შეიძლება დაუშვან ნებისითი თუ უნებლიე შეცდომები, რომელთა გამოსწორება აუცილებელია. გარდა ამისა, აპელაცია სხვა მხრივაც შეიძლება სასარგებლო იყოს.

სააპელაციო ინსტანციის არსებობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოებზე. თუკი I ინსტანციის მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებას ექვემდებარება, ეს ნიშნავს, რომ მოსამართლე, მისი საქმიანობა კონტროლირებადია. მათი უპირველესი მაკონტროლებელი - საკუთრივ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა. ამდენად, სააპელაციო ინსტიტუტის არსებობა უბიძგებს მოსამართლეებს - არ გადაუხვიონ კანონებს და მკაცრად მისდინონ მათ. ეს თვით მოსამართლეთა ინტერესებშიც შედის, რამეთუ მიკერძოებულობამ შეიძლება თავი იჩინოს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში და ასეთი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მოსამართლე შეიძლება დაემშვიდობოს საკუთარ მანტიას. ამასთან, სააპელაციო ინსტანციის არსებობა მოქალაქეებს უნერგავს სასამართლოს თვითნებობის თავიდან აცილების გრძნობას იმით, რომ მათ ეძლევათ არასასურველი, ან მათი აზრით უსამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების



უფლება. ამ გზით მოქალაქეებში მტკიცდება სამართლიანობის მიღწევის შესაძლებლობის გრძობაც.

იმდენად, რამდენადაც სააპელაციო ინსტანციაში არ მიდის I ინსტანციაში გარჩეული ყველა საქმე, სააპელაციო სასამართლოების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია I ინსტანციის სასამართლოებთან შედარებით. საქართველოში, როგორც აღენიშნეთ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს წარმოადგენენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები, ე.ი. სულ 4 სასამართლო. სააპელაციო სასამართლოების რაოდენობის სიმცირე კი, თავის მხრივ, იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი დაკომპლექტდნენ გამორჩეულად კარგი, მაღალი პროფესიონალიზმის მქონე მოსამართლეებით, რომლებიც შემდგომში იქცევიან სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების გარანტად.

სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეები იმყოფებიან საქმიანობის უფრო ხელსაყრელ პირობებში, რაც უზრუნველყოფს მათი გადაწყვეტილების საფუძვლიანობას. საქმეები შემდგომ სასამართლოში მიდის უფრო გამარტივებული, გადამუშავებული სახით, მას შემდეგ, რაც I ინსტანციაში მოხდა მათი განხილვა და სისტემაში მოყვანა; აქ დადგენილია საქმის გარემოებები, გამოცალკევებულია მთავარი მეორეხერისხონისაგან, ფორმულერებულია საკამათო პუნქტები. ამდენად, მეორე სასამართლო დგას წინა სასამართლოში მიღებულ გადაწყვეტილებაზე და უკეთ ხედავს საქმის მთელ არსს. ამიტომაც იმყოფება სააპელაციო სასამართლო უკეთეს პირობებში და ხელეწიფება გამოასწოროს ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო ქვედა ინსტანციაში - თვითონვე მიიღოს ახალი გადაწყვეტილება ან დააბრუნოს საქმე ხელახალ განხილვაში. აპელირების უსაფუძვლობის შემთხვევაში კი - ძალაში დატოვოს ქვედა ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილება. სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა უკეთესი მდგომარეობა იმაშიც გამოიხატება, რომ სააპელაციო სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში, დაშორებულია მოდავე მხარეების ადგილსამყოფელისაგან და ამდენად, მოსამართლეები ნაკლებად იქნებიან თავიანთი სუბიექტური შეხედულებების ტყვეობაში, მოდავე მხარეთა მიმართ.

პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილების აპელირება სასარგებლოა მაშინაც კი, როცა იგი არ იცვლება, ვინაიდან ადრე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცებით ძლიერდება პირველი ინსტანციის

სასამართლოს ავტორიტეტი. ასეთ შემთხვევაში აპელაცია სასამართლო გადაწყვეტილების გადამოწმების ხასიათს, არარსებობაში დარწმუნების მიზნით.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა აპელაციის ინსტიტუტის სარგებლიანობა და რომ მოქალაქეები უფრო ხილდებიან სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ამ უფლებას. სააპელაციო სასამართლოებში საქმეები უკეთ ირჩევა და წყდება, ვიდრე I ინსტანციაში. ამის საფუძველს კი საქმის გარემოებათა ზედმიწევნით გამოკვლევა, მათი სრულყოფილი განხილვა, იურიდიულ ნორმათა ზუსტი გამოყენება იძლევა და ამიტომაც, სააპელაციო ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილებები, უმეტეს შემთხვევებში, უფრო საფუძვლიანი, არგუმენტირებული და მოტივირებულია.

ამრიგად, თუკი სააპელაციო ინსტანციის შემოღების მიზნად დასახულია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შემოწმება და გასწორება, მაშინ ამ მიზნის მიღწევისათვის სააპელაციო სასამართლოების შეიძლება წაეყენოს შემდეგი მოთხოვნები:

1. საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში არ უნდა აწარმოებდნენ ის მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ I ინსტანციაში საქმის პირველად განხილვის პროცესში. თუ ასეთს ადგილი იქნება, გამოყენებული უნდა იქნას აცილების ან თვითაცილების ინსტიტუტი. ეს ნორმა ჩადებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. კერძოდ, კოდექსის ზოგადი დებულებების ნაწილში, 29-ე მუხლში ნათქვამია: “მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ანდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში”.

2. სააპელაციო ინსტანცია უნდა დაკომპლექტდეს უფრო მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლეებით, ვიდრე I ინსტანციის სასამართლოები. ეს შეიძლება მიღწეული იქნას რამდენიმენაირად: ა) კონკურსის წესით; ბ) დანიშვნის გზით. კონკურსის წესში იგულისხმება მოსამართლეთა შერჩევა იმ პირთა წრიდან, რომლებსაც აქვთ მიღებული მოსამართლეებად მუშაობის უფლების მიძღვნილი სერტიფიკატი (მიღებული მოსამართლეთა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების გზით) და რომლებიც არ მუშაობენ მოსამართლეებად; ხოლო დანიშვნაში იგულისხმება მოსამართლეთა შერჩევა I ინსტანციის მოქმედ მოსამართლეთა შორის. შერჩევის კრიტერიუმების დადგენა



სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი უნდა იყოს მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ანალიზი.

3. საქმის სააპელაციო წარმოება უნდა ეფუძნებოდეს იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს I ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა წარმოებას - ეს იქნება სწორი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალება.

4. სააპელაციო გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს I ინსტანციაში მიღებული ყველა გადაწყვეტილება. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს დაბალი ღირებულების სამოქალაქო დავები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სააპელაციო საჩივრის მინიმალურ ფასს განსაზღვრავს 500 ლარის ოდენობით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეს ფასი სხვადასხვა ფარგლებში მერყეობს - ზოგან მეტია, ზოგან ნაკლები. ფინანსური შეზღუდვების თაობაზე საუბარი გვექნება მოგვიანებით.

სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ აპელაციის სახეების განხილვაზე, მიზანშეწონილია შევეხოთ სამოქალაქო პროცესის იმ პრინციპებს, რომელთა გარეშე წარმოდგენილია სააპელაციო წარმოება. უპირველეს ყოვლისა ესენია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, რამეთუ სწორედ ეს პრინციპები განსაზღვრავენ მხარეთა მიერ, მათთვის მინიჭებული უფლებების რეალიზების თავისუფლებას, მათ ინიციატივასა და აქტივობას.

რა იგულისხმება “წმინდა” შეჯიბრებითობაში? ადრე ამ ცნებაში მოიაზრებოდა მხარეთა პირადი ავტონომია სამოქალაქო პროცესში. იგი განსაზღვრავდა მოსამართლეთა მოქმედებას მხარეთა განცხადებების შესაბამისად. მხარეები წარმოადგენენ პროცესის სრულ ბატონ-პატრონებს. თანამედროვე გაგებით, შეჯიბრებითობის პრინციპს ანალოგიური დატვირთვა გააჩნია: “წმინდა” შეჯიბრებითობა ნიშნავს, რომ სასამართლო არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი - დაადგინოს ჭეშმარიტება, თუკი ამას მხარეები არ მოითხოვენ. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ საქმის არსებითად განხილვაში სასამართლო ასრულებს პასიურ როლს, არ ერევა საქმის შესახებ ჭეშმარიტების დადგენის პროცესში, არამედ გამოაქვს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპის ამ სახით გამოყენება მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მხარეებს უჭირავთ თანაბარი მდგომარეობა, ე.ი. ექნებათ თანაბარი საშუალება კვალიფიციური იურიდიული დახმარების მისაღებად, საქმისათვის საჭირო მტკიცებულებათა შესაგროვებლად და ა.შ.





თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი თანასწორობის მიქმედება არ არის ყოველთვის შესაძლებელი. ამის გამო, “წმინდა” შეჯიბრობითობის პრინციპმა, შეიძლება მოიტანოს ფინანსურად ძლიერთა (რომელთაც გააჩნიათ კარგი ადვოკატის დაქირავების საშუალება) ბატონობა სუსტებზე (რომლებიც ხელმოკლეობის გამო იძულებულნი არიან თვითონ გაუძღვნონ თავიანთ საქმეს). ეს კი ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს. ამიტომ, მიზანშეწონილია, იურისპრუდენციაში შეჯიბრებითობის პრინციპი გარკვეული მოცულობით შეერწყას სასამართლოს თავისუფალი მოქმედების უფლებას ჭეშმარიტების დადგენას თვალსაზრისით, აქედან გამომდინარეობს, რომ “წმინდა” შეჯიბრებითობაში აუცილებელია ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპის გარკვეული მოცულობით ჩადება, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტების დადგენის საშუალება. ასეთი ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ ზომით, რაც არ უწინააღმდეგება დისპოზიციურობის პრინციპს. სასამართლომ არ უნდა შებოჭოს მხარეები განცხადებული მოთხოვნების განკარგვაში, არ უნდა შეუქმნას წინააღმდეგობები მხარეთათვის მინიჭებული პროცესუალური უფლებების განხორციელებაში. სასამართლომ არ უნდა წამოიწყოს პროცესი საჩივრის გარეშე; თავის გადაწყვეტილებაში, სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნებს. სასამართლო არ უნდა იყოს ვალდებული - დაადგინოს ჭეშმარიტება აუცილებლად, თუკი მხარეები არ მოითხოვენ ამას და არ ირღვევა ვისიმე კანონიერი ინტერესები.

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გარდა, სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ ზეპირობის პრინციპით. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს წერილობითი პრინციპის ელემენტებსაც; სხვანაირად რომ ვთქვათ, სააპელაციო წარმოებაში დაშვებული უნდა იყოს მხარეებთან სასამართლოს ზეპირი ურთიერთობის (მოსამართლეთა მოხსენებები, მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები და ა.შ.) და წერილობითი ფორმები. წერილობითი ფორმა შეიძლება დაიშვას, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როცა აპელანტი ან პირი, რომელმაც წერილობით ფორმაში მისცა ახსნა-განმარტება მოცემულ საჩივარზე, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, თუმცა ის სათანადო წესით იყო გაფრთხილებული. ამგვარ სიტუაციაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მის ხელთ არსებული წერილობითი მასალით. წერილობითი საწყისი შეიძლება აგრეთვე გამოვლინდეს სასამართლო სხდომის ოქმის წარმოებაში,

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წერილობითი გამოტანაში და ა.შ.

სააპელაციო წარმოებაში, ზემოთჩამოთვლილი პრინციპების გარდა, უნდა გამოიყენებოდეს საჯაროობის პრინციპი, რაც გამოიხატება სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა ღია განხილვაში; ასევე კოლეგიალობის პრინციპი; კანონიერების პრინციპი; მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპი; მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი და სხვ.

ამრიგად, აპელაციისათვის დამახასიათებელ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს:

1. სააპელაციო საჩივარი შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც არ არის კანონიერ ძალაში შესული;

2. აპელაციით საქმე გადადის ზემდგომი სასამართლოს წარმოებაში;

3. აპელირება განპირობებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს არასწორი გადაწყვეტილებით, რაც, პირის აზრით, გამოიხატება ფაქტების არასწორად დადგენაში, ან კანონის არასწორად გამოყენებაში, ან მხარეთა მიერ მასალების არასრულად წარმოდგენაში;

4. სააპელაციო სასამართლო, საქმის გადასინჯვისას, არსებითად განიხილავს როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებს, ე.ი. მას აქვს უფლება - შეამოწმოს I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების რივირც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მხარეები;

5. აპელაცია შეიძლება დაიშვას მხოლოდ ერთჯერადად, თითოეულ საქმეზე. იგი უნდა იყოს საბოლოო და წერტილი დაუსვას ყოველგვარ შემოთვებასა და მოლოდინს.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რომ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება საქმის განხილვისას, შეზღუდულია სააპელაციო საჩივრის საზღვრებით და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საგნით. ახალი მოთხოვნები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საგანს, არ შეიძლება წარდგენილი იყოს აპელირებაზე.

ზემოთაღნიშნული წარმოადგენს აპელაციის ყველაზე ზოგად დამახასიათებელს. თუმცა, აპელაციას გააჩნია, მისი ცალკეული სახეობისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშნებიც. სამოქალაქო პროცესუალური სამართლის თეორიაში გამოიყოფა ორი სახის აპელაცია - სრული და არასრული. ამათგან პირველი გავრცელებულია საფრანგეთში, იტალიაში;

მეორე - ავსტრიაში, გერმანიაში. აპელაციის თითოეულ ამ სახეს განაჩნია თავისი დამახასიათებელი ნიშნები და განმასხვავებელი თვისებები<sup>1</sup>.

არასრული აპელაცია წარმოადგენს I ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა გადასინჯვას, საქმეში მონაწილე მხარეთა მიერ ამ სასამართლოებში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე. არასრული აპელაციის საერთო წესის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ დაიშვება ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების მოტანა, მაგრამ მათი მოტანა დაიშვება განსაზღვრულ პირობებში. არასრული აპელაციის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია საქმის დაბრუნება I ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის.

სრული აპელაციის დროს, საქმეში მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, უკვე არსებულთან ერთად. აპელაცია ამ შემთხვევაში ასწორებს არა მარტო სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომებს, არამედ მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომებსაც. სრული აპელაციის სქემით მომუშავე სააპელაციო სასამართლოებს არ აქვთ საქმის I ინსტანციაში დაბრუნების უფლება - მათ თვითონვე უნდა გადაწყვიტონ საქმე არსებითად და გამოიტანონ ახალი გადაწყვეტილება.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, საქმეთა განხილვის წესი სრული და არასრული აპელაციების შემთხვევაში - ერთმანეთისაგან განსხვავებულია. არასრული აპელაციის დროს, სააპელაციო წარმოება ხორციელდება ზეპირობის და წერილობითი პრინციპების ერთიანობით, ამასთან ჭარბობს წერილობითი პრინციპი. სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოცხადება არ არის სავალდებულო, რამდენადაც საქმე შეიძლება გადაწყდეს წერილობითი აქტების საფუძველზე, მაგრამ თუკი სასამართლო სხდომაზე გამოცხადდებიან მხარეები, მაშინ ზეპირი შეჯიბრებითობის დროს მათ შეუძლიათ მიუთითონ მხოლოდ იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რაც მითითებული ჰქონდათ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ წერილობით აქტებში. სასამართლო მოხსენების შემდეგ დაუშვებელია რაიმე ახალი, წერილობით აქტებში მოუხსენებელი გარემოებებისა და მტკიცებულებების მითითება, რამდენადაც ეს უხეშად გააუფასურებდა მოხსენების მნიშვნელობას და დაარღვევდა საქმის წარმოების წერილობით პრინციპს. ამის გამო, ახალ ფაქტებად და გარემოებებად ითვლება ის მტკიცებულებები და გარემოებები,

<sup>1</sup> International Encyclopedia of Comparative Law; Volume XVI; Civil Procedure; Charter X; Attacks on Ludicial Decisions. p.38.



რომლებიც არ იყო მოხსენიებული და განხილული პირველი ინსტანციის სასამართლოში, რასაც თვით სასამართლო სხდომის ოქმი ადასტურებს.

არასრული აპელაციის დამკვიდრებას ორმაგი მიზანი აქვს: 1. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო თავისუფლდება საქმის წარმოებაზე ზედმეტი საშუალებისაგან, იმდენად, რამდენადაც ზემდგომი სასამართლო განთავისუფლებულია საქმის გარემოებათა ხელმეორედ გამოკვლევისაგან; 2. ანთავისუფლებს საქმეში მონაწილე პირებს, მოშორებით არსებულ სასამართლოებში საქმის წარმოების ზედმეტი პრობლემებისა და ხარჯებისაგან.

სრული აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო სრული მოცულობით იკვლევს საქმის ფაქტობრივ მხარეს. იგი ასრულებს იგივე მოქმედებებს საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად, მტკიცებულებათა შესაფასებლად, რასაც აკეთებს I ინსტანციის სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს საქმის ხელახლა განხილვას. სააპელაციო განხილვის მონაწილეებს, როგორც უკვე აღინიშნა, უფლება აქვთ მიუთითონ ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამას შეიძლება ჰქონდეს თავისი გამართლება. I ინსტანციაში, საქმეში მონაწილე მხარეებისა და თვით მოსამართლეთა შეცდომების გამოისობით, საქმე ყოველთვის არ განიხილება სრულად და ყოველმხრივად. სრული აპელაცია იძლევა საშუალებას, რათა მხარეებმა, შეძლებისდაგვარად, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები.

მაგრამ, სავსებით შესაძლებელია, რომ სააპელაციო სასამართლოში მხარეებმა წარმოადგინონ ისეთი, არსებითად ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ფუნდამენტალურად შეცვლიან დავის ფაქტიური არსის შესახებ წარმოდგენას. ამის გამო, სააპელაციო სასამართლოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის სანაცვლოდ, მოუხდება საქმის ხელახლა გადაწყვეტა არსებითად, ახალი გარემოებებისა და მტკიცებულებების მხედველობაში მიღებით. ამან კი, შეიძლება გამოიწვიოს ერთსა და იმავე სადავო საკითხზე ორი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების არსებობა. ამასთან, სააპელაციო სასამართლო, ამ შემთხვევაში, არ იქნება დაზღვეული უფურადღებობის გამოვლენისა და შეცდომების დაშვებისაგან. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო ინსტანცია, როგორც სამართლიანი სასამართლოს გარანტია - კარგავს თავის მნიშვნელობას.



სრულ აპელაციას, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გააჩნდეს შემდეგი ნაკლოვანებები: 1. საქმის წარმოების გაჭინურება, რამდენადაც, საქმეზე ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა ითხოვს დროის დამატებით დანახარჯებს. 2. მტკიცებულებების უშუალო შესწავლის საშუალებების არარსებობა, იმდენად, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, უმეტესად, ეყრდნობა I ინსტანციის სასამართლოს ოქმებს და არ აქვს საშუალება უშუალოდ აღიქვას და გამოიკვლიოს ზოგიერთი მტკიცებულება. 3. სააპელაციო სასამართლოში, საქმეში მონაწილე მხარეთა აუცილებელი დასწრება, რაც საჭიროა მხარეთა მოთხოვნების მხარდაჭერისა და დაცვის განხორციელებისათვის.

თუ შევადარებთ აპელაციის ორივე ფორმას საქართველოში დაკანონებულ აპელაციის მეთოდებთან, შევამჩნევთ, რომ საქართველოს ახალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა შემოიღო სრული აპელაცია, არასრული აპელაციისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტების ჩართვით. კერძოდ, ზოგადი მოდელისაგან განსხვავებით, საქართველოს სააპელაციო სასამართლოებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილ შემთხვევებში, დააბრუნონ საქმე ხელახალი განხილვისათვის პირველ ინსტანციაში. ხოლო საქმის უკან დაბრუნება, როგორც უკვე აღინიშნა, არ არის სრული აპელაციის მოდელისათვის დამახასიათებელი, იგი არასრული აპელაციის თანმდევი მოვლენაა.

სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის ფარგლების ცნებაში იგულისხმება ის მოცულობა, რომლის ფარგლებშიც ზდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმება. მეორე ინსტანციის სასამართლოში, საქმე შეიძლება გადაისინჯოს სრული მოცულობით, ან საჩივარში მითითებულ ფარგლებში. საჩივრის სრული მოცულობით გადასინჯვა ხორციელდებოდა ყოფილ სსრკ სასამართლოებში. შეტანილი საჩივრის ფარგლები განსაზღვრავენ საჩივრის გადასინჯვის მოცულობას დასავლეთის სახელმწიფოთა უმრავლესობის სამართალწარმოებაში.

სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების დასავლური ინსტიტუტების ამოსავალი პრინციპია ძველ რომში გაბატონებული წესი: *tantum devolutum quantum appellatum* - რამდენიც საჩივარია - იმდენია გადაწყვეტილებაც. ამ პრინციპზე დაყრდნობით, დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობები ამკვიდრებენ ნორმას, რომელიც სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებებს ზღუდავს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნათა

ფარგლებით: "სააპელაციო სასამართლო ამოწმებს I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო მოთხოვნათა ფარგლებში ასეთივე ნორმა შეტანილია საქართველოს ახალ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოცულობით უნდა განიხილოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ საქმე საერთოდ. ეს ანალიზი გვიჩვენებს იმ ნორმის მართებულობას, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განუსაზღვრა მოქმედების ფარგლები.

საქმის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნათა ფარგლებში განხილვის წესის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორე, მართებულობა იმ პირის მიმართ, რომელმაც შეიტანა სააპელაციო საჩივარი. შემოწმება არ უნდა გასცილდეს მომჩივანის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფარგლებს. ამის გამო, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო არ უნდა შეეხოს გადაწყვეტილებათა იმ ნაწილებს, რომლებიც არ იყო გასაჩივრებული.

გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილების ნებისმიერი ცვლილება იქნება იმ ნორმის დარღვევა, რომელიც განსაზღვრავს სააპელაციო გასაჩივრების საზღვრებს. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ასეთი დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, თუკი მოხდება მისი გასაჩივრება საკასაციო წესით. შეიძლება ამის მაგალითად მოვიყვანოთ შემდეგი: მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება ხელშეკრულების შესრულებაზე ან საერთოდ გაუქმებულიყო ხელშეკრულება. საქმის განხილვის პროცესში პირველი მოთხოვნა მოხსნა თვით მოსარჩელემ, ხოლო მეორე მოთხოვნის შესრულებაზე უარი თვით სასამართლომ განუცხადა. სწორედ ამ უარის გამო შედგა სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ კი მოპასუხე დაავალდებულა ხელშეკრულების შესრულებაში, რითაც დაარღვია ზემოთაღნიშნული პროცესუალური ნორმა.

მეორე მხრივ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს არა აქვს უფლება - განუხილველად და განუსჯელად დატოვოს გადაწყვეტილების ის ნაწილები, რომლებსაც საქმეში მონაწილე მხარეები არასწორად მიიჩნევენ და მათზე მიუთითებენ სააპელაციო საჩივარში. გასული საუკუნის იურისტებიც მიუთითებდნენ იმ გარემოებებზე, რომ სასამართლო უნდა იყოს მხარეთა მოთხოვნებით შეზღუდული. აქედან გამომდინარეობს, რომ:



1. ის, რაშიც მხარეები ერთმანეთს ეთანხმებიან - უდავოდ უნდა ჩაითვალოს და არ მოითხოვს სასამართლოს მიერ განხილვას და განსჯას.

2. თუ მხარის მოთხოვნა უარყოფილია მოწინააღმდეგის მიერ, მაშინ წარმოდგენილი დასაბუთებული ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო ცნობს ან არ ცნობს თხოვნას, ე.ი. სწორედ იმას და არაფერს მეტს, რაც თხოვნაშია წარმოდგენილი.

იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ გაუსაჩივრებიათ I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესის მიხედვით, აღნიშნული სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ამ შემოწმების საფუძველზე გამოიტანოს საკუთარი გადაწყვეტილება.

სრული მოცულობით მეორე ინსტანციაში საქმის განხილვის პრაქტიკა დანერგილი იყო არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ სხვა სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებშიც (მაგალითად, გ.დ.რ., მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა)<sup>1</sup>. ამ წესის "ორიენტილობა" იმაში მდგომარეობს, რომ მეორე ინსტანციის სასამართლოები, ამოწმებდნენ რა საქმეს, უპირველეს ყოვლისა, იცავდნენ სახელმწიფო და არა კერძო-სამართლებრივ ინტერესებს. მითუმეტს, რომ ამ უკანასკნელზე მხოლოდ თეორიული დონის განხილვა მიმდინარეობდა, იმდენად, რამდენადაც არ არსებობდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი და მის სანაცვლოდ პრიორიტეტი მიკუთვნებული ჰქონდა სახელმწიფო საკუთრებას. ამიტომაც, სასამართლოები დაინტერესებულები იყვნენ ემოქმედათ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და არა პიროვნების ნების შესაბამისად. ეს ასახული იყო კანონმდებლობაში და მეორე ინსტანციის სასამართლოების გააჩნდათ უფლება და ვალდებულებაც იყვნენ მთლიანად შეემოწმებინათ საქმე, საჩივარში მითითებული მოთხოვნების მიუხედავად.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღესდღეობით, იმ პირის ინტერესები, რომელიც დარღვეულად ან დაუცველად თვლის თავის უფლებებს, შეიძლება დაცული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმის შემოწმების საფუძველად აიღებს მხოლოდ იმ მოთხოვნებს, რომლებიც

<sup>1</sup> Борисова Е.А. Апелляция в гражданском и арбитражном процессе. М., Юридическое бюро "Городец", 1997, с.72.

ჩამოყალიბებულია აპელანტის საჩივარში, ე.ი. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლებს უნდა წარმოადგენდეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნები. ეს დასკვნა ლოგიკური გაგრძელებაა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების რეალიზაციისა. ეს პრინციპები კი, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენენ საქმეში მონაწილე პირების პირადი ავტონომიის საწყისებს. ზოლო პირადი ავტონომია, თავის მხრივ, საწყისია პროცესში მონაწილე მხარეთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობისა და უშუალოდ გამოძინარეობს იმ სამოქალაქო უფლებათა არსიდან, რომელთა დაცვასაც ემსახურება სასამართლო მთლიანად.

რამდენადაც შეჯიბრებითობის პრინციპი, გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლოს აქტიური მოქმედების ნებასაც რთავს, რაც გამოიხატება საქმის ირგლივ ჭეშმარიტების დადგენის პროცესში, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობის ფარგლების დადგენაც. ე.ი. განსაზღვრა იმისა, თუ რა შემთხვევაში და რა მოცულობით შეუძლია სასამართლოს პირთა ავტონომიის უფლების ხელყოფა, რამდენად შეიძლება გამოხატოს სასამართლომ თავისი აქტიურობა პროცესში. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, “შეცვალოს და გააუქმოს ყველაფერი, რაც უთანხმოებაშია კანონთან, რაც ეღობება სწორედ მართლმსაჯულების განხორციელების მართებულობას”. საქმე ეხება სასამართლოსადმი საქმეთა დაქვემდებარებულობას, განსჯადობას, წარმომადგენლობითობის განმსაზღვრელ წესებს, სასამართლო შემადგენლობას, პროცესუალურ ვადებს და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება, საკუთარი ინიციატივით წამოაყენოს ის საკითხები, რომლებიც შეეხებიან პროცესუალური სამართლის ნორმებს.

მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში ჩადებულია ნორმა, რომლითაც სააპელაციო სასამართლოები შეზღუდულები არიან სააპელაციო საჩივრის ფარგლებით, მაგრამ განსაზღვრავს კონკრეტულ შემთხვევებსაც, როცა ნებადართულია ამ ნორმიდან გადახვევა.

ასე მაგალითად, სლოვაკეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §212 ითვალისწინებს შემდეგ შემთხვევებს, როცა შესაძლებელია საქმის სრული მოცულობით განხილვა სააპელაციო წესით, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნათა მიუხედავად:

1. როდესაც შედარებით გასაჩივრებული დასკვნის გადაწყვეტილება გამოკიდებულია სხვა დასკვნა, რომელსაც არ შეეხება აპელაცია;

2. როცა საჩივარი შეეხება ისეთ ზოგად უფლებებსა და მოვალეობებს, რომ გადაწყვეტილება უნდა შეეხოს პროცესის ყველა მონაწილეს, რომლებიც გამოდიან ერთ რომელიმე მხარეს;

3. ისეთ სიტუაციებში, რომლებიც კანონის თანახმად, მოითხოვენ მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრული ფორმით გადაწყვეტას (მაგალითად: საქმეები, რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ).

უნგრეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც უშვებს ამგვარ გამონაკლისებს. ამ გამონაკლისის ძალით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გასცილდეს საჩივარში მითითებულ მოთხოვნებს, როცა საქმე ეხება სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობას, ასევე სახელმწიფოს მიერ ავანსირებულ და აუნაზღაურებელ ხარჯებს. ამ საკითხებზე, მეორე ინსტანციის სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, სააპელაციო საჩივრის ფარგლების შეცვლის შესახებ, საკუთარი ინიციატივით (უნგრეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §253/3)<sup>1</sup>.

როცა ვსაუბრობთ სააპელაციო ინსტანციის მიერ საჩივრის მოთხოვნათა ფარგლებში მოქმედების შესახებ, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. აქ შეიძლება წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როცა მხარის მიერ შედგენილი არასაკმარის მოტივირებული და არასრული სააპელაციო საჩივარი, რომელშიც გამოტოვებულია ან საერთოდ შეუმჩნეველი დარჩა რაიმე დარღვევა. არასრული აპელაციის პირობებში, აპელანტმა უნდა გაითვალისწინოს სააპელაციო საჩივრის არადამაკმაყოფილებლად შედგენის გამო მოსალოდნელი შედეგები. მაშინაც კი, როცა პირს არ შეუძლია განსაზღვროს ზემოთაღნიშნული შედეგები, მან ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის ზუსტად იცის გადაწყვეტილების რა ნაწილი არ არის მისთვის ხელსაყრელი, და ყოველთვის შეუძლია განსაზღვროს საკუთარი მოთხოვნები და მიუთითოს რა გადაწყვეტილებას ელოდება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოსაგან. საფიქრებელია, რომ ეს საკითხი არ დადგება დღის წესრიგში, თუკი მომჩივანი მიმართავს კვალიფიციური იურისტის

<sup>1</sup> Борисова Е.А. - დასახელებულ ნაშრომი, გვ.82.



მომსახურებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ცოტა ვინმეს შეუძლია მინიჭოს საკუთარ თავს ეს ფუფუნება. ასეთ შემთხვევაში, მომჩივანის დახმარების ტვირთი უნდა გადანაწილდეს სასამართლოზე, მოსამართლეზე, რომელიც იღებს და განიხილავს საკასაციო საჩივარს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

“Tantum devolutum quantum appellatum” პრინციპი მჭიდრო კავშირშია “non reformatio in pejus” - უარესისაკენ შებრუნების აკრძალვის პრინციპთან. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს, რომ არ შეიძლება დაბძიმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ პირის მდგომარეობა, რომელმაც შეიტანა სააპელაციო საჩივარი I ინსტანციის სასამართლოში გამოტანილ გადაწყვეტილებაზე.

სულ სხვაგვარი სიტუაცია იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა სამოქალაქო პროცესში არ არსებობდა წესი, ნორმა, რომელიც კრძალავდა ე.წ. უარესისაკენ შემობრუნებას. ამის გამო, მოსარჩელე, რომელმაც საკასაციო ინსტანციისაკენ მოითხოვა I ინსტანციის სასამართლოს მიერ მისთვის მიკუთვნებული თანხის მომატება, საქმის საკასაციო წესით განხილვის შემდეგ, არ იყო დაზღვეული, რომ არ დაეკარგა მისთვის უკვე მიკუთვნებული თანხაც. ე.ი. მიეღო სრული უარი სარჩელზე, იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო პროცესის ამ სტადიაზე, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოქმედებდა ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპი. საბჭოთა პერიოდის მრავალი მკვლევარი-იურისტი იზიარებდა იმ აზრს, რომ “ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები გადაწყვეტილებებში, განსაზღვრებებსა და დადგენილებებში, ან გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, უმჯობესდება თუ უარესდება საქმეში მონაწილე მხარის მდგომარეობა”<sup>1</sup>.

მაგრამ, მსოფლიო ცივილისტიკის პრაქტიკამ თვალნათლივ აჩვენა “non reformatio on pequs” პრინციპის ვარგისიანობა. ეს პრინციპი წარმოადგენს

<sup>1</sup> Комиссаров К.И. Полномочия суда второй инстанции в гражданском процессе. М., Юридическая литература, 1961.  
Калмицкий В.С. Правовое положение суда второй инстанции как субъекта советского гражданского процессуального права. с.56-5  
Полномочия суда второй инстанции как субъекта советского гражданского процессуального права. В кн. Актуальные проблемы советского гражданского и трудового права. Уфа, 1975, с.90-103.  
Суд второй инстанции в советском гражданском процессе. Учебное пособие. Уфа, Башкирский государственный университет, 1983.



გარანტიას იმ მხარისათვის, რომელსაც არ აკმაყოფილებს აკმაყოფილებს ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ მოცემული გადაწყვეტილების II ინსტანციაში გასაჩივრების შემთხვევაში მისი მდგომარეობა არ გაუარესდება. ეს წესი უზრუნველყოფს მხარის თვითღარწმუნებას, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება არ გაუქმდება თავისივე საჩივრით და ამდენად, მას გარანტირებული აქვს მოცემულ საქმეზე გასაჩივრების უფლება. ყველა შემთხვევაში, თუკი საჩივრდება გადაწყვეტილების ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი აკმაყოფილებს აპელანტს, მაშინ ეს უკანასკნელი რჩება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განხილვის გარეშე, იმდენად, რამდენადაც მასზე არ მიუთითებს აპელანტი თავის სააპელაციო საჩივარში. ამასვე ადასტურებს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების არსი. ავიღოთ ასეთი მაგალითი: დაუშვათ, I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მიეკუთვნა 1000 ლარი, მაგრამ მას ეს თანხა მიაჩნია არადაამაკმაყოფილებლად და მოითხოვს მის გაზრდას კიდევ 700 ლარით. პირველი, უკვე მიკუთვნებული თანხა - 1000 ლარი, ამ შემთხვევაში რჩება სააპელაციო საჩივრის გარეთ და ამდენად, სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეეხოს მას, “tantum devolutum quantum appellatum” პრინციპის თანახმად. ამიტომაც, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს არა აქვს ყფლება შეცვალოს I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მომჩივანის საზიანოდ (შეამციროს ან გააუქმოს მისთვის მიკუთვნებული თანხა - 1000 ლარი). იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე აპელანტის საჩივარზე, ე.ი. მოპასუხისაგან კიდევ 700 ლარის მიღებაზე, გამოთქვამს პროტესტს, მაშინ სააპელაციო ინსტანციის კომპეტენცია შემოიფარგლება მხოლოდ იმის გადაწყვეტით - მიაკუთვნოს თუ არა აპელანტს სააპელაციო საჩივარში მოთხოვნილი 700 ლარი.

აქ შეიძლება არსებობდეს შემდეგი ვარიანტიც: თუკი აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე გაასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც მას ევალება აპელანტის სასარგებლოდ 1000 ლარის გადახდა, ე.ი. გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომელიც ხელსაყრელია აპელანტისათვის და ამიტომაც არ გაუსაჩივრებია იგი, მაშინ იბადება კითხვა - გამოსადეგია თუ არა “tantum devolutum quantum appellatum” პრინციპი? ასეთ შემთხვევაში, მრავალი მეცნიერი იზიარებს იმ აზრს, რომ მსგავს შემთხვევებში ზემოთაღნიშნული

პრინციპი უნდა განხორციელდეს წარდგენილ მოთხოვნათა ერთობლიობის გათვალისწინებით. ამის გამო, გადაწყვეტილების აპელანტის საზიანოდ შეცვლა შეიძლება დაიშვას იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მოწინააღმდეგე მხარე თავის შეგებებულ საჩივარში. “მოსარჩელის დასაბუთებული, დამტკიცებული და მოწინააღმდეგის მიერ გაუქარწყლებელი მოთხოვნა განსაზღვრავს გადაწყვეტილების ფარგლებს. თუკი მის მიერ დასაბუთებულია და დამტკიცებულია ამ მოთხოვნის ნაწილი, ხოლო დანარჩენი გაქარწყლებულია მოპასუხის მიერ, მაშინ გადაწყვეტილება გამოიტანება ამ ფარგლებში ისე, რომ თავისი მოცულობით ეს გადაწყვეტილება უფრო ნაკლებია, ვიდრე მოსარჩელის მიერ გაცხადებული მოთხოვნები”.

ამ საკითხს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. სამოქალაქო, ადმინისტრაციული და შრომითი საქმეების სამართალწარმოების შესახებ კუბის კანონის 604-ე მუხლში ნათქვამია: “არანაირი სასამართლო გადაწყვეტილებით არ შეიძლება დამძიმდეს იმ პირის მდგომარეობა, რომლის საჩივრის საფუძველზეც მიიღება იგი”. ხოლო საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლში არის შემდეგი შინაარსის ნორმა: “ზემდგომ სასამართლოს არა აქვს უფლება გააუქმოს ან შეცვალოს გადაწყვეტილება იმ მხარის ინტერესების საზიანოდ, რომელმაც შეიტანა საჩივარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მეორე მხარემაც შეიტანა საჩივარი”<sup>2</sup>. თითქმის ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს პრობლემა საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კერძოდ, ამ კოდექსის 379-ე მუხლში ნათქვამია: “მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია საქმის ზეპირი განხილვის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ნათქვამი უარი სააპელაციო საჩივარზე”. ხოლო იგივე კოდექსის 189-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები განსაზღვრავენ შეგებებული სარჩელის მიღების პირობებს: “მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ: ა). შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; ბ). შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოირიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; გ). შეგებებული სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის

<sup>2</sup> Banerjee B.n. Law of civil appeals and revision 3<sup>th</sup>ed In 2 vol. Allahabad, Law book, 1974.



არის ურთიერთკავშირი და სწორად გადაწყდება. პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლომ გამოიკვეთა ერთობლივი გადაწყვეტილება”.

ყოველივე ზემოთაღნიშნული იძლევა იმის საშუალებას, რომ შეჯიბრებითობისა და დიპიზიციურობის პრინციპების თანახმად, საქმეში მონაწილე პირთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით, სააპელაციო ინსტანცია უნდა შემოიფარგლოს სააპელაციო საჩივარში მითითებული მოთხოვნებით. განსაზღვრულ შემთხვევებში, რომლებზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, შესაძლებელია ამ წესიდან გადახვევა. რამდენადაც წესები საქმის განხილვის სააპელაციო საჩივრით შემოფარგვლისა და უარესისაკენ შებრუნების აკრძალვის შესახებ პასუხობენ სააპელაციო გასაჩივრების არსს და აქედან გამომდინარე - პროცესის მონაწილეთა თავისუფლებისა და კერძო - სამართლებრივ ურთიერთობებში ჩაურევლობის პრინციპებს, ვფიქრობთ, ეს საკითხი სამართლიანად და სათანადო დონეზეა ასახული საქართველოს ახალ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების უფლებამოსილებები დამოკიდებული არის აპელაციის სახეზე. სრული აპელაციის შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო ხელახლა განიხილავს საქმეს არსებითად, იღებს რა პირველ ინსტანციაში წარმოდგენილთან ერთად სრულიად ახალ მტკიცებულებებსაც, გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

1. იმ შემთხვევაში, როცა სააპელაციო სასამართლო საქმეს განხილვის პროცესში გამოავლენს, რომ I ინსტანციის სასამართლომ სრულიად და სწორად გამოიკვლია და შეაფასა საქმის ყველა გარემოება, სწორად გამოიყენა სამართლის ნორმა დადგენილი ფაქტების მიმართ, მას უფლება აქვს ცვლილების გარეშე დატოვოს I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ბოლო სააპელაციო საჩივარი - დაუკმაყოფილებლად.

2. იმ შემთხვევაში, როცა საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვისას დადგინდა ახალი ფაქტობრივი გარემოებები, გარკვეულ იქნა საქმის ირგვლივ ახალი მტკიცებულებები, გამოყენებული იქნა სამართლის სხვა ნორმა, მაშინ მეორე ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია

გააუქმოს I ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და გამოიტანოს ახალი.

არასრული აპელაციის შემთხვევაში, როცა სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმეს განიხილავს მხოლოდ I ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, ან სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი მონაცემებისა და მათი განმარტებების ბაზაზე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო, გარდა იმისა, რომ უფლებამოსილია უცვლელი დატოვოს I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ან გააუქმოს იგი და გამოიტანოს ახალი, აგრეთვე უფლებამოსილია გააუქმოს I ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და დააბრუნოს იგი უკან ხელახალი განხილვისათვის.

აპელაციის ორივე სახისათვის დამახასიათებელია ის, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, პროცესუალური კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს საქმის წარმოება, განუხილველად დატოვოს განცხადება ან შეწყვიტოს საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლოებს უნდა წაეყენოს შემდეგი მოთხოვნები:

- საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში არ უნდა აწარმოებდნენ ის მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ I ინსტანციის საქმის განხილვაში;
- სააპელაციო ინსტანცია უნდა დაკომპლექტდეს უფრო მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლეებით, ვიდრე I ინსტანციის სასამართლოები;
- საქმის სააპელაციო წარმოება უნდა ეფუძნებოდეს იმ პრინციპებს, რაც I ინსტანციის სასამართლოსთვისაა დამახასიათებელი;
- სააპელაციო გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს I ინსტანციაში გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ნაკლები (500 ლარამდე) ღირებულების სამოქალაქო დავები.

გვინდა აღვნიშნოთ, აპელაციისთვის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლება:

- სააპელაციო საჩივარი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც კანონიერ ძალაში არ არის შესული;
- აპელაციით საქმე გადადის ზემდგომი სასამართლოს წარმოებაში;
- აპელირება გამოწვეულია I ინსტანციის სასამართლოს არსწორი გადაწყვეტილებით;

- სააპელაციო სასამართლო განიხილავს როგორც იურიდიულ ასევე საქმის ფაქტობრივ გარემოებებს;
- აპელაციო შეიძლება დაიშვას მხოლოდ ერთჯერადად.

სააპელაციო სასამართლომ:

- ის რაშიც მხარეები ერთმანეთს ეთანხმებიან, უდავოდ უნდა ჩათვალოს არ მოითხოვოს მისი განხილვა და განსჯა;
- თუ მხარის მოთხოვნა უარყოფილია მოწინააღმდეგის მიერ, მაშინ წარმოდგენილი დასაბუთებული ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო ცნობს ან არ ცნობს თხოვნას, ე. ი. სწორედ იმას და არაფერს მეტს, რაც თხოვნაშია წარმოდგენილი.

## § 1. აპელაციის დასაშვობა

I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონიერ ძალაში ჯერ კიდევ არ არიან შესულნი, შესაძლებელია მხარეებმა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე III პირებმა კანონით დადგენილ ერთოვიან ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო საჩივრის დასაშვობის საკითხის გადაწყვეტისათვის სასამართლოების მიერ პრიორიტეტულ საკითხად რჩება.

1) სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტებისა და 2) სააპელაციო საჩივრის ვადის საკითხი.

სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტთა წრეში მოისაზრება, როგორც კანონმდებელი პირდაპირ განმარტავს:

- მოსარჩელე;
- მოპასუხე;
- III პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

ეს არის პირთა ის წრე, რომელთაც აქვთ უფლება დააყენონ საკითხი II ინსტანციის სასამართლოში თავიანთი დარღვეული ან სადაოდ გამხდარი უფლების აღდგენის შესახებ.

რა თქმა უნდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოსარჩელისა და მოპასუხის ტოლფასი უფლებები მინიჭებული აქვთ თანამონაწილეებს, რომელთათვისაც:

- სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;



- სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძველზე
- სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ საქმე გვაქვს თანამონაწილეობის ისეთ შემთხვევასთან, როდესაც თანამონაწილეებს საერთო უფლება აქვთ, სააპელაციო საჩივარი I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანება ნებისმიერ ფარგლებში. დარჩენილ ორ შემთხვევაში თანამონაწილეებს (თანამოსარჩელესა და თანამოპასუხეს) უფლება აქვთ სააპელაციო საჩივარი შეიტანონ მხოლოდ გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც ერთ სარჩელში გაერთიანებულ მის მოთხოვნას ეხება.

რაც შეეხება III პირებს, კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლში, რომ სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე III პირებს და ეს უფლება არამც და არამც შეიძლება გავრცელდეს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მყოფ III პირებზე.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის მეორე პირობა, როგორც აღვნიშნეთ არის სააპელაციო საჩივრის ვადის საკითხი.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე და მისი გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. აღნიშნული ვადა იწყება მხარეთათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან ან მიღებული გადაწყვეტილების ასლის მათთვის საქართველოს სსრკ 70- 78 მუხლების მოთხოვნათა დაცვით გადაგზავნის მომენტიდან.

იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

სასამართლოს წინაშე ხშირად პრობლემატურია საკითხი, როდესაც პროცესს ესწრება არა უშუალოდ მხარე, არამედ მისი წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში, თანახმად საქართველოს სსრკ 98-ე მუხლისა, თუ მარწმუნებელს წარმომადგენელზე სპეციალურად აქვს გაცემული მინდობილობა, კონკრეტულად I ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესახებ-წარმომადგენელს იგივე უფლებამოსულება გააჩნია ამ საკითხში, რაც მის მარწმუნებელს.



სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტილების მიზნულად სადაო საგნის ღირებულება, რამდენადაც მისი ღირებულება უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.

აპელაციის ღირებულებისას განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული—გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე აქვს საჩივარი დაყენებული სააპელაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტს.

ამ მხრივ საინტერესოა

საქმე №2/1759

მოსარჩელე: ე. მ.

მოპასუხე: ი. ყ.

სარჩელი ეხება ალიმენტის დანიშვნას.

2001 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი და მოპასუხეს ალიმენტის სახით ყოველთვიურად დააკისრა 50 ლარის გადახდა შვილის სასარგებლოდ.

მოპასუხემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას მოითხოვა 50 ლარის გადახდის შემცირება 15 ლარამდე.

სააპელაციო პალატა, სავსებით კანონზომიერად, სააპელაციო საჩივრის მიღების დასაშვებობის საკითხის შემოწმებისას მივიდა დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, რამდენადაც სააპელაციო საჩივარი 500 ლარზე ნაკლებია. გამომდინარე საქართველოს სსრკ 41-ე მუხლის „გ“ პუნქტიდან, დავის საგნის ფასი რამდენადაც ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელიდან გამოითვლება ერთი წლის განმავლობაში, გადასახდელი თანხის ერთობლიობით კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენს  $50-15=35$  ლარს ე. ი. წლის განმავლობაში  $35 \times 12 = 420$  ლარს.

ამგვარად, კონკრეტულ საქმეზე სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სასამართლოსათვის თუ ღირებულება ეჭვს იწვევს, თანახმად საქართველოს სსრკ 102-ე მუხლისა სააპელაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტისას, საინტერესოა საკითხი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.

კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი.

სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგაა გამოტანილი, რის საფუძველზეც ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს.

სააპელაციო წესით აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ იმ საფუძველზე შეიძლება, რომ არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შესაბამისი სამართლებრივი წინამძღვრები.

თანახმად საქართველოს სსკ 242 მუხლისა, მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმ მხარის წინააღმდეგ, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაში მხარეს, რომელმაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ შემოიტანა საჩივარი, მაგრამ არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, ერთმევა უფლება საჩივრის შემოტანისა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის კვლავ განახლების შესახებ.

მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება ამ შემთხვევაში, თამახმად საქართველოს სსკ 242 მუხლის II ნაწილსა და 366 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ სააპელაციო წესით.

აპელაციის დასაშვებობის საკითხის გარკვევისას ფრიად მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, რეგისტრირებულია თუ არა სააპელაციო საქმე საოლქო სასამართლოს კანცელარიაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც II ინსტანციის სასამართლოში მოხვედრილი საქმე კანცელარიაში არარეგისტრირებულობის შთაბეჭდილებას ახდენს იმდენად, რამდენადაც მასზე კანცელარიის შტამში არ არის.

ამ მხრივ საყურადღებოა

საქმე №2/1-122-2001 წ.

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

სარჩელი ეხება 14600 ლარის დაბრუნებას.



აღნიშნულ საქმეზე არ ჩანს რეგისტრირებულია თუ არა იგი სასამართლოს კანცელარიაში, რამდენადაც მასზე კანცელარიის არის და იგი ისეა დაწერილი განსახილველად მოსამართლეებზე.

ამავე საქმეში ს.ფ. 99-101 მოსარჩელის შეგვეგებულ სააპელაციო სარჩელზე სასამართლო არავითარ რეაგირებას არ ახდენს, იმდენად, რამდენადაც მის მიერ არ არის გამოტანილი განჩინება -

- შეგებებული სააპელაციო სარჩელის მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამავე საქმეში ს.ფ. 106 და 109-114 სასამართლო სხდომები მიმდინარეობს განჩინების - სასამართლო სხდომის დანიშვნის, გამოტანის გარეშე.

აპელაციის დასაშვებობის საკითხის შემოწმებისას თანახმად საქართველოს სსსკ 374 მუხლისა სააპელაციო სასამართლომ -

- სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში უნდა შეამოწმოს: დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა

საქმე №2ბ-30-2001 წ.

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

თანამოპასუხე: z

სარჩელი ენება დაკისრებული თანხისა და მიყენებული ზიანის გადახედვინებას 50416 ლარზე.

აღნიშნული საქმე II ინსტანციაში შემოვიდა 2000 წ 10 ოქტომბერს და სასამართლოს დაეწერა 17 ოქტომბერს (ს.ფ.182), მაგრამ სასამართლომ საქართველოს სსსკ 374 მუხლის I ნაწილის უგულებელყოფით იგი წარმოებაში მიიღო 30 ოქტომბერს.

ამავე საქმეზე შვიდთვიანი ვადის შემდეგ (!) იმართება სასამართლო სხდომა (ს.ფ.213) განჩინების გამოტანის გარეშე.

აღნიშნული საქმისა და სხვა საქმეების ანალიზიდან თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ II ინსტანციის სასამართლოებში ხშირად ირღვევა კანონი -

- "საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლების სხვა მოსამართლეებისათვის დაკისრების წესის შესახებ" (მუხლი 5-6).

რამდენადაც, ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტაციის გარეშე იცვლება საქმის განსახილველი სასამართლოს შემადგენლობა.

ამგვარად, სააპელაციო წესით გასაჩივრდება:

1. რ-ნული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილებები;
2. მათ მიერ გამოტანილი მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებები.

წერილობითი ფორმით შედგენილი სააპელაციო საჩივარი მხოლოდ იმ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

## § 2. სააპელაციო საჩივრის შეტანის წესი

სააპელაციო საჩივრის შეტანის წესის განსაზღვრისას სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობებისა და შემოწმების მიმართ.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია სააპელაციო საჩივრის შინაარსის ზუსტი შესაბამისობა საქართველოს სსკ 368 მუხლთან, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი;
- იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი; როგორც ავლნიშნეთ, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელეს, მოპასუხესა და III პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე;
- მითითებას, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;
- მითითებას გადაწყვეტილების უსწორობისა და სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის კონკრეტული მოთხოვნის შესახებ;
- მითითებას იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ასაბუთებენ და ადასტურებენ სააპელაციო საჩივარს.
- სააპელაციო საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას.

სააპელაციო საჩივარი, თანდათან მასალებთან ერთად სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეს არის საქმეში.

სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს მისი შემტანი პირი.

იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს, თანახმად საქართველოს სსკ 98 მუხლისა, საქმეში მისი უფლებამოსილების



დამადასტურებელი საბუთის არ არსებობისას, სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთვას მისი უფლებამოსილობის დამადასტურებელი მინდობილობა.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა

საქმე №2/481

მოსარჩელე: გ. გ.

მოპასუხე: მ. დ.

სარჩელი ეხება ქორწინების შეწყვეტას.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩემ ისე გაასაჩივრა I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება II ინსტანციაში, რომ საჩივარს უწოდა არა სააპელაციო, არამედ საკასაციო საჩივარი, საქართველოს სსკ 368 მუხლის უკულებელყოფით.

ამ ფაქტს არავითარი ყურადღება არ მიექცა, როგორც რაიონის, ასევე საოლქო სამართლოს მიერ და იგი ამ ფორმით იქნა II ინსტანციის სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღებული.

სასამართლოების მხრივ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გარდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკითხს.

სააპელაციო საჩივარი თუ არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს ან თუ სახელმწიფო ბაჟი გადახდილი არ არის, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას.

აღნიშნულ ვადაში თუ ხარვეზი არ არის შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

ამ მხრივ საყურადღებოა, ჩვენს მიერ I ინსტანციაში გაანალიზებული

საქმე №2/152

მოსარჩელე: შპს „ინტერსაკი“

მოპასუხე: ს/ს „კალიუმი“

სარჩელი ეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას.

აღნიშნულ საქმეზე სარჩელი კანცელარიაში რეგისტრირებული არ ჩანს, რამდენადაც სარჩელს კანცელარიის შტამში არ ურტყია.



ამ საქმეზე სარჩელის განხილვისას ს.ფ. 8 სასამართლოს გამოტანილია განჩინება საქართველოს სსკ 183 მუხლის შესაბამისად სარჩელის მიღების შესახებ, მაგრამ სამართლებრივად ეს განჩინება არაფრის მომცემია, რამდენადაც მოსამართლის მიერ განჩინება ხელმოუწერელია.

ამავე საქმეზე სახბაჟი გადაუხდელია მოსარჩელის მიერ, მაგრამ, როგორც დავინახეთ მოსამართლემ მიუხედავად ამისა, მაინც გამოიტანა სამართლებრივად არაფრისმთქმელი განჩინება სარჩელის მიღების შესახებ. არადა, სასამართლოს ასეთ შემთხვევაში საქართველოს სსკ 185 მუხლის თანახმად 179 მუხლზე მითითებით, რამდენადაც სახბაჟი გადახდილი არ იყო, -- უნდა გამოეტანა განჩინება სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ და უნდა მოეთხოვა მოსარჩელისათვის ხარვეზის შევსება, რაც ამ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან არ იქნა განხორციელებული.

აღნიშნულ საქმეში ისე მიმდინარეობს მთავარი სასამართლო სხდომა (ს.ფ. 14), რომ საქართველოს სსკ 207 მუხლის უხეში დარღვევით -- გამოტანილი არ არის განჩინება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ.

ამავე საქმეზე სასამართლომ გამოიტანა საქართველოს სსკ 249 მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით (რაც პოზიტივიზმზე მიუთითებს) არსებითი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ბაჟის გადახდა დააკისრა მოპასუხე მხარეს (ს.ფ. 60-61).

აღნიშნულ საქმეზე მოპასუხეს მიერ სასამართლოში წარმოდგენილი იქნა სააპელაციო საჩივარი, რომელსაც თან დაურთო მოპასუხემ I ინსტანციაში გადახდილი სახბაჟის ქვითრები (ს.ფ. 64-65). მიუხედავად ამისა, II ინსტანციის სასამართლომ-აპელაციაში ეს დარღვევა ვერ შეამჩნია და სააპელაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში. ამგვარად, გვინდა განვაცხადოთ: II ინსტანციის სასამართლოებს მეტი ყურადღება მართებთ ასეთი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით.

არადა, ამ შემთხვევაში I ინსტანციის სასამართლო თანახმად საქართველოს სსკ 368 მუხლის V ნაწილისა ვალდებული იყო მოეთხოვა მხარისათვის ხარვეზის გამოსწორება /სახელმწიფო ბაჟის გადახდა/.

თუ მხარე მითითებულ ვადაში არ გამოასწორებდა ხარვეზს -- სასამართლოს სააპელაციო საჩივარი არ უნდა მიეღო.

მოსარჩელე: თ. გ.

მოპასუხე: X

სარჩელი ეხება სამუშაოზე აღდგენას

აღნიშნულ საქმეში სააპელაციო საჩივარს წინა საქმის მსგავსად თან არ ახლავს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ეს სააპელაციო საჩივარი მანც მიიღო წარმოებაში და არ დატოვა საქმე უმოძრაოდ ხარვეზის შევსებამდე.

ამგვარი დარღვევები სასამართლოთა პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია, ამიტომაც სასურველია, I ინსტანციის სასამართლოებთან ერთად ამ საკითხთან მიმართებაში შეთანხმებული პოზიცია ქონდეს II ინსტანციის სასამართლოს.

რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას, ჩვენ მასზე უკვე ვეჭონდა საუბარი და აღარ შევჩერდებით.

საეპელაციო საჩივრის შეტანის წესის განსაზღვრისას სასამართლოს მხრივ ზუსტად და ერთგვაროვნად უნდა იქნეს აღქმული საქართველოს სსკ 370 მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც:

მხარე თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით უარს განუცხადებს საქმის სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სჭირდება I ინსტანციის სასამართლოებს.

საქმე №2/1952

მოსარჩელე: მ. შ.

მოპასუხე: კ. მ.

სარჩელი ეხება საერთო საკუთრებიდან წილის გამოყოფას.

აღნიშნული საქმის დეტალური ანალიზი საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულებელყოფით, სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ, მაშინ როდესაც მხარეებმა წერილობით დაადასტურეს და რაც სასამართლო სხდომის ოქმში აისახა კიდევ, რომ ისინი არ აპირებდნენ გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

ამგვარი ქმდება I ინსტანციის სასამართლოს მხრიდან შეიძლება გახდეს საფუძველი მხარეთა არაკეთილსინდისიერების პროვოცირებისა.

### § 3. სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა თუ უარის თქმის საფუძვლები

სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა თუ არის თქმის გადაწყვეტისას, სასამართლომ პირველყოვლისა უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე. რამდენადაც, საქმის განხილვა II ინსტანციაში წარმოებს I ინსტანციით საქმეების განხილვის საქმეების ანალოგიურად, იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რაც სააპელაციო წარმოებისათვის არის დამახასიათებელი.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა

საქმე №2/1280 - 2000 წელი

მოსარჩელე: X

მოპასუხე: Y

სარჩელი ეხება საშუაოზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას.

აღნიშნულ საქმეზე I ინსტანციაში გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა 2000 წლის 03 აგვისტოს (ს.ფ. 46-49), რომლითაც მოსარჩელე X-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საქმეზე სააპელაციო საჩივარი X-ის მიერ შემოვიდა ერთთვიანი ვადის დარღვევით 04 სექტემბერს, ისე, რომ მის მიერ სახბაჟი გადახდილი არ ყოფილა. მთლიანად საქმე სააპელაციო სასამართლოში შემოვიდა 06 სექტემბერს.

აღნიშნულ საქმეზე ს.ფ. 56 სასამართლომ გამოიტანა განჩინება სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ II სექტემბერს, სადაც მითითებულია: "მიღებულ იქნეს X-ის მოსარჩელე სააპელაციო საჩივარი". მაგრამ საქმის განხილვის შესახებ მან არაფერი მიუთითა.

ამგვარად: ამ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს -

- უნდა შეეცხო ხარვეზი (გადახდილ უნდა ყოფილიყო სახბაჟი) თუ არა და სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დაეტოვებინა;

- კონკრეტულად უნდა ემსჯელა სხდომის თარიღის დანიშვნის თაობაზე; ს.ფ. 63-64 მოსამზადებელი სხდომის ოქმის დროს ჩნდება ცნება "მოპასუხე Y-ის სააპელაციო საჩივარი" მოსარჩელე X-ის სააპელაციო საჩივართან ერთად.





კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე y ვერ იქნება სააპელაციო შემომტანი. აქ ალბათ საუბარია შეგებებულ სარჩელზე, მაგრამ განჩინებაში სარჩელის მიღების შესახებ საქმეში არ ჩანს, რაც კანონის დარღვევაა.

იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებთ და იქნებოდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, იგი უნდა დაეშვა შესაბამის ვადაში სასამართლოს.

ამ ტერმინოლოგიური და პროცესუალური გაურკვევლობის ფონზე სააპელაციო სასამართლო 6 თვეზე მეტი ხნის შემდეგ 29 დეკემბერს იღებს გასაოცებელ გადაწყვეტილებას (ს.ფ. 106-11): "მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს".

კონკრეტულ შემთხვევაში როგორც აღვნიშნეთ, მოპასუხე არ შეიძლება ყოფილიყო სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირი. თუ დაუშვებთ, რომ იგი ასეთ პირად მაინც დარჩა, მაშინ სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის უხეშ დარღვევასთან გვაქვს საქმე.

სააპელაციო საჩივრის განსაზღვრელად მიღების კვლევისას ფრიად საინტერესოდ გამოიყურება

საქმე №2/449

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

სარჩელი ეხება თანხების დაკისრებას.

აღნიშნული საქმე სააპელაციო პალატაში შემოვიდა და სასამართლო კოლეგიის მიერ 2001 წლის 15 მარტს გამოტანილი იქნა განჩინება სააპელაციო საჩივრის მიღებისა და საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნის შესახებ (ს.ფ. 225). ამ განჩინების საფუძველზე საქმის განხილვა დაინიშნა 15 მაისს.

მაგრამ საკითხი სხვაგვარად დგას. კონკრეტული საქმის ანალიზისას მივედით დასკვნამდე, სასამართლომ ფორმალურად გამოიტანა რა მართლაც საპროცესო კანონმდებლობის დაცვით განჩინება სავსებით მართებულად საქმე მაინც კანონმდებლობის უხეშ დარღვევასთან გვაქვს.

ამ განცხადების საფუძველს იძლევა ის, რომ საბაჟო გადახდილი არ არის და სასამართლოს არ შეუძლია სააპელაციო საჩივარი მიეღოს.

უფრო მეტიც, საქმის ანალიზიდან და საქმის ფურცელთა ქრონოლოგიიდან გამომდინარე აშკარა ხდება, რომ კონკრეტულ საქმეში დაკარგულია განჩინებები და სხვადასხვა დოკუმენტაცია. რის

დამადასტურებელიცაა კიდევ აპელაციის წარმომადგენლის 2001 წლის 04 აპრილის მიმართვა (დარეგისტრირებულია 13 აპრილს) სასამართლოსადმი, სადაც იგი უთითებს "2001 წლის 02 აპრილის განჩინებაზე დადგენილი ხარვეზის შევსების შესახებ" მაგრამ განჩინება საქმეში არსად ჩანს.

განჩინება, რომც არსებულიყო ამ საქმეში გვექნებოდა კიდევ ახალი ულოგიკობა. იმ მიმართებით, რომ თუ 02 აპრილს არის გამოტანილი განჩინება დადგენილი ხარვეზის შევსების შესახებ, მაშინ როგორ და რა საფუძვლით გამოიტანა სასამართლომ 15 მარტს განჩინება სააპელაციო საჩივრის მიღებისა და საქმის ზეპირი განხილვის შესახებ?

აღნიშნული შემტხვევა აზროვნებისათვის მართლაცდა ფართო ასპარეზს იძლევა. ამიტომაც, ჩვენ მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციით წარმოვანინეთ ის, თუ რა დიდი ყურადღება მართებთ სააპელაციო სასამართლოებს კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტი და ერთგვაროვანი აღქმისა და გამოყენების თვალსაზრისით.

აღნიშნული კუთხით საინტერესოა ასევე საქმე №2-358

საქმე ეხება გადახდის ბრძანებით 11000\$ გადახდას.

აღნიშნული საქმე I ინსტანციაში გადაიზარდა სასარჩელო წარმოებაში II ინსტანციაში სასამართლომ, მართლაცდა პოზიტიურად გამოიტანა განჩინება სააპელაციო საჩივრის უმოდროდ დატოვების შესახებ (ს.ფ. 35-36), რამდენადაც აპელანტმა საბაჟო არ გადაიხადა.

ს.ფ. 43-45 მიხედვით აპელანტმა გადაიხადა ორასი ლარი საბაჟო და სასამართლომ განჩინებით იმავე დღეს მიიღო საქმე წარმოებაში.

აღნიშნულ საქმეზე ფორმალურად კანონმდებლობა დაცულია, მაგრამ თანახმად საქართველოს სსკ V თავისა ორასი ლარი არამც და არამც არ არის სადაო თანხის 3%. ამიტომაც, სასამართლო უმჯობესი იქნებოდა, თუ თავს შეიკავებდა საქმის წარმოებაში მიღების განჩინებისაგან.

გვინდა მკვეთრად აღვნიშნოთ, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი სააპელაციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს 10 დღეში. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, დანარჩენ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.



სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებით სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რასაც იგი სამი დღის განმავლობაში ატყობინებს მხარეებს.

მას შემდეგ, რაც სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია.

დაუყოვნებლად აღსარულებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, II ინსტანციის სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს ამ გადაწყვეტილების აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

II ინსტანციის სასამართლო „ამ საკითხთან დაკავშირებული განჩინების საფუძველზე შეუძლია:

- აღსრულების შეჩერება;
- აღსრულების ღონისძიების გაუქმება;
- აღსრულების გავრძელება უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით.

#### § 4. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში

საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში ხორციელდება ყველა იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეების განხილვისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მოწინააღმდეგე მხარეს –

- გადაუგზავნის სააპელაციო საჩივარს და დამატებით შემოსულ ყველა წერილობით თუ ნივთიერი მასალის ასლებს;
- დაუდგენს ვადას სააპელაციო საჩივარზე პასუხის გასაცემად;

II ინსტანციის სასამართლო დაადგენს საკითხს ხომ არ აპირებს მოწინააღმდეგე მხარე შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენას და ა. შ.





სააპელაციო სასამართლოს საქმის უკეთ მომზადების მიზნით შეუძლია შეასრულოს გარკვეული მოქმედებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსკ 203 და 204 მუხლებში, თანახმად 205 მუხლისა შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომაც.

სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების უმთავრესი თავისებურება გახლავთ ის, რომ I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება მხოლოდ და მხოლოდ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში – ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით.

სამართლებრივი კუთხით შემოწმება გულისხმობს არა მხოლოდ პროცესუალური, არამედ მატერიალურ ნორმებს ანუ იმას, რომ სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ამაზე.

I ინსტანციის სასამართლომ

- არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- არასწორად განმარტა კანონი.

სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსკ 394 მუხლითაც, რამდენადაც II ინსტანციის სასამართლომ უნდა შეამოწმოს საქმის წარმოების დროს I ინსტანციაში გადაწყვეტილების გამოტანისას ხომ არ იყო ერთ-ერთი ასეთი საფუძველიც კი, რომელიც გადაწყვეტილების კანონის დარღვევით მიღებულობას განაპირობებს.

სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს I ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული ის განჩინებები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდეა მიღებული.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს კანონმდებლობის იმ მოთხოვნაზე, რომ მნიშვნელობა არა აქვს ასეთი განჩინების მიმართ დასაშვებია თუ არა კერძო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლო ამოწმებს საკითხს, სასამართლოს

- საქმე ექვემდებარება თუ არა უწყებრივად;
- კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით აქვს თუ არა საერთაშორისო კომპეტენცია.

სააპელაციო სასამართლო მხოლოდ მოპასუხის მოტხოვნით შეამოწმებს

I ინსტანციის სასამართლოს განსჯადობის საკითხს.

აღნიშნული მოთხოვნა დასაშვებია:

- თუ იგი საქმის I ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ;
- ან თუ არსებობს მიზეზი, რის გამოც წინა ინსტანციაში ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული.

სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტებია: სააპელაციო საჩივარი და შეგვეებული სააპელაციო საჩივარი. ორივე მათგანი მოდგვს მხარისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც მათი მოქმედებით რეალიზდება მხარისათვის სადაო დარღვეული უფლების აღდგენის საკითხი.

სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი ბუნება განსაზღვრულია საქართველოს სსკ 368 მუხლით. რაც შეეხება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმას, იგი დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით საქმის ზეპირი განხილვისას.

სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

რაც შეეხება შეგვეებულ სააპელაციო საჩივარს, მას თითქმის იგივე მოთხოვნები წაეყენება, რაც სააპელაციო საჩივარს.

საქმის ზეპირი განხილვისას მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია წარადგინოს შეგვეებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, მას ნათქვამი აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივარზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, შეგვებულ სააპელაციო საჩივარზე არ შეიძლება გავრცელდეს სააპელაციო საჩივრის ღირებულება—500 ლარის ოდენობა.

იმ შემთხვევაში თუ აპელანტი უარს იტყვის სააპელაციო საჩივარზე და შეგვეებული საჩივრის შემტანი პირი ამაზე თანახმა იქნება, შეგვეებული სააპელაციო საჩივარი თავის ფუნქციას დაკარგავს. ამიტომაც, სასამართლომ ამ შემთხვევაში უნდა გამოიტანოს განჩინება სააპელაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, რამდენადაც აპელანტმა უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე. ანალოგიური წესი არ გამოიყენება, როდესაც საქმე გვაქვს რამდენიმე სააპელაციო საჩივრის შეტანასთან და ერთ-ერთი მათგანი მაინც უარს არ ამბობს სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილი იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები.

იმ შემთხვევაში, თუ მხარემ უხეში გაუფრთხილებლობით ეს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები შეეძლო, მაგრამ არ წარმოადგინა I ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს, როგორც დავიანებით წარმოდგენილი, რამდენადაც მათი II ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენა ხელს შეუშლის საქმის დროულად განხილვას.

ეს არის ის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი, რომლითაც სასამართლო ხელისუფლება წინ უნდა აღუდგეს მხარის მიერ გამოვლენილ არაკეთილსინდისიერებისა და საქმის განხილვის ვადის ხელოვნურ გაჭიანურებას.

სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის შეცვლა ან გადიდება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე ამაზე თანახმა ან სააპელაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ასეთ შეცვლას ან გადიდებას.

ანალოგიურად დარეგულირდება საკითხი შეგვეებული სააპელაციო საჩივრის აღძვრისა და ხარჯების განსაზღვრისას.

II ინსტანციის სასამართლო, ისე როგორც I ინსტანციის სასამართლო საქმეს ზეპირად განიხილავს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა იწყება ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელიც წარმოადგენს:

- საქმის გარემოებებს;
- I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებს;
- სააპელაციო საჩივრის შინაარსსა და დასაბუთებულობას, მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებას საჩივრის მიმართ;

აღნიშნულის შემდეგ სიტყვა ეძლევათ მხარეებს თავიანთი მოთხოვნებისა და შუამდგომლობების წამოსაყენებლად და დასასაბუთებლად.

II ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვას უშუალოდ მოჰყვება მტკიცებულებათა გამოკვლევა.

I ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს მთლიანად ან ნაწილობრივ.



საქმის წარმოების დროს სააპელაციო სასამართლოში ფაქტობრივად იგივე დარღვევები გვაქვს, რაც I ინსტანციის სასამართლოში.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა სააპელაციო სასამართლოშიც მთავარი სასამართლო სხდომის გამართვა განჩინების გამოტანის გარეშე, რომელიც როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ მრავალი პროცესუალური დარღვევის სათავე ხდება.

აღნიშნული დებულების გამოთქმის საფუძველს იძლევა შემდეგი საქმეების დეტალური ანალიზი:

1) საქმე 2/758

მოსარჩელე: ა. ა.

მოპასუხე: ე. ნ.

სარჩელი ეხება უკანონოდ დაკავებული ბინის სადგომიდან გამოსახლებას

2) საქმე №2/131

მოსარჩელე: ს. ს. კბ X

მოპასუხე: ს. ს.

სარჩელი ეხება არასაცხოვრებელი ფართის გამონთავისუფლებას

3) საქმე №2/1618

მოსარჩელე: რ. ნ.

მოპასუხე: X

სარჩელი ეხება ზარალის ანაზღაურებას

4) საქმე №2/2041

მოსარჩელე: ს. გ.

მოპასუხე გ. გ.

სარჩელი ეხება მიწის ფართობის გამოყოფას და ა. შ.

5) საქმე №15/03

მოსარჩელე: რ.ჭ.

მოპასუხე: გ.ჭ-ჭ.

III პირი ე.გ.

სარჩელი ეხება ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას.

კონკრეტულ საქმეში, როგორც სხვა საქმეში არ არის გამოტანილი განჩინება მთავარი სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ.

აღნიშნული საქმის ანალიზიდან აშკარაა, რომ აპელანტმა სასამართლო სხდომაზე (ს.ფ.77) მოითხოვა განუხილველი დარჩეს მისი სააპელაციო

საჩივარი და სასამართლომაც განჩინებით დაადგინა, რომ საპულაციო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

აქ, თითქოსდა ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა. განჩინების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ ზუსტად, კანონის შესაბამისობით, მიუთითა საქართველოს სსკ 378 მუხლზე და აღნიშნა "საპულაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია საპულაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე".

ამ შემთხვევაში თუ სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში იმსჯელა სსსკ 378 მუხლით, მას განუხილველად კი არ უნდა დაეტოვებინა საქმე, არამედ განჩინებით უნდა შეეწყვიტა საქმე იმავე მუხლის II ნაწილის საფუძველზე.

აქ დასკვნა ერთია, მოსამართლემ ამ შემთხვევაში აპელანტის არაკანონისმიერი მოთხოვნის საფუძველზე თავის თავზე აიღო ინიციატივა. მხარეს დაუტოვა გასაჩივრების უფლება, რამდენადაც განჩინებით საქმის განუხილველად დატოვების შესახებ მხარეს გასაჩივრების უფლება შეუნარჩუნა.

თანახმად სსსკ 378 მუხლის II ნაწილით კი "საპულაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება საპულაციო წესით".

აქ, დღესათვის ნათელია ის ხარვეზი, რომელიც სასამართლოს მიერ ნებისთნეულად თუ უნებლიეთ არის დაშვებული. რამდენადაც აპელაციის ფორმულირება სამართლებრივი კუთხით არ იქნა შესწავლილი და პირდაპირ იქნა გაზიარებული.

6) საქმე №2/216

მოსარჩელე: X

მოპასუხე: Y

სარჩელი ეხება სამსახურში აღდგენას.

აღნიშნულ საქმეში პოზიტივიზმი სახეზეა, რომ არა ფაქტი იმისა, რომ ერთ-ერთ მოსამართლეს განჩინებაზე - საპულაციო საჩივრის უმოძრაოდ დატოვების შესახებ (ს.ფ. 94) ხელი დაშტრიხულზე აქვს მოწერილი, რომლის ქვემოთაც სხვისი ხელმოწერის კვალი აშკარაა.

ამავე საქმეშიც, როგორც სხვა საქმეებშიც არ არის გამოტანილი განჩინება მთავარი სასამართლო სხდომების დანიშვნის შესახებ (ს.ფ. 97 და 102-109).

7) საქმე №2/801

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

სარჩელი ეხება თანხის გადახდას.

აქაც, როგორც სხვა საქმეში არ არის გამოტანილი განჩინებები სხდომის დანიშნვისა და შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმებაში მიღების შესახებ.

იგივე შეიძლება ითქვას

8) საქმე №2/130

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

III პირი z

ძალზედ საინტერესოა სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების თვალსაზრისით

საქმე №2/1307

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

III პირი z

სარჩელი ეხება სესხის უკან დაბრუნებას

აღნიშნული საქმის ანალიზიდან აშკარაა, რომ სასამართლომ არ იმსჯელა მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნის გაზრდაზე შეგებებული სარჩელის საფუძველზე (ს.ფ. 72-73), არადა, იგი ვალდებული იყო ეს საკითხი განეხილა.

უფრო მეტიც, ამავე საქმეში არსებულ 2001 წლის 25 ივნისის განჩინებაზე (ს.ფ.96) იმის შესახებ, რომ საქმის განხილვა "გადანიშნოს ... 2001 წლის 28 ივნისს" მესამე მოსამართლე საერთოდ არაა მითითებული და არც ხელმოწერაა (!)

აქაც აშკარაა, რომ სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს სსკ 25 მუხლის III ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლოში ირღვევა საქმის განხილვის ის ზოგადი პრინციპები, რომელზეც საუბარი წინა თავში გვქონდა და რაც საქმის მოუმზადებელ განხილვას იწვევს მთავარ სხდომაზე, რითაც ირღვევა კიდევ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების წესი.

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება კიდევ



საქმე №2/230

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

სარჩელი ეხება იძულებითი წესით გამოსახლებას

აღნიშნულ საქმეში 2001 წლის 23 აპრილს სააპელაციო სასამართლოში პროცესი გადაიღო იმ მოტივით, რომ "სასამართლოს არა აქვს იმის დოკუმენტი, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებული აქვს".

ამ საქმეში მოპასუხემ ს.ფ. 45-48 19 აპრილს წარმოადგინა შეგებებული სარჩელი და იმავე დღეს გაიმართა სხდომა, სადაც აპელანტი გასაგებ მიზეზთა გამო არ მონაწილეობს პროცესში.

ამდგვარი სვლებით გაგრძელდა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა თვეების განმავლობაში.

აქედან აშკარაა, რომ სამოქალაქო პრინციპების დარღვევის პრობლემატიკა აქტუალურია ნებისმიერ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების წესის დარღვევა კუროსულ სიტუაციაში აგდებს კიდევ სასამართლო ხელისუფლებას.

ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ II ინსტანციის სასამართლოს მიერ 2001 წლის 17 აპრილს გაგზავნილი წერილი №2ბ-518-2001 ნაცვლად ერთ-ერთი ბანკის მმართველისა და სხვა ბანკის მმართველზე (?!), რომლითაც იგი მმართველს თხოვს: "თანხის ნაღდი ფულით გატანის ან მისი გადარიცხვის შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ სათანადო საბანკო დოკუმენტი (ჩეკი, საგადასახადო დავალიანება და სხვა) ... ამ დოკუმენტთა წარმოდგენის ვადაა 24 აპრილამდე".

ამ შემტხვევაში კუროსულ სიტუაციას რომ თავი დავანებოთ, სასურველი იქნებოდა, თუ სასამართლო თანახმად საქართველოს სსკ 113 მუხლის I ნაწილისა გამოიტანდა განჩინებას მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ, რაც არ მომხდარა კიდევ.

ამგვარად, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია საქმეთა სააპელაციო წესით განხილვის დროს დაცული იქნეს ყველა ის წესი, რაზედაც საუბარი ამ პარაგრაფში გვქონდა.

## § 5. სააპელაციო სასამართლოს განჩინებები და გადაწყვეტილებები



სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება შებოჭილია მხოლოდ I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმება მოქცეულია აპელანტის მოთხოვნის ფარგლებში.

თანახმად საქართველოს სსკ 385 და 386 მუხლებისა სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია:

- უარი უთხრას აპელანტს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და დატოვოს გადაწყვეტილება უცვლელად;
- გააუქმოს გადაწყვეტილება და თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება;
- გააუქმოს გადაწყვეტილება და I ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

საქმის I ინსტანციაში დაბრუნება ხდება, თუ:

- არსებობს გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები;
- I ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სააპელაციო სასამართლომ მაქსიმალურად თავი უნდა შეიკავოს საქმის I ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნებაზე და რეალიზაცია გაუკეთოს საქართველოს სსკ 385 მუხლის II ნაწილის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც „სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი“.

როგორც აღვნიშნეთ, სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით, მაგრამ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც II

ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გავიდეს სააპელაციო ფარგლებს გარეთ არის შეგებებული სააპელაციო საჩივრის შემთხვევა.

იმ შემთხვევაში თუ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე შემოიტანს აპელანტის მიერ გასაჩივრებულ ნაწილზე შეგებებულ სააპელაციო საჩივარს, სასამართლო ვალდებულია ამის კვალობაზე შეამოწმოს I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო თუ ჩათვლის, რომ გადაწყვეტილება გასაუქმებელია შეგებებული საჩივრის მოთხოვნის ნაწილში, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება აღნიშნულის თაობაზე. II ინსტანციის სასამართლოში თუ არ გამოცხადდებიან მხარეები, მაშინ სასამართლო საქართველოს სსკ 387 მუხლის შესაბამისად მოქმედებს.

მხარეთა სააპელაციო სასამართლოში გამოუცხადებლობა იგივე შედეგს იწვევს, რაც I ინსტანციის სასამართლოშია.

- იმ შემთხვევაში თუ აპელანტი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრდება იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება ე. ი. მისი გასაჩივრება მოხდება ისევ სააპელაციო სასამართლოში. თუ სააპელაციო სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის საჩივრის დაკმაყოფილებაზე, მაშინ ეს განჩინება საკასაციო წესით უნდა იქნეს გასაჩივრებული.

- იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, აპელანტის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც მომჩივანის ახსნა-განმარტებას დაემყარება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა

საქმე №2/571

მოსარჩელე: X

მოპასუხე: Y

სარჩელი ეხება მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებას



საქმის ანალიზის დაწყებამდე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სარჩელი I ინსტანციის სასამართლოში განსახილველად შემოვიდა 2000 წლის 15 მაისს და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ორი წლის თავზე 2002 წლის 30 მაისს (?!).

ამ საქმის I ინსტანციაში განხილვის პერიპეტეებზე ჩვენ არ შევჩერდებით და საქმის ანალიზს დაიწყოთ II ინსტანციიდან.

N საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2001 წლის 14 მაისის განჩინებით (ს.ფ. 56-57) განსჯადობით განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციულ სამართლის და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას, რომელიც სავსებით კანონზომიერად არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას და 2001 წლის 3 ივლისის განჩინებით (ს.ფ. 65-66) საქმე გადააგზავნა უზენაეს სასამართლოში – საკითხის განსჯადობის გასარკვევად.

უზენაესმა სასამართლომ სავსებით პოზიტიურად გაიაზრა ადმინისტრაციული პალატის მოსაზრება და წარმოაჩინა სამოქალაქო პალატის საქმიანობის ნეგატიური მხარე. იმ თვალთახედვით, რომ მან არ შეასრულა საქართველოს სსკ II მუხლის I ნაწილის ა პუნქტის მოთხოვნები. რომლის მიხედვითაც დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის საფუძველზე სამოქალაქო და საოჯახო დავებთან ერთად შრობითი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებსაც განიხილავს სასამართლო ერთიანი წესის შესაბამისად.

მოუხედავად ნეგატიური მოქმედებისა უძრავლეს შემთხვევაში II ინსტანციის სასამართლოები გადაწყვეტილებებისა თუ განჩინებების გამოტანისას პოზიტიურად მოქმედებენ. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ

საქმე №2<sup>ბ</sup>-01.

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

სარჩელი ეხება საცხოვრებელ სახლებს შორის მისასვლელ გზას

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სსკ 387 მუხლის II ნაწილის თანახმად სავსებით კანონზომიერად, რამდენადაც საქმის განხილვაში მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდა, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ზოგადად გვინდა აღვნიშნოთ, სააპელაციო სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგები I ინსტანციის სასამართლოში მოქმედი წესების იდენტური— დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნეს:

- სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირი;
- საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოკლე ფაბულა;
- სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების საფუძვლები;
- სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებს, რომლებშიც შეძლებისდაგვარად დეტალურად უნდა აისახოს:

- გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები;
- ის პროცესუალური და მატერიალური ნორმები, რომელიც აპელაციამ ცნო დარღვეულად;
- ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელზე დაყრდნობითაც აპელაციამ გააუქმა ან შეცვალა გადაწყვეტილება;
- სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სააპელაციო საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ
- კონკრეტული მითითება იმ მოქმედებაზე, რაც მხარემ უნდა შეასრულოს;
- მითითება სასამართლო ხარჯების განაწილების, გასაჩივრების ვადისა და წესის შესახებ.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს განჩინებას, მასში სასამართლომ უნდა მიუთითოს.

- განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;
- სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- აპელანტის დასახელება;



- გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საჩივრის მოკლე არსებობის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები და კანონები, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა;
- სასამართლოს დადგენილება.



## თავი III კასაცია

### შესავალი

ნაპოლეონ პირველმა, 1801 წლის 15 აგვისტოს გაკეთებულ მოხსენებაში, რომელიც საფრანგეთში სამოქალაქო კანონმდებლობის რეფორმას შეეხებოდა, ასე განსაზღვრა საკასაციო სასამართლოს ამოცანები: "საკასაციო სასამართლო, უთმობს რა ფაქტების ჭეშმარიტების დადგენის და ხელშეკრულებებში პირობების განმარტების ფუნქციებს სასამართლოებს, ამ ელემენტებს უქვემდებარებს კანონის ძალას და არ უშვებს, რომ სამართლიანობის მომიზეზებით, ხშირად თვითნებურად, მოსამართლემ გადაუხვიოს დადგენილ წესებს და გაინთავისუფლოს თავი კანონმდებლის ნების აღსრულებისაგან. სასამართლოებისათვის კანონის დარღვევის და მათი შესრულების თავიდან აცილების დაშვება იგივეა, რაც საკანონმდებლო ხელისუფლების განადგურება. ამ მნიშვნელობით, საკასაციო სასამართლო კანონმდებლის აუცილებელი საყრდენია. თუკი კანონის ზუსტი შესრულება სახელმწიფოში წესრიგის დამყარებისა და შენარჩუნების გარდაუვალი პირობაა, მაშინ საკასაციო სასამართლოში არ შეიძლება არ ვნახოთ დაწესებულება, რომელიც სიმყარეს მატებს სახელმწიფო ხელისუფლებას და ამტკიცებს სახელმწიფოს ურყევობას"<sup>3</sup>.

ნაპოლეონ I-ის ამ სიტყვების წარმოთქმიდან თითქმის 200 წელი გავიდა, მაგრამ მისი გენიალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ამით ზუსტად და ამომწურავად იქნა განსაზღვრული ის უმთავრესი პრინციპები, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს სასამართლო სისტემის საკასაციო ინსტანცია. მეტ-ნაკლებად, სწორედ ეს პრინციპები განსაზღვრავენ მრავალი ქვეყნის საკასაციო ინსტანციის სასამართლოთა მოწყობის წესსა და ფუნქციებს.

თითქმის იგივე აზრია ჩადებული გერმანიის სუპერ-ინტენდანტის პანკის მიერ გერმანიის საიმპერიო სასამართლოს ახალი შენობის საძირკვლის ჩაყრისას წარმოთქმულ ლაკონურ ფრაზაში: "ერთიანი სახელმწიფო, ერთიანი სამართალი, ერთიანი სასამართლო". ეს სიტყვები ერთგვარ დევიზს წარმოადგენს ნებისმიერი წყობის სახელმწიფოსათვის. არაერთგვაროვნება

<sup>3</sup> Л.Жюлио дела Морандьер - Гражданское право Франции, М. Инстр. л-ра, т.2. С.18.



სასამართლო პრაქტიკაში არღვევს წესრიგის ერთიანობას, ასუსტებს სასამართლოს ძალას და ხელყოფს კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის პრინციპს. ამიტომაც, აუცილებელია ყველა სასამართლოს საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება, მათ მიერ კანონების ერთგვაროვანი განმარტებისა და გამოყენების მიზნით.

მართალია, ჭეშმარიტებას ღალადებენ ნაპოლეონისა და სუპერ-ინტენდანტ პანკის სიტყვები, მაგრამ მათი არსი სულ სხვაგვარად და გაუკუღმართებულად იქნა გაგებული საბჭოთა ხელისუფლების დამამყარებელთა და ცხოვრებაში გამტარებელთა მხრიდან. ამან მეტად მძიმე შედეგები მოიტანა, რასაც დღეს იმკის მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირი და მათ შორის საქართველო. კერძოდ, სამოცდაათწლიანმა საბჭოურმა აზროვნებამ ისეთი თაობები წარმოშვა, რომელთაც საერთოდ არა აქვთ (ან თუ აქვთ - ძალზე დაბალი) სამართლებრივი აზროვნების უნარი, ჩვევა და სურვილიც კი. დღეს, თავისუფალი საქართველოს კანონმდებლები და მათი ცხოვრებაში გამტარებლები ურთულესი პრობლემის წინაშე დგანან: მოსახლეობა ძნელად ეგუება მათთვის ახალი, მსოფლიოში აპრობირებული და გამართლებული კანონების შემოღებას. ხალხი, რომელიც შეჩვეულია სახელმწიფოს მხრიდან მათზე ზრუნვას, ძნელად ეგუება იმას, რომ თავად წარმართოს თავისი ცხოვრება, თვითონ განსაზღვროს დავის საგანი და მისი მოცულობა სასამართლოში, დაიცვას თავისი სიმართლე, ერთი სიტყვით - დაიცვას თავისი თავი და ქონება სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც მოქმედებდა ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე, ითვალისწინებდა სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების მხოლოდ საკასაციო წესს. ამასთან, მაშინდელი კასაცია არსებითად განსხვავდებოდა მსოფლიოში მიღებული და საქართველოში ეხლა შემოსული კასაციისაგან. კერძოდ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო საჩივრის გარდა, რომელიც მხარის ინიციატივით შედიოდა სასამართლოში, საქმის საკასაციო წარმოება შეიძლებოდა დაწყებულიყო პროკურორების და მათი მოადგილეების პროტესტების საფუძველზე, მათი იერარქიული კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან, საკასაციო ინსტანციას, სხვადასხვა საქმისათვის - სხვადასხვა სასამართლო წარმოადგენდა: საკასაციო საჩივრის ან პროტესტის დაქვემდებარებულობის მიხედვით, მათი საკასაციო წესით განხილვა შეეძლო

ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, თბილისის საქალაქო ავტონომიური  
 საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოებს, მაშინ, როცა დღეს საკასაციო  
 ინსტანციის უფლებამოსილებით მოქმედებს მხოლოდ საქართველოს უზენაესი  
 სასამართლო.

საბჭოთა პერიოდის საკასაციო წარმოება სამოქალაქო საქმეებში იმითაც  
 გამოირჩეოდა, რომ მასში გათვალისწინებული იყო აპელაციისათვის  
 დამახასიათებელი ნიშნებიც. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს შეეძლო:

ა. უცვლელად დაეტოვებინა გადაწყვეტილება, ხოლო საჩივარი ან  
 პროტესტი - დაუკმაყოფილებლად;

ბ. გაეუქმებინა გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და უკან  
 დაებრუნებინა საქმე ხელახალი განხილვისათვის;

გ. გაეუქმებინა გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და  
 განუხილველად დაეტოვებინა განცხადება ან შეეწყვიტა საქმის წარმოება;

დ. თვითონვე შეეცვალა გადაწყვეტილება ან გამოეტანა ახალი  
 გადაწყვეტილება საქმის არსებითად განხილვის შემდეგ.

ამდენად, როგორც ჩანს, საკასაციო ინსტანციას შეეძლო  
 განეხორციელებინა თავისი ფუნქციები სასამართლო გადაწყვეტილებათა არა  
 მხოლოდ იურიდიული მხარის შემოწმებით, სააპელაციო კომპეტენციითაც -  
 განეხილა საქმეთა ფაქტობრივი მხარეც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ  
 საკასაციო ინსტანცია, საჩივრის თავის წარმოებაში მიღებისას და საქმის  
 განხილვისას არ იფარგლებოდა მხარეთა მოთხოვნებით, არამედ, საქმეს  
 განიხილავდა სრული მოცულობით და შეეძლო ახალი, მხარეთათვის  
 არახელსაყრელი გადაწყვეტილებების გამოტანა.

საზოგადოდ, ცივილიზებული ქვეყნების მრავალსაუკუნოვანმა  
 გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სასამართლო იერარქიის უმაღლეს  
 საფეხურზე საჭიროა გადასინჯვის განსხვავებული ტიპი - შეზღუდული  
 მხოლოდ სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებული საჩივრებით. იქ,  
 სადაც ფაქტობრივი სარჩელები ერთგვაროვანია, არ არსებობს საჩივრები  
 სამართლის საკითხებზე. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ერთგვაროვანი ფაქტების  
 გამო აღძრული სარჩელების განხილვა და ასეთი დავების გადაწყვეტის  
 პრაქტიკა უზრუნველყოფს მათ მიმართ სამართლის ნორმების, იქნება ეს  
 მატერიალური თუ პროცესუალური, ერთგვაროვან გამოყენებას; ამიტომ,  
 ასეთი დავების განხილვის ბოლო ინსტანციას, უმრავლეს შემთხვევაში,  
 წარმოადგენენ სააპელაციო სასამართლოები და მათი შემდგომი გასაჩივრება





ზემდგომ ინსტანციაში, ე.ი. საკასაციო წესით - სამართლებრივ მოკლებულია. ამიტომაც, ერთგვაროვანი დავების განხილვისას და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას, სრულიად საკმარისია მეორე ინსტანციის დონეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. რაც შეეხება სამართლებრივ ნორმებს - ესენი ზოგადი გამოყენების პრინციპებია, რომლებიც არ იცვლებიან საქმიდან საქმისკენ, არამედ, ყველა საქმისადმი თანაბრად გამოსადეგია. სამართლის ერთი ნორმით შეიძლება დარეგულირდეს ასობით ფაქტობრივი ურთიერთობა. ამიტომაც, საჩივრები სამართლებრივ პრობლემებზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ფაქტობრივი გარემოებების გამო. ეს ფაქტორი შესაძლებელს ხდის, რომ სამართლებრივი პრობლემების შემცველი გადაწყვეტილებების გამო აღძრული საჩივრების განხილვა მოხდეს ერთ, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში.

ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემას აგებს ორ ძირითად საფუძველზე:

1. საქმის არსებითად განხილვა ხორციელდება ორ და მხოლოდ ორ სასამართლო ინსტანციაში;

2. მესამე ინსტანცია ამოწმებს გადაწყვეტილებათა მხოლოდ იურიდიულ მხარეს და განმარტავს კანონების ნამდვილ არსს.

ასეთი სისტემა დამკვიდრდა საფრანგეთში დიდი რევოლუციის ეპოქაში, მოგვიანებით კი გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვა განსხვავებები ახლავს თან.

ყველაზე არსებითი მათ შორის არის ის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უზენაესი სასამართლო შემოიფარგლება არასწორი სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმებით და მათი მეორე ინსტანციაში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებით. მეორე განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ თუკი საქმის ფაქტობრივი გარემოებები ეჭვებს არ ბადებს, უზენაესი სასამართლო ზოგიერთ ქვეყანაში, თვითონ იღებს ახალ გადაწყვეტილებას. ამ ორი სისტემიდან პირველი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების საკასაციო სისტემას, ხოლო მეორე - სარევიზიოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მესამე ინსტანციის დანიშნულებაა სააპელაციო გადაწყვეტილებების იურიდიული მხარის შემოწმება. აქ არ განიხილება საქმე არსებითად, არამედ მოწმდება სასამართლოების მიერ მატერიალური და

პროცესუალური სამართლის ნორმების სწორად განმარტება და გამოყენება ამ სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება.

ასეთი შემოწმება აუცილებელია მოდავე მხარეების დასაცავად სააპელაციო სასამართლოების მცდარი გადაწყვეტილებებისაგან. ვინაიდან, მხოლოდ აპელაცია ვერ იქნება გარანტი იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოებში ადგილი არ ექნება კანონებისა და საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევებს, რომელთა გამო სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ იქნას უკანონოდ. აგრეთვე, კანონების ზუსტად განმარტებასა და გამოყენებაზე ზედამხედველობა აუცილებელია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

ამგვარად, მესამე ინსტანციის დანიშნულებისა და მნიშვნელობისაგან გამომდინარეობს, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

1. საკასაციო ინსტანციის სასამართლო უნდა იყოს ერთიანი. საკასაციო ფუნქციების რამდენიმე სასამართლოზე გადანაწილება, როგორც ეს ყოფილ საბჭოთა კავშირში იყო, ვერ უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებას. ეს ისტორიული გამოცდილებითაც დამტკიცდა, მაგ., როცა იტალიის 5 რეგიონალური უმაღლესი სასამართლო გაერთიანდა Corte di Cassazione-ში და განთავსდა რომში;

2. იმდენად, რამდენადაც საკასაციო ინსტანცია მოწოდებულია უხელმძღვანელოს მთელ სახელმწიფოში ერთიან სასამართლო პრაქტიკას კანონების ჭეშმარიტი არსის განმარტების გზით, - იგი დაკომპლექტებული უნდა იყოს გამოჩენილი იურისტებით, რომლებსაც ნამდვილად შესწევთ უნარი - მოახდინონ სამართლის ნორმათა მეცნიერული ინტერპრეტაცია და მოიპოვენ ავტორიტეტი მოსახლეობაში. ამ მიზნით, მრავალი მეცნიერი იდეალურად მიიჩნევს საკასაციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის კოლპტაციის წესს, როცა ვაკანსიებს იკავებენ არა მარტო მეორე ინსტანციის მოსამართლეები, არამედ ის მეცნიერ-იურისტებიც, რომლებიც წამოაყენებენ თავიანთ კანდიდატურებს ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. თუმცა, მრავალი ქვეყანა არ მიდის ამ გზით, განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ქვეყნებს, რომლებშიც მოსამართლეების თანამდებობებზე სამუდამოდ დანიშნის პრაქტიკაა მიღებული.

აშშ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ვაკანსიების შევსების პროცედურა ყველაზე ცხადად წარმოგვიდგენს ამ განსხვავებას. აშშ უზენაეს

სასამართლოში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის კამპანია მეტად გავრცელებული მოვლენაა, რომელსაც თან ახლავს ვენებათა აღსაყვამის პრეტენდენტთა შორის. თუმცა, ფართო საზოგადოებისათვის ეს შეუძნელებელი რჩება. ამ კამპანიაში დიდ როლს თამაშობს მეგობრული კავშირები ადმინისტრაციის წევრებთან და აგრეთვე, - გავლენიან პირთა პროტექცია.

უზენაესი სასამართლოს წევრის კანდიდატურის დასახელებისას, ქვეყნის პრეზიდენტი უფრო საზოგადოების დაჟინებული ყურადღებითაა შებორკილი და ამიტომაც მისთვის მნიშვნელოვანია სენატის რჩევა და თანხმობა საკუთარი არჩევანის გაკეთებისას. აშშ პრეზიდენტების მიერ, ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე დასახელებული 145 კანდიდატიდან მხოლოდ 28 პრეტენდენტმა ვერ მიიღო სენატის ლოცვა-კურთხევა. როგორც აღვნიშნეთ, თვით ამერიკელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ეს, ნაწილობრივ მაინც, პარტიული პოლიტიკის შედეგია. მოსამართლეთა შერჩევის ერთ-ერთ ვარიანტად მიღებულია, აგრეთვე, ფედერალური და შტატების სასამართლოების მოსამართლეთა დაწინაურება, რომლის საფუძველს, შეიძლება, წარმოადგენდეს აზრი, რომ თუ მოსამართლემ ადრე კარგად იმუშავა და გამოცდილება შეიძინა, ის უზენაეს სასამართლოშიც გაართმევს თავს მოსამართლის ფუნქციების შესრულებას. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 1950 წლიდან, უზენაეს სასამართლოში დასახელებული 22 მოსამართლიდან 12 სწორედ ამ მეთოდით იყო შერჩეული. თუმცა, არ უნდა გამოირიცხოს პრეზიდენტის სუბიექტური ფაქტორიც - პრეზიდენტმა მოსამართლის თანამდებობაზე სასურველია (რა თქმა უნდა თვით პრეზიდენტისთვის) დანიშნოს ისეთი კანდიდატი, რომელიც იზიარებს დამნიშნავის შეხედულებებს.

მოსამართლეთა კანდიდატურების დასახელება ერთია, ხოლო სენატის მიერ მათი დამტკიცება - მეორე და უფრო რთული პროცესი. 1925 წლიდან აშშ-ში დამკვიდრდა უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატების მიერ ჩვენების მიცემა და თავიანთი პოზიციების წარმოჩენა სენატში. პრეტენდენტებს უხდებათ სენატორთა მძაფრი შეკითხვების მოსმენა და მათზე პასუხის გაცემა, რაც მეტად რთულ პროცესს წარმოადგენს. სენატი ყოველმხრივ ცდილობს აშშ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ღირსეულთა შორის ღირსეული მოხვედეს. ეს ბუნებრივია - უზენაესი სასამართლო სახელმწიფოს ავტორიტეტის მატარებელია მოსახლეობაში. ასე მაგალითად, პრეზიდენტ რ. რეიგანის მიერ



დასახელებული, კონსერვატორული შეხედულებების მქონე 41 ახალგაზრდა კანდიდატი, ფედერალური სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დუგლას გინსბარგი სენატმა არ დაამტკიცა, რადგან მან ვერ უარყო ბრალდება, რომ სტუდენტობის დროს და ჰარვარდის სამართლის სკოლაში პროფესორის თანამდებობაზე ყოფნისას იგი მარიხუანას ეწეოდა. გინსბარგმა თვითონ თქვა უარი დასახელებაზე<sup>2</sup>.

ამგვარად, ყოველი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ბოლო ინსტანციის სასამართლოს ღირსეული კანდიდატებით დაკომპლექტება, იმისათვის რომ "თევზი თავიდან არ დაღპეს".

3. მესამე ინსტანციაში უნდა მოხდეს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა პროცესუალური ქმედებების კანონზომიერებების, აგრეთვე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება მომჩივანთა საჩივრების ფარგლებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ ფარგლებიდან გამოსვლაც. ეს განპირობებულია, რასაკვირველია, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ამოცანებით, თუკი მესამე ინსტანცია შემოღებულია სასამართლოების მიერ კანონების ერთგვაროვანი და ზუსტი განმარტება-გამოყენების მიზნით, მაშინ ამ ინსტანციის სასამართლომ არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ ამ მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებები მარტო იმის გამო, რომ მხარეებმა ვერ შეამჩნიეს ისეთი არსებითი დარღვევები, რომლებმაც აშკარად განპირობეს მცდარი გადაწყვეტილების მიღება. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ მრავალ ქვეყანაში არ არის მკაცრად დაკანონებული საჩივრის შინაარსი. მაგ., საფრანგეთში, ზოგადი წესის მიხედვით, საჩივარში მითითებული უნდა იყოს მისი კონკრეტული არსი, მაგრამ პრაქტიკულად, ისინი შეცდომის ისეთ ზოგად დახასიათებას შეიცავენ, როგორიცაა, რომ "ქვემოთ მიღებული გადაწყვეტილება პროცესუალურად დეფექტურია და არსებითად არასწორი", რაც იწვევს მის გასაჩივრებას. გ.ფ.რ.-ში გადასინჯვის ჩარჩოებში შეზღუდულია საჩივარში მითითებული შენიშვნები, მაგრამ ჩვეულებრივ, საჩივრის სპეციფიკური მიზეზები ცალკე დოკუმენტად მხოლოდ მოვკიანებით ყალიბდება. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, მხარეების მიერ საჩივარში მითითებული პრეტენზიები სრულებითაც არ განსაზღვრავდნენ საკასაციო ინსტანციის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის ფარგლებს.

<sup>2</sup> Уильям Бериам - დასახელებული ნაშრომი. გვ.84



გარდა ზემოთაღნიშნულისა, საფრანგეთის კანონმდებლობაში იყო კასაციის განსაკუთრებული სახეობა - "კანონის ინტერესებში" (dans l'interet de loi). იმ შემთხვევებში, როცა მოდავეები არ შეიტანდნენ საკასაციო საჩივარს, თუმცა გადაწყვეტილება ქვემდგომი სასამართლოს მიერ კანონის აშკარა დარღვევით იყო მიღებული, საკასაციო სასამართლოს გენერალურ პროკურორს გააჩნდა სასამართლოსადმი პროტესტით მიმართვის უფლება.

4. თუკი მეორე ინსტანციაში საქმის ფაქტობრივი მხარე დადგენილია სწორად და იგი არ წარმოადგენს მოდავეთა საჩივრის საგანს, და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზეზს მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორი გაგება წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს საქმის მესამე ინსტანციაში საბოლოო გადაწყვეტა, მისი არსებითად განხილვისათვის მეორე ინსტანციაში დაბრუნების გარეშე - კანონის ნამდვილი არსის დადგენის გზით.

5. თუ მეორე ინსტანციაში მოხდა რაიმე პროცესუალური დარღვევა საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას, ისე, რომ საჭიროა მათი ხელახალი გამოკვლევა, მაშინ მესამე ინსტანციამ, რომლის ფუნქციებშიც არ შედის საქმეთა არსებითი განხილვა, უნდა გააუქმოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახალი განხილვისათვის მეორე ინსტანციაში. აქ შეიძლება რამდენიმე ვარიანტის დაშვება: 1. საქმე შეიძლება დაბრუნდეს იგივე სასამართლოში, რომელმაც გამოიჭანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება; 2. საქმე შეიძლება გადაიგზავნოს სხვა სააპელაციო სასამართლოში. პირველი ვარიანტის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში მცდარი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს საშუალება ეძლევა თვითონვე გამოასწოროს საკუთარი შეცდომა და გაითვალისწინოს იგი სხვა შემთხვევებში. მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ სააპელაციო სასამართლომ შეგნებულად იმოქმედა დაუდევრად საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესში, რაც შეიძლება მოხდა სასამართლოს მიკერძოებულობის ან სხვა მიზეზით. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია საქმის ფაქტობრივი გარემოებების ხელახალი გამოკვლევა დაევალოს სხვა სააპელაციო სასამართლოს, რომელიც არ იქნება დაინტერესებული საქმის მიკერძოებულად წარმართვით. სხვანაირად, რომ ვთქვათ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას პროცესუალური დარღვევის მიზეზში საკასაციო

სასამართლოს თუ გაუჩნდება არაობიექტურობის ეჭვი სააპელაციო სასამართლოს მიმართ, მაშინ უპრიანია ზემოთაღნიშნული ორი ვარიანტიდან მეორეს გამოყენება.

6. მესამე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იყოს იმ საქმის მიმართ, რომელსაც იგი ეხება. ეს თავისთავად ცხადია იმ შემთხვევებში, როცა საკასაციო სასამართლო საქმეს უკან არ აბრუნებს და თვითონ იღებს მასზე გადაწყვეტილებას. მაგრამ ასეთივე სავალდებულო უნდა იყოს მისი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაშიც, როცა საკასაციო ინსტანციის სასამართლო აუქმებს II ინსტანციის სასამართლოში გამოტანილ გადაწყვეტილებას და უკან აბრუნებს მას ხელახალი განხილვისათვის, კანონის განმარტების დართვით. სასამართლო, რომელსაც გადაეცემა საქმე ხელახალი განხილვისათვის, უნდა დაემორჩილოს მესამე ინსტანციის მიერ კანონის განმარტებას, იმდენად, რამდენადაც ეს განმარტება მოდის ზემდგომი სასამართლოდან, რომლის საგანგებო დანიშნულებასაც კანონთა ინტერპრეტაცია წარმოადგენს.

ეს დებულება კამათგარეშეა. მაგრამ, იგი უარყოფილი იყო საკასაციო სასამართლოს საშობლოში - საფრანგეთში. მიუხედავად იმისა, რომ Cour de Cassation წარმოადგენს მრავალი თანამედროვე უზენაესი სასამართლოს პროტოტიპს, თავდაპირველად იგი სულ სხვა ფუნქციების შესასრულებლად შეიქმნა - იგი წარმოადგენდა საკანონმდებლო ხელისუფლების და არა სასამართლო სისტემის ნაწილს. Cour de Cassation-ის ფუნქციებს სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვა კი არ შეადგენა, არამედ - სასამართლოების მიერ კანონების ზუსტი შესრულების შემოწმება. ამ სასამართლოს არ შეეძლო ფაქტობრივი სადავო საკითხების განხილვა, არც რომელიმე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. მას შეეძლო "დაემსხვრია" კანონის არასწორ განმარტებაზე აგებული გადაწყვეტილება, მაგრამ არ შეეძლო სწორი გადაწყვეტილების თავად მიღება. საქმე უნდა დაბრუნებულიყო უკან, ზოლო თუკი ქვემდგომი სასამართლო ვიუტად დადგებოდა მის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მაშინ საქმე გადაეცემოდა უშუალოდ საკანონმდებლო ხელისუფლებას.

ისტორიის მანძილზე Cour de Cassation-ის ხასიათი რადიკალურად შეიცვალა. ამჟამად იგი სასამართლო ხელისუფლების ნაწილია და მისი



გადაწყვეტილებები სავალდებულოა ქვემდგომი სასამართლოებისთვის და იურისტებისათვის მთლიანად.

7. მესამე ინსტანციის სასამართლოს მიერ რაიმე საქმის გამო კანონის არსის განმარტება არ არის სავალდებულო ძალის მქონე სასამართლოების მიერ სხვა საქმეების განხილვისას. ისინი, ამ შემთხვევებში, წარმოადგენენ ნიმუშს, მაგალითებს და ამ მიზეზით, სასურველია მათი გამოქვეყნება.

8. უზენაესი სასამართლოს, როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლოს არსებობა არ გამორიცხავს იმ გარემოებებს, რომ კანონი აქაც შეიძლება არასწორად იქნას განმარტებული, რაც ხელისშემშლელ გარემოებად იქცევა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების პროცესისათვის. ადგილი რომ არ ჰქონდეს ზემოთაღნიშნულ არახელსაყრელ სიტუაციას, საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება. ეს ღონისძიებები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა. შესაძლებელია უმაღლეს სასამართლო ინსტანციას აეკრძალოს კანონების საკუთარი განმარტების შეცვლა. მაგრამ, ამან ერთის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ამ სასამართლოს მიერ სიჯიუტე იმ საკითხებში, რომლებიც თვითონვე მიაჩნია არასწორად განმარტებულად, ხოლო მეორეს მხრივ, შეიძლება მისი ავტორიტეტი ქვემდგომი სასამართლოების წინაშე და ეს უკანასკნელნი აღარ ჩათვლიან, საბოლოო ჯამში, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას სავალდებულოდ. ამდენად, ეს მეთოდი გამოუსადეგარია საერთოდ;

ბ. ქვეყნის უმაღლეს სასამართლო პალატას, თუკი იგი ჩათვლის საჭიროდ კანონის მისმიერი განმარტების შეცვლას - არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება. მან საამისოდ უნდა მიმართოს უფრო მაღალი სასამართლო ინსტანციას, რომელიც მასზე უფრო ავტორიტეტული იქნება. უმაღლესი სასამართლოს შესაბამისი განყოფილებისათვის (პალატისათვის) ასეთ ინსტანციად შეიძლება ჩათვალოს ყველა განყოფილების (პალატის) საერთო კრება.

საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულ სასამართლო იერარქიაში ყოველისშემძლე ორგანოდ მიღებულია უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელიც სხვა ფუნქციების გარდა, ზემოთაღნიშნულ ფუნქციასაც ასრულებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმი წარმოადგენდა სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს საბჭოთა პერიოდის საქართველოშიც, მაგრამ სხვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მაშინდელ და დღევანდელ უფლებამოსილებებს შორის აშკარაა და რადიკალური;

გ. და ბოლოს, მრავალი მეცნიერის აზრით, მიზანშეწონილია საკანონმდებლო წესით, პერიოდულად გადაისინჯოს და შეიცვალოს ის სასამართლებრივი ნორმები, რომლებიც იწვევენ უთანხმოებებს მათი პრაქტიკული გამოყენების პროცესში, რათა დაძლეულ იქნას გაურკვევლობები და ხარვეზები საკანონმდებლო აქტებში<sup>3</sup>.

ამრიგად, ისტორიულმა განვითარებამ დაამტკიცა, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო უნდა იყოს ერთიანი და დაკომპლექტებული გამოჩენილი იურისტებით; მან უნდა განიხილოს საჩივრები სააპელაციო სასამართლოების მიერ მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების დარღვევით მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება ან დააბრუნოს საქმე ხელახალი განხილვისათვის ქვედა ინსტანციაში. ორივე შემთხვევაში - საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და სავალდებულო ძალის მქონე ქვემდგომი სასამართლოებისათვის. ძირითადად, ამ ზოგად პრინციპებზეა აგებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საკასაციო ინსტანცია - ანუ უმაღლესი სასამართლოები. თუმცა, მრავალ ქვეყანაში სხვადასხვაგვარად სრულდება აშშ უზენაესი სასამართლოს ფასადებზე გაკეთებული წარწერები, რომლებიც ერთგვარი დევიზი უნდა იყოს მართლმსაჯულებისათვის: Equal Justice Under Law - თანაბარი მართლმსაჯულება კანონის შესაბამისად და Justice the Guardian of Liberty - მართლმსაჯულება - თავისუფლების მცველი. ეს დევიზები ასახავენ უზენაესი სასამართლოს მიმე მისიას -

<sup>3</sup> John Thibaut and Laurens Walker, *Procedural Justice A Psychological Analysis* 77-80, 94-96.

Marvin Frankel, *Partrisan Justice* /Hill & Wang 1990/.

Russell J. Weintraub, *Commentary on Conflict of Laws* /Foundation Press 1986, 1991/.

Leah Brilmayer, *Conflict of Laws: Foundations and Future Directions* /Little Brown 1991/.

William M. Richmen & Willian L. Regnolds, *Understanding Conflict of Laws* /Mathew Bender 1993/.

Robert A. Sedler, *Across State Lines: Applying the Conflict of Laws in Your Practice* 42-43 /ABA Section of General Practice 1996/

მიღწიოს სამართლიან წონასწორობას სამ ფასეულობას - თავისუფლებას, წესრიგსა და თანასწორობას შორის.



## § 1. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები

საკასაციო სასამართლოს მიზანი, როგორც აღვნიშნეთ - ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე კანონმდებლობის როგორც მატერიალურის, ასევე პროცესუალურის - ერთგვაროვანი აღქმა და დანერგვაა.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებისა და სასამართლოებისათვის ზუსტად იქნეს განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები.

ამ თვალსაზრისით ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რომელი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ან განჩინების გასაჩივრების უფლება აქვს მხარეებს ან III პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სსსკ 391 მუხლის I ნაწილი და 419 მუხლი, რომელთა მიხედვითაც საკასაციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს:

- სააპელაციო სასამართლოსა და
- საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებები.

საკასაციო წესით გასაჩივრდება:

- სააპელაციო სასამართლოს განჩინებები, რომლებიც ეხება რაიონული (საკალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებათა გაუქმებასა თუ უცვლელად დატოვებას;

ქვეყნის უზენაეს სასამართლოში (საკასაციო სასამართლოში) კერძო საჩივრის წესით გასაჩივრდება:

- სააპელაციო სასამართლოს;
- ავტონომიური რესპუბლიკისა და საოლქო სასამართლოს კოლეგიის ყველა ის განჩინებები, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა - ერთადერთი მოტივაციით - კერძო საჩივარი უნდა ეფუძნებოდეს კანონის დარღვევას.

საკასაციო საჩივრის შეტანის დროს სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს:

- თუ რამდენად უფლებამოსილი პირის მიერ არის შეტანილი საკასაციო საჩივარი,



- დაცულია თუ არა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა, რამდენადაც საქართველოს სსკ 397 მუხლის თანახმად "საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე" და ამ ვადის აღდგენა დაუშვებელია და იგი მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან ითვლება. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

- აღმატება თუ არა საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარს.

საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

ღირებულების დადასტურების ტვირთი საკასაციო საჩივრის შემტან პირს აწევს.

რაც შეეხება დაუსწრებელ გადაწყვეტილებებს, თანახმად საქართველოს სსკ 392 მუხლისა, საკასაციო საჩივარი დასაშვებია ისეთ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, რომელიც განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ არის გამოტანილი და რომლის გამოც აღარ შეიძლება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში მისი გასაჩივრება.

ამ შემთხვევაში საკასაციო წესით ასეთი გადაწყვეტილება გასაჩივრდება მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა ამ გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი წინამძღვრები.

ამავე მუხლის I ნაწილის თანახმად საკასაციო წესით დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაც იგი არის გამოტანილი.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს საკასაციო საჩივრის შინაარსს, რომელიც თანახმად საქართველოს სსკ 396 მუხლისა უნდა შეიცავდეს:

- კონკრეტული სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი;
- კასატორის დასახელებასა და მისამართს;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე;



• მითითებას იმის შესახებ, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილი გასაჩივრებული;

• გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზს) ანუ მითითებას თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება;

• კასაციის განაცხადს ანუ განმარტებას, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას;

• მითითებას იმ მტკიცებულებებსა და ფაქტებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება;

• საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხასა და

• კასატორის ხელმოწერას.

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარს წარადგენს წარმომადგენელი, მასზე აუცილებელია ჰქონდეს მინდობილობა იმის შესახებ, რომ იგი უფლებამოსილია საკასაციო საჩივრის შეტანაზე. აუცილებელია ასევე, საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი იქნეს წერილობითი ფორმით.

მაშინ, როდესაც საკასაციო საჩივარი არ პასუხობს საქართველოს სსკ 396 მუხლის I და II ნაწილის მოთხოვნებს ან გადახდილი არ არის სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო საჩივრის შემტან პირს დაავალებს შეავსოს ხარვეზი მის მიერ დანიშნულ ვადაში. ამ ვადის დარღვევისას, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, თანახმად საქართველოს სსკ 64 მუხლისა სასამართლომ, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეიძლება გააგრძელოს მის მიერ დანიშნული ვადა.

საოლქო სასამართლო მას შემდეგ, რაც შემოვა მასთან საკასაციო საჩივარი, დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საკასაციო საჩივარს საქმესთან ერთად საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობების გათვალისწინებით, თანახმად საქართველოს სსკ 401 მუხლისა სასამართლო მიიღებს ორი სახის განჩინებას.

• საკასაციო საჩივრის განსახილველად მიიღებს ან

• საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე თეორიული ხასიათის მსჯელობა ჩვენ შემდგომ პარაგრაფში გვექნება, რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას ამ მხრივ ფრიად საინჟინროსა

საქმე 2/216

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

სარჩელი ეხება სამსახურში აღდგენას

აღნიშნულ საქმეზე მოპასუხე საკასაციო საჩივარს წერს 2000 წლის 19 მაისს და საქმე საკასაციო საჩივართა ერთად გადაიგზავნა 24 მაისს.

III ინსტანციაში სასამართლო სხდომა გაიმართა 07 ივლისს (ს.ფ. 137-140) და საქმე განჩინებით დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. მიუხედავად პოზიტივიზმისა, სასამართლოს საქართველოს სსკ 401 მუხლის უგულებელყოფით არ გამოუტანია ან საქმეში არ ჩანს განჩინება

- საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების ან
- საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

ამავე საქმეში მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ შემოიტანა საკასაციო საჩივარი.

აღნიშნულ საქმეზე ვადების სრული დაცვით უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატამ გამოიტანა განჩინება საკასაციო საჩივრის უმოძრაოდ დატოვების შესახებ.

2001 წლის 19 თებერვლის განჩინებით სასამართლოს იმავე კოლეგიაში საქმე მიიღო განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილება ამ საქმეზე მიღებულ იქნა 25 მაისს.

კონკრეტული საქმის ანალიზისას არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას დასჭირდა პერიოდი 1999 წლის 31 აგვისტოდან 2001 წლის 25 მაისამდე.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებოა

საქმე 2<sup>ბ</sup>-30

მოსარჩელე: x

მოპასუხე: y

სარჩელი ეხება დაკისრებული თანხისა და მიყენებული ზიანის გადახდევინებას 50416 ლარის ოდენობით

ამ საქმეზე III ინსტანციის სასამართლომ ვადების დაცვითა და პოზიციური კუთხით გამოიტანა განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რამდენადაც კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟი არ ყოფილა გადახდილი.



ამგვარად, აღნიშნული საქმის ანალიზიდან დასკვნა ეროვნული არჩევნების ინსტანციის სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს საკასაციო საჩივრის პირობების ზუსტ და განუხრელ დაცვას.

## § 2. საქმის განხილვის წესი საკასაციო სასამართლოში

სასამართლოში საქმეთა საკასაციო წესით განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დამახასიათებელია სააპელაციო წარმოებისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ საკასაციო წარმოებისათვის და რომელთა შესახებ საუბარი მოგვიანებით გვექნება.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ თუ მხარე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ უარს განაცხადებს წერილობითი ფორმით საქმის საკასაციო გასაჩივრებაზე, აღარ დაიშვება ამ მხარის საკასაციო საჩივარი. იმ შემთხვევაში, თუ მხარემ უარი განაცხადა საკასაციო გასაჩივრებაზე, მაგრამ მისმა მოწინააღმდეგე მხარემ ასეთი საჩივარი მაინც შეიტანა, საკასაციო გასაჩივრებაზე უარის მთქმელ მხარეს უფლება არ ერთმევა, რომ სადაო საკითხზე შემოიტანოს შეგებებული საკასაციო საჩივარი თანახმად საქართველოს სსკ 405 მუხლისა.

საკასაციო სასამართლოს პირველი საპროცესო მოქმედება, რომელიც მან უნდა შეასრულოს არის ის, რომ საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში შეამოწმოს დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებია -

- სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის დასაშვებობას -

- სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ორივე ეს განჩინება საკასაციო სასამართლოს მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, რაც სრულებითაც არ ნიშნავს

იმას, რომ საკასაციო სასამართლოს ზეპირი განხილვის შემდეგ აღნიშნული სახის განჩინების მიღება.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა საქართველოს სსკ 402 მუხლი, რომელშიც ჩამოყალიბებულია საკასაციო საჩივრის მიღების შედეგების რეგლამენტაცია.

სასამართლომ, თავის განჩინებაში საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, უნდა მიუთითოს:

- საქმის ზეპირი განხილვის დრო ანუ საკასაციო სასამართლოს სხდომის დღე;

- რომ აუცილებლად უნდა შეჩერდეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია;

- რომ უნდა შეჩერდეს გადაწყვეტილებების აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, თუ გასაჩივრებულია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.

ამგვარად, განჩინება აღნიშნულის შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიებით.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის წესის დაცვის თვალსაზრისით, ისევე როგორც ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს

- კანონის "საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" დაცვაზე.

რამდენადაც, არცთუ იშვიათია, მათ შორის III ინსტანციის სასამართლოებშიც კი, შემთხვევები, როდესაც ისე იცვლება საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა, რომ ამის შესახებ საქმეში ოფიციალური მითითება არსად ჩანს.

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება

საქმე 2/1280

მოსარჩელე: X

მოპასუხე: Y

სარჩელი ეხება სამუშაოზე აღდგენასა და განაცდურის აღდგენას.

კონკრეტული საქმე ჩვენს მიერ წინა თავებში გაანალიზებული იქნა. რაც შეეხება III ინსტანციაში ამ საქმის განხილვას აქ სამჯერ შეიცვალა (2001 წლის 2 მარტს, 20 აპრილსა და 18 მაისს) საქმის განმხილველი

სასამართლოს შემადგენლობა, ისე რომ ოფიციალური მითითება აღნიშნული შესახებ საქმეში არ მოიპოვება.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით რაც შეეხება სხვა საკითხებს, ისინი კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტი შესაბამისობითაა გადაწყვეტილი.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის წესი პირველყოვლისა გამოძინარეობს საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებითა და მიზნებით. კერძოდ იმით, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ და მხოლოდ საქმის არა ფაქტობრივ, არამედ იურიდიულ გარემოებებს, იმას, თუ როგორია მატერიალური და პროცესუალური ნორმების გამოყენების სამართლებრივი არსი ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

საკასაციო სასამართლომ, მიუხედავად ამ თავისებურებისა, თანახმად საქართველოს სსკ 400 მუხლისა -

- საკასაციო საჩივრისა და თანადროული მასალების ასლები უნდა გადაუგზავნოს მოწინააღმდეგე მხარეს.

ამასთანავე საკასაციო სასამართლოს შესაბამისი პალატის თავმჯდომარეს შეუძლია -

- მოწინააღმდეგე მხარეს საკასაციო საჩივარზე პასუხის გასაცემად დაუნიშნოს ვადა.

აღნიშნული საკითხები მითითებული უნდა იქნეს განჩინებაში "საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ", რომლითაც თანახმად საქართველოს სსკ 403 მუხლისა განისაზღვრება -

- საქმის ზეპირი განხილვის დრო.

სასამართლოს მხარეებს ამ განჩინების შესახებ ატყობინებს თვით განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

თანახმად, საქართველოს სსკ 408 მუხლისა საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა იწყება საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელიც მოახსენებს:

- საქმის ვითარებას;
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებს;
- საკასაციო საჩივრის შინაარსს;
- მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებას საჩივრის მიმართ.
- აღნიშნულის შემდეგ საკასაციო სასამართლოში მხარეებს ეძლევათ სიტყვა თავიანთი განცხადებების გასაკეთებლად და დასასაბუთებლად.



იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს საქმის განხილვას, მას გამოაქვს გადაწყვეტილება

- საქმის ზეპირი განხილვის გარეშე.

ამგვარად მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მხარეებს აუცილებლად უნდა ეცნობოთ.

### § 3. შეგებებული საკასაციო საჩივარი

როგორც საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის წესისას აღვნიშნეთ მოწინააღმდეგე მხარეს საქმის ზეპირი განხილვის განმავლობაში შეუძლია წარადგინოს შეგებებული საჩივარი, მიუხედავად იმისა, საკასაციო საჩივრის შეტანაზე აქვს თუ არა უარი ნათქვამი.

ამასთანავე მკვეთრად უნდა აღინიშნოს:

- დავის საგნის შეცვლა;
- გადიდება;
- შეგებებული სარჩელის შეტანა და
- ხარჯების განსაზღვრა

საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია.

შეგებებული საკასაციო საჩივარი მხოლოდ იმის დასაბუთებით არ შემოიფარგლება, რომ არაა იურიდიულად გამართლებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნა.

პირიქით, შეგებებული საკასაციო საჩივარი მოითხოვს გადაწყვეტილების არა იმ ნაწილში გაუქმებას, რომელსაც კასატორი ასაჩივრებს, არამედ იმ ნაწილის გაუქმებას, რომელსაც კასატორი არ ასაჩივრებს.

შეგებებული საკასაციო საჩივარი მიმართულია არა მხოლოდ

- საკასაციო საჩივრის გაბათილებისაკენ, არამედ
- მისი იურიდიული დასაბუთებულობის დადასტურებისაკენ.

შეგებებული საკასაციო საჩივარი სასამართლოს წინაშე აყენებს ისეთი სახის მოთხოვნებს, რომლებიც გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ

- არ იყო განხილული და
- გადაწყვეტილი.

ამგვარად გვინდა აღვნიშნოთ, შეგებებული საკასაციო საჩივარი იმის დასაბუთების მცდელობაა მოწინააღმდეგე მხარის მიერ, რომ საკასაციო

საჩივარი არაა იურიდიულად მოტივირებული, ანუ იურიდიულად გაუმართლებელია კასატორის საკასაციო მოთხოვნა.

ყველაზე მთავარი არის ის, რომ შეგვებულ საკასაციო საჩივარს წაყენება ყველა ის მოთხოვნა, გარდა იმ გამონაკლისებისა, რაზედაც საუბარი უკვე გვქონდა - რაც დამახასიათებელია საკასაციო საჩივრებისათვის.

#### §4. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

საკასაციო საჩივრის საფუძველი, თანახმად საქართველოს სსკ 393 მუხლისა, დაფუძნებულია მასზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

გადაწყვეტილებაში სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ

- არ გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- გამოიყენა ის კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- კანონი არასწორად განმარტა.

გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი ამ დარღვევის შედეგად.

ყოველთვის კანონის დარღვევით მიღებულად ჩაითვლება გადაწყვეტილება, თუ:

- საქმე განიხილა სასამართლომ არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად საქმე განიხილა სასამართლომ და ამ მხარეს საქართველოს სსკ 70-78 მუხლების შესაბამისად არ მიუღია შეტყობინება. იგივე ეხება მის კანონიერ წარმომადგენელსაც.

• გადაწყვეტილება გამოტანილია არა უწყებრივად დაქვემდებარებული სასამართლოს მიერ;

• გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე;

• გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია, რამდენადაც გადაწყვეტილება იურიდიულად საკმაოდ დასაბუთებული არ არის, ან დასაბუთება არასრულია;

- გადაწყვეტილებაში ხელს აწერენ არა ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში და
- სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი არ არის საქმეში.

## § 5. საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება

საკასაციო სასამართლო ვერ გაცვილდება საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს იგი თანახმად საქართველოს სსკ 409 მუხლისა უფლებამოსილია -

- შეიცვალოს საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

ახალი სამართლებრივი კონცეფციით შექმნილი თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, განსხვავებით საბჭოთა სამართლებრივი კონცეფციით შექმნილი კოდექსისაგან არ იცნობს საუარესოდ შებრუნების სამართლებრივ ინსტიტუტს კასატორისათვის.

თანახმად საქართველოს სსკ 404 მუხლისა -

- საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში;

- საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396 მუხლის I ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

ამგვარად შეუძლებელია, რომ საკასაციო სასამართლომ შეცვალოს ან გამოიტანოს ისეთი ახალი გადაწყვეტილება, რომელიც კასატორის მიერ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიღწეულ მდგომარეობას შეცვლის.

თუმცადა, სულ სხვაგვარ სამართლებრივ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს კასატორი შეგებებული სარჩელის დროს. რამდენადაც, საკსეებით ბუნებრივია, რომ შეგებებულმა სარჩელმა შეიძლება და როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, გააუარესოს კასატორის მდგომარეობა. ამიტომაც, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის კონსტანტაცია, რომ მხარემ, რომელსაც საქმეზე შემოაქვს საკასაციო საჩივარი, ანგარიში გაუწიოს მეორე მხარის მდგომარეობასაც. იმ მიმართებით, რომ მისი მხრიდან ამგვარი ნაბიჯი ზრდის



რისკს იმისას, რომ მის მიერ არ დაიკარგოს ის პოზიტიური შედეგი, რაც უკვე მას მოგებული აქვს ქვედა ინსტანციის სასამართლოებში.

როგორც აღვნიშნეთ, საკასაციო სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თავისი ინიციატივით ამოწმებს:

- იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც საპროცესო ნორმების დარღვევას ადასტურებენ და რომლებსაც ემყარება საკასაციო საჩივარი.

- ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად, რომლის მიმართაც უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება (საქართველოს სსკ 404 მუხლის III ნაწილი).

გვინდა აღვნიშნოთ, თანახმად საქართველოს სსკ 393 მუხლის III ნაწილისა

- საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია შეამოწმოს ასევე მატერიალური სამართლის ნორმების ის დარღვევები, რომელზედაც არა მხოლოდ კასატორი უთითებს, არამედ ის დარღვევებიც, რომლებზედაც მიუხედავად იმისა, რომ კასატორი არ უთითებს, მაგრამ დარღვეულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რამდენადაც საქართველოს სსკ 393 მუხლის II ნაწილისა, სასამართლომ

- არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- არასწორად განმარტა კანონი.

ამგვარად, საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ზუსტად უნდა მიუთითოს ის კანონი, რომლის გამოც - კანონის დარღვევის ფაქტზე, მან გააუქმა ქვედა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, თანახმად საქართველოს სსკ 410 მუხლისა არ უნდა დააკმაყოფილოს საკასაციო საჩივარი, თუ

- ადგილი არა აქვს კანონის მითითებულ დარღვევას;
- საოლქო სასამართლოს კოლეგიას ან პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას კანონის დარღვევა არ უდევს საფუძველად.

საკასაციო სასამართლო მხოლოდ მხარის იმ ახსნა-განმარტების იმსჯელებს, რომელიც ასახულია

• საოლქო სასამართლოს პალატის ან კოლეგიის გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში.

თანახმად საქართველოს სსკ 407 მუხლის II ნაწილისა

• საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ არის წამოყენებული.

საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების შესწავლის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ჩვენს მიერ I თავში გაანალიზებული

საქმე 2/1285

მოსარჩელე: თ.შ.

მოპასუხე: ჰ.კ.

სარჩელი ეხება უნებართვოდ სახლის ნაწილის აღებას

აღნიშნულ საქმის განხილვისას, როგორც აღვნიშნეთ დაშვებული იქნა შემდეგი სახის შეცდომები:

• მოსარჩელემ ბინის ქირის გაზრდის საკითხი დააყენა მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოპასუხის წინასწარი თანხმობის გარეშე, რამდენადაც მოპასუხე საერთოდ არ ესწრებოდა პროცესს.

სასამართლომ მოსარჩელის ეს მოთხოვნა სსსკ 83 მუხლის III ნაწილის უგულებელყოფით კი გაიაზრა;

• მოპასუხე მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებული არ იყო სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, სასამართლომ სსსკ 233 მუხლის I ნაწილის ა) პუნქტის უგულებელყოფით მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

• მოსარჩელეს მიუხედავად იმისა, რომ მთავარ სხდომაზე შუამდგომლობა არ ჰქონია დაყენებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, სასამართლომ სსსკ 230 I ნაწილის უგულებელყოფით მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ ხელახალი განხილვისათვის საქმე უკან დააბრუნა მხოლოდ იმ მოტივაციით, რომ

• მოპასუხე სასამართლო სხდომაზე გამოცხადებისათვის გაფრთხილებული იყო მხოლოდ ხელწერილით და მისთვის უცნობი იყო

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები, რაც საკასაციო კანონზომიერი და პოზიტიური მოქმედებაა III ინსტანციის სასამართლოს მხრიდან.

მიუხედავად ამისა, სასურველი იქნებოდა თუ III ინსტანციის სასამართლო, თანახმად საქართველოს სსკ 404 მუხლის I ნაწილისა ყურადღებას გაამახვილებდა ზემოთ აღნიშნულ სხვა დარღვევებზეც.

III ინსტანციის სასამართლოს შეეძლო ზემოაღნიშნული უხეში პროცესუალური დარღვევები არ გაეუქმებინა თანახმად სსსკ 393 მუხლის III ნაწილისა, მაგრამ ამის შესახებ არავითარი მითითება საკასაციო სასამართლოს მხრიდან არ გაკეთებულა. მითუმეტეს, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რიგორც საქმის ყოველმხრივმა, სრულმა და ობიექტურმა ანალიზმა დაგვანახა, ქვედა ინსტანციის სასამართლოს არასწორად გამოტანილი გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო პროცესუალური ნორმების არასწორ აღქმასა და პრაქტიკაში დანერგვაზე.

ამიტომაც, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე III ინსტანციის სასამართლომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებს, რამდენადაც ქვეყანაში ეს არის ის სასამართლო ინსტანცია, რომელმაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობის ერთგვაროვანი აღქმა და პრაქტიკაში დანერგვა.

## § 6. საკასაციო სასამართლოს განჩინებები და გადაწყვეტილებები

საკასაციო სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იმ შემთხვევაში მიიღებს საქმეზე გადაწყვეტილებას თუ

- საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევების გარეშეა დადგენილი;
- საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით გააუქმებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნებს, მან უნდა გამოიტანოს განჩინება, რომელშიც კონკრეტულად უნდა მიუთითოს:

- რომელი კანონი დაირღვა;
- რაში გამოიხატა კანონის დარღვევა;



• რა საპროცესო ნორმები დაირღვა საქმის ფაქტობრივი გარემოების დადგენის დროს;

- რა ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას;
- რომელი მტკიცებულებებია შეკრებილი;
- რა საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს სასამართლომ.

საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნოს იმავე ან სხვა კოლეგიას ან პალატას.

საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი პოზიციური განჩინების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს

საქმე 2/571

მოსარჩლე: X

მოპასუხე: Y

სარჩელი ეხება მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებას

აღნიშნული საქმე ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა II თვის განხილვის დროს და ამიტომ მის პერიპეტეიებზე აღარ შეგჩერდებით.

უზენაესმა სასამართლომ პოზიტიურად იმოქმედა რა საქართველოს სსკ II მუხლის I ნაწილის ა) პუნქტის ფარგლებში აღნიშნა:

• დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე სამოქალაქო და საოჯახო დავებთან ერთად შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებსაც განიხილავს სასამართლო ერთიანი წესის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლოს საქართველოს სსკ 411 მუხლის შესაბამისად არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება -

- იგი გააუქმებს მიღებულ გადაწყვეტილებას და საქმეს
- ხელახლა განსახილველად და
- გადაწყვეტილების მისაღებად დაუბრუნებს საოლქო სასამართლოს

შესაბამის კოლეგიას ან პალატას.

ამგვარად, საქმე საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლთან ერთად უკან ბრუნდება საქმის განმხილველ სასამართლოში.

აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობამ, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს დაგვანახა, რომ ახალ სამართლებრივ კონცეფციაზე დაფუძნებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ჯერ კიდევ სრულიად არ არის დანერგული სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის მიმდინარეობისას.

არასამართლებრივი გზით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უგულებელყოფით, საქმეთა განხილვა სასამართლოში განპირობებულია, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით.

ობიექტურ მიზეზებში ვგულისხმობთ იმას, რომ

- მოსამართლეები უკიდურესად გადატვირთულნი არიან საქმეებით. ერთ-ერთ მოსამართლეს ერთდროულად განსახილველად დაწერილი ჰქონდა 700 სამოქალაქო საქმე, რომ არაფერი ითქვას სისხლისა თუ სხვა კატეგორიის საქმეებზე.

მართლაცდა, ამგვარ შემთხვევებში სასამართლოების მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებაზე საუბარი ცოტა არ იყოს ზედმეტია. გამოსავალი ამ სიტუაციაში ერთადერთია - ქვეყნის სასამართლო ხელისუფლება ჩვენის ღრმა რწმენით მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდას საჭიროებს.

ამ ფრიად საჭირო პრობლემის გადაწყვეტის ხელისშემშლელი ერთ-ერთი ფაქტორი ფინანსების არ ქონა შესაძლებელია გადაიჭრას თვით სასამართლო ხელისუფლების მხრიდან იმით, რომ მათ კანონის მთელი მოთხოვნით აამოქმედონ საქართველოს სსკ V თავი.

აღნიშნული თავის ამოქმედებით დარწმუნებული ვართ, რომ ქვეყნის ბიუჯეტი დამატებით მიიღებს რამდენიმე მილიონ ლარს, რომელიც შესაძლებელი იქნება ამ პრობლემების ფინანსური მხარდაჭერისაკენ წარმართოს;

- ჯერ კიდევ დიდია, როგორც საზოგადოებაში, ასევე პროფესიონალ იურისტებს შორისაც რეფლექსური ინერციით სვლა საბჭოური სამართლებრივი კონცეფციის რელსებზე.

სუბიექტურ მიზეზთა შორის იგულისხმება ის, რომ

- მიუხედავად იმისა, რომ ახალი სამოსამართლო კორპუსი ინტელექტუალურად და პროფესიონალურად ბევრად უკეთ არის

მომზადებული ძველ კორპუსთან შედარებით, მაინც მათი მხრიდან, იშვიათია შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო საპროცესო მოქმედების კანონით განსაზღვრული წესი შეუსაბამოა სასამართლო პრაქტიკასთან.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს:

- საქმის წარმოების წესების სრულყოფილ, პროცესუალურ დაცვაზე I ინსტანციის სასამართლოებში;

- I და ზედა ინსტანციების სასამართლოების კოორდინირების საქმიანობაზე.

როგორც ნაშრომზე მუშაობისას აღვნიშნეთ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს შორის განაწილებულია ფუნქციები:

- სააპელაციო სასამართლოები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად განიხილავენ I ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და განჩინებაზე საჩივრებს;

- საკასაციო ინსტანციის სასამართლო კი განიხილავს II ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე საჩივრებს.

ამგვარად, II (სააპელაციო) და III (საკასაციო) ინსტანციის სასამართლოებს განსხვავებით I ინსტანციის სასამართლოსაგან შემდეგი ფუნქციები გააჩნიათ:

- შეამოწმონ შემოსული საჩივრების საფუძვლიანობა;
- გასაჩივრებელი გადაწყვეტილების (განჩინების) ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობა;

- გამოასწორონ I ინსტანციის სასამართლოებში დაშვებული შეცდომები;
- I ინსტანციის სასამართლოებს მისცენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმეთა განხილვის სწორი მიმართულება, რათა მათ მიერ -

- უზრუნველყოფილი იქნეს საქმეთა კანონის შესაბამისად წარმოება და განხილვა;

- ახალი სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის სწორი და ერთგვაროვანი აღქმა და ცხოვრებაში დანერგვა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ:

- სააპელაციო და განსაკუთრებით საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მითითებები გამოყენებულ უნდა იქნეს ქვემდგომი



ინსტანციის სასამართლოების მიერ ანალოგიური კატეგორიის საკმების წარმოებისას მომავალში.

სწორედ ამასი მდგომარეობს კიდევ, ორი სამართლებრივი სისტემის, საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპული სამართლის სისტემების დაახლოების ტენდენციები. რის ბაზაზეც, გარდაუვლად მიგვაჩნია სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზირება და უნიფიცირება. ამ მხრივ ნაშრომის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება იქნა ჩვენს მიერ გამახვილებული.

ნაშრომში, ჩვენს მიერ, შესაძლებლობისდა მიხედვით - შესაბამისი პრაქტიკის ანალიზზე დაფუძნებით, წარმოდგენილი იქნა ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლითაც შეიძლება გადაიჭრას, ის უთანხმოება და პრეტენზია, რომელსაც გამსაჩივრებელი (აპელანტი ან კასატორი) აწყდება სასამართლო ინსტანციებს შორის საქმის გარჩევის დროს.

ნაშრომის გამოცემა არის მცდელობა იმისა, რომ შეივსოს ის ვაკუუმი, რომელიც სამოქალაქო პროცესუალური მეცნიერების თეორიასა და პრაქტიკას შორის არის.

რა თქმა უნდა, ნაშრომი დაზღვეული არ იქნება გარკვეული სახის კონცეპტუალურ შეუსაბამოებთან პრაქტიკაში მოღვაწე იურისტების შეხედულებებთან. ამიტომაც, მზად ვართ ნებისმიერი სახის კეთილი რჩევის გათვალისწინებისათვის. პრინციპულ საკითხთა შორის უთანხმოების შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ, ამ საკითხის გადაჭრა მოხდეს საჯაროდ - ღია, სამართლებრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ელემენტების გათვალისწინებით.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2001
2. თ. ლილუაშვილი სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბილისი 2001
3. ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაში. საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები. თბილისი, 1977.
4. ლილუაშვილი თ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 1992.
5. ლორთქიფანიძე ნ. საქმეთა სამოქალაქო საპროცესო სამართალი /სასწავლო მეთოდური მითითებანი/ თბილისი, 1966.
6. საქართველოს კანონი "საერთო სასამართლების შესახებ".
7. საქართველოს კონსტიტუცია.
8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
9. ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი. 1997.
10. Васьковский. Курсъ гражданского процесса, Т-1 СПб, 1913.
11. Гражданский процессуальный кодекс РСФСР.
12. Гражданское процессуальное право и структура судов в Венгрии, COLPY, Budapest, 1997.
13. Грицанов А.С. Вопросы кассационного производства по гражданским делам: В кн. Проблемы повышения эффективности правового регулирования на современном этапе. Вып. I, Томск, 1976.  
Кассационное производство в советском гражданском процессе. Томск, 1969.
14. Гукасян Р.Е. Влияние материально правовых отношений на форму процесса в искомом производстве. Вопросы теории и практики гражданского процесса. вып. I, Саратов, 1976.
15. Давид Р. Основные правовые системы современности. М., 1988.
16. Евтодьева И.А. Принцип диспозитивности и состязательности советского гражданского процессуального права: Автореферат диссертации на соискание ученой степени к.ю.н., М., 1983.
17. Жюлио деля Морандьер. Гражданское право Франции. Т-II, 1960.

18. Калмыцкий В.С. Правовое положение суда второй инстанции как субъекта советского гражданского процессуального права.

Полномочия суда второй инстанции как субъекта гражданского процессуального права. В кн. Актуальные проблемы советского гражданского и трудового права. Уфа, 1975.

Суд второй инстанции в советском гражданском процессе. Учебное пособие. Уфа. 1983.

19. Комисаров К.И. Полномочия суда второй инстанции в гражданском процессе. М., 1961.

20. Концепция судебной реформы в РФ. М., 1992.

21. Костарева Т.А. О судебной системе ФРГ. Ж. Российского права, №8, 1997.

22. Кузнецов П.У. Возбуждение кассационного производства по гражданским делам. В кн. Проблемы гражданского процессуального права в свете Конституции СССР. Свердловск, 1980.

23. Лесницкая Л.Ф. Пересмотр решения суда в кассационном порядке. М., 1974.

24. Лилуашвили Т.А. Предмет доказывания и распределения бремени доказывания между сторонами в советском гражданском процессе: Автореферат диссертации на соискание ученой степени к.ю.н. М., 1961.

25. Логинов П.В. О понятии принципов гражданского процессуального права. Вестник МГУ, Серия XI: "Право" №3. 1985.

26. Малышев К.И. Курс гражданского производства. СПб. Т-2, 1874.

27. Мурадян Э.М., Тихиня В.Г. Оптимальное судопроизводство по гражданским делам. Минск, 1989.

28. Носенко А.И. Право кассационного обжалования судебных решений по гражданским делам: "Проблемы совершенствования применения советского законодательства", Орджоникидзе, вып. I, 1977.

29. Попов М. Верховный кассационный суд Италии. Вестник Верховного суда СССР, № 12, 1991.

30. Правовые системы мира под редакцией А.Ф.Черденцева. Екатеринбург. 1995.

31. Пучинский В.К. Понятие и источники гражданского процессуального права Англии США Франции М 1988



32. Резниченко И. Расширить полномочия суда второй инстанции в гражданском процессе. Сов.Юстиция. М., №18, 1989.
33. Решетников Ф.М. Правовые системы стран мира. Справочник. М., 1983.
34. Решетникова И.В. Доказательственное право Англии и США. Екатеринбург, 1997.
35. Решетникова И.В. Общая характеристика судопроизводства зарубежных стран. Гражданский процесс. М., 1995.
36. Саидов А.Х. Введение в сравнительное правоведение. М., 1988.
37. Семенов В.М. Конституционные принципы гражданского судопроизводства. М., 1982.
38. Тараненко В.Ф. Принцип диспозитивности и состязательности в советском гражданском процессе. М., ВЮЗИ, 1990.
39. Уильям Бернам. Введение в право и правовую систему США. Budapest, Hungary /COLPY/ 1997.
40. Харрелл М., Андерсон Б. Равное правосудие на основе закона. Верховный суд в жизни Америки. М., 1995.
41. Хвостов В.М. История Римского права. М., 1919.
42. Щербан Н. Суд, магистратура и адвокатура во Франции. Русский Вестник №5, 1858.
43. Цвайгер К., Кетц Х. Введение в сравнительное правоведение в сфере частного права. Т-1. Основы. М., 1995.
44. Anderson T., Twining W. Analysis of Evidence. Boston; Toronto; London, 1991.
45. Arminjon, Noldo, Wolf-Traite de droit compare I (1950).
46. Artur M. Schlesinger. Comparative Law. Cases, Text, Materials / ed.4. Mineola, N.Y. 1997.
47. Banerjee B.N. Law of civil appeals and revision 3<sup>nd</sup> ed In 2 vol. Allahabad, Law book, 1974.
48. Bayles M.D. Principles of Law: A normative analysis. Dordrecht /Boston/, Lancaster /Tokyo/ 1934.
49. Benjamin Kaplan, Civil Procedure - Reflections on the Comparason of Systems, 9 Buffalo 4. Rev.409/1992/.
50. Bentele U. Cary E. Appellate advocacy: principles and practice; Cases a materials - Cincinnati: Anderson, 1990, XVIII.



51. Berlins M., Dier C., Law Machine, L., 1989.
52. Best A. Evidence. Examples and Explanations. Boston: New York: Toronto: London 1994.
53. Charles Alan Wright, Hornbook on the Law of Federal Courts, 5<sup>th</sup> ed /West 1994/.11. Daniel J. Meador, American Courts /West 1991/.
54. Daniel J.Meador, American Courts /West 1991/
55. Daniel J. Meador & Jordana S.Bernstein, Appellate Court in the United States /West 1994/
56. Deliseli R.I. Evidence. Principles and Problems 2<sup>nd</sup> ed. Toronto, 1989.
57. Egglestone R.Evidence, Proof and probability 2<sup>nd</sup> ed, 1983.
58. Eisenlerd and Henderson. The Quiet Revolution in Product Liability: An Empirical Study of legal Change, 37 U.C.L.A.L. Rev 479 /1995/.
59. Ervin Chemerinsky, Federal Jurisdiction, 2<sup>nd</sup> ed (Little, Brown & Co. 1994).
60. Fleming James, Ir., Geoffrey C. Hazard, Ir, & John Leubsdorf Civil procedure, 4<sup>th</sup> ed /Little, Brown 1992/.
61. Frank J. Courtson trial: Muth and reality in American justice. Princeton, 1973.
62. Freund P.A. - On Law and Justic. Cambridge /Mass/ 1968.
63. Gene R Shreve & Peter Raven-Hansen, Understading Civil Procedure 2<sup>nd</sup> ed /Matthew Bender 1994/.
64. Harry Teply & Ralph U. Whitten, Civil Procedure /Foundation, 1994/
65. Heary J. Abraham, The Judicial Process 6<sup>th</sup> ed /oxford U.Press N.Y. 1996/.
66. International Encyclopedia of Corporative Law; Volume XVI, Civil Procedure; Chapter 8; Attacks on Judicial Decisions, Boston-London, 1996.
67. Jack H. Friedenthal, Mary Kay Kane, and Arthur R. Miller, Hornbook on Civil Procedure, 2<sup>nd</sup> ed /West 1993/
68. Jacob J. The reform of civil procedural Law and other essays in civil procedure. L. 1992.
69. John Merriman, The Civil Law Tradition, 2d ed 116 / Stanford University Press' Press 1997/.

70. John Thibaut and Laurens Walker, *Procedural Justice Psychological Analysis*. 1992.
71. J.Law & Public Policy 129 (1993).
72. Jolowic J.A. Active role of the court /Capelleti M., Jolowic J.A. Public interest parties and the active role of the judge in civil litigation. Milano, 1975.
73. Joseph W. Clannon, *Civil Procedure: Examples and Explanations*, 2<sup>nd</sup>ed /Little, Brown 1992/.
74. Leah Brilmayer, *Conflict of Laws: Foundations and Future Directions* /Little Brown 1991/.
75. Malmstrom. The sistem of legal systems. Notes on a problem of classification in comparative Law /Scand Stud. 1.13./1969.
76. Martin M.M. Basic problems of Evidence. The American Law Institute, 1988.
77. Marvin Frankel, *Partrisan Justice* /Hill & Wang 1990/.
78. Mc Ewan J.Evidence and the adversarial process: The modern Law. Oxford, 1992.
79. Nancy Pennigton and Reid Hastie; *The Story Model of Joror Decision Making in Reid Hastle*, ed Inside de Juror 192-221 / Cambridge University Press 1993/.
80. Peter Hay & Ronald Rotunda, *The American Federal sistem* /Giuffze, Milan, Italy and Oceana Press. Poblis Fery. N.Y. 1992/
81. Redish M.H The pragmatic approach to appelability in the federal courts. "Colombia law new N.Y. 1975, vol. 75, №1.
82. Robert A. Sedler, *Across State Lines: Appluing the Conflict of Laws in Your Practice 42-43* /ABA Section of General Practice 1996/
83. Roger C. Park & Douglas D. McFariang, *Computer-Aided Exercises on Civil Procedure* /West, 1996/
84. Rita Sutton, *A More Rational Approach to Complex Civil Litigation in the Federal Courts: The Special Jory*, 1995, U.Chi.Legal Forum 575.
85. Russell J. Weintraub, *Commentary on Conflict of Laws* /Foundation Press 1986, 1991/.
86. Steven Landsman, *Readings in adversarial justice: the American approach to adjudication* / American Bar Assotiation Section on Litigation/ West Publishing 1997.
87. Supreme Court practice News 1990. Issue 1.



88. Talley-Morris N.B. **Appelate civil practice and procedure handbook**. Englewood cliffs (N.I) Prentice-Hall, 1975.
89. **The Suprem Court Practice /White Book/ Vol.1. 1992.**
90. William J.Pirri and Luca Marafioti. **The New Italian Code of Criminal Procedure: the difficulties of Building on Adversarial Trial on a Civil Law Foundation**, 17 Yale J.Int' l.L.1,31(1992)
91. Willian M. Richmen & Willian L. Regnolds, **Understanding Conflict of Laws /Mathew Bender 1993/.**
92. Zande M. - **Cases and Materials on the English legal Sistem. L. 1988.**
93. Artur M. Schlesinger. **Comparative Law. Cases, Text, Materials / ed.4. Mineola, N.Y. 1997.**
94. Frank J. Courtson **trial: Muth and reality in American justice. Princeton, 1973.**
95. **International Encyclopedia of Corporative Law; Volume XVI, Civil Procedure; Chapter 8; Attacks on Judicial Decisions, Boston-London, 1996.**
96. Jolowic J.A. **Active role of the court /Capelleti M., Jolowic J.A. Public interest parties and the active role of the judge in civil litigation. Milano, 1975.**

ინტერნეტთან ამოკრეფილი მასალა

**Internet Sources**

<http://www.law.cornell.edu/rules/frcp/overview.htm>

**Federal Rules of Civil Procedure (2001) (USA)**

I. SCOPE OF RULES--ONE FORM OF ACTION

II. COMMENCEMENT OF ACTION; SERVICE OF PROCESS, PLEADINGS, MOTIONS, AND ORDERS

III. PLEADINGS AND MOTIONS

IV. PARTIES

V. DEPOSITIONS AND DISCOVERY

VI. TRIALS

VII. JUDGMENT

## VIII. PROVISIONAL AND FINAL REMEDIES

## IX. SPECIAL PROCEEDINGS

## X. DISTRICT COURTS AND CLERKS

## XI. GENERAL PROVISIONS

### I. SCOPE OF RULES--ONE FORM OF ACTION

- 1. Scope of Rules
- 2. One Form of Action

### II. COMMENCEMENT OF ACTION; SERVICE OF PROCESS, PLEADINGS, MOTIONS, AND ORDERS

- 3. Commencement of Action
- 4. Summons
- 4.1. Service of Other Process
- 5. Service and Filing of Pleadings and Other Papers
- 6. Time

### III. PLEADINGS AND MOTIONS

- 7. Pleadings Allowed; Form of Motions
- 8. General Rules of Pleading
- 9. Pleading Special Matters
- 10. Form of Pleadings
- 11. Signing of Pleadings, Motions, and Other Papers; Representations to Court; Sanctions
- 12. Defenses and Objections--When and How Presented--By Pleading or Motion--Motion for Judgment on the Pleadings
- 13. Counterclaim and Cross-Claim
- 14. Third-Party Practice
- 15. Amended and Supplemental Pleadings
- 16. Pretrial Conferences; Scheduling; Management

### IV. PARTIES

- 17. Parties Plaintiff and Defendant; Capacity
- 18. Joinder of Claims and Remedies
- 19. Joinder of Persons Needed for Just Adjudication
- 20. Permissive Joinder of Parties
- 21. Misjoinder and Non-Joinder of Parties

- 22. Interpleader
- 23. Class Actions
- 23.1. Derivative Actions by Shareholders
- 23.2. Actions Relating to Unincorporated Associations
- 24. Intervention
- 25. Substitution of Parties

## V. DEPOSITIONS AND DISCOVERY

- 26. General Provisions Governing Discovery; Duty of Disclosure
- 27. Depositions Before Action or Pending Appeal
- 28. Persons Before Whom Depositions May Be Taken
- 29. Stipulations Regarding Discovery Procedure
- 30. Deposition Upon Oral Examination
- 31. Depositions Upon Written Questions
- 32. Use of Depositions in Court Proceedings
- 33. Interrogatories to Parties
- 34. Production of Documents and Things and Entry Upon Land for Inspection and Other Purposes
- 35. Physical and Mental Examination of Persons
- 36. Requests for Admission
- 37. Failure to Make or Cooperate in Discovery; Sanctions

## VI. TRIALS

- 38. Jury Trial of Right
- 39. Trial by Jury or by the Court
- 40. Assignment of Cases for Trial
- 41. Dismissal of Actions
- 42. Consolidation; Separate Trials
- 43. Taking of Testimony
- 44. Proof of Official Record
- 44.1. Determination of Foreign Law
- 45. Subpoena
- 46. Exceptions Unnecessary
- 47. Selection of Jurors
- 48. Number of Jurors--Participation in Verdict
- 49. Special Verdicts and Interrogatories



- 50. Judgment as a Matter of Law in Jury Trials; Alternative Motion for New Trial; Conditional Rulings
- 51. Instructions to Jury; Objection
- 52. Findings by the Court; Judgment on Partial Findings
- 53. Masters

## VII. JUDGMENT

- 54. Judgments; Costs
- 55. Default
- 56. Summary Judgment
- 57. Declaratory Judgments
- 58. Entry of Judgment
- 59. New Trials; Amendment of Judgments
- 60. Relief from Judgment or Order
- 61. Harmless Error
- 62. Stay of Proceedings to Enforce a Judgment
- 63. Inability of a Judge to Proceed

## VIII. PROVISIONAL AND FINAL REMEDIES

- 64. Seizure of Person or Property
- 65. Injunctions
- 65.1 Security: Proceedings Against Sureties
- 66. Receivers Appointed by Federal Courts
- 67. Deposit in Court
- 68. Offer of Judgment
- 69. Execution
- 70. Judgment for Specific Acts; Vesting Title

## 71. Process in Behalf of and Against Persons Not Parties

[http://www.leginfo.ca.gov/html/ccp\\_table\\_of\\_contents.html](http://www.leginfo.ca.gov/html/ccp_table_of_contents.html)

## THE CODE OF CIVIL PROCEDURE OF CALIFORNIA

### Part 1. Of courts of justice

title 1. Organization and jurisdiction

title 2. Judicial officers

part 2. Of civil actions

- title 1. Of the form of civil actions
- title 2. Of the time of commencing civil actions
- title 3. Of the parties to civil actions
- title 3a. Vexatious litigants
- title 5. Jurisdiction and service of process
- title 6. Of the pleadings in civil actions
- title 7. Other provisional remedies in civil actions
- title 7a. Pretrial conferences
- title 8. Of the trial and judgment in civil actions

<http://www.iuscomp.org/gla/literature/access.htm>

Access to Justice: an Anglo-German Comparison

**Gerhard Dannemann**

<http://www.iuscomp.org/gla/literature/foreignlaw.htm>

Establishing Foreign Law in a German Court\*

<http://www.iuscomp.org/gla/literature/daad93/daad93-1.htm>

GERMAN LAW IN ENGLISH

A SELECT BIBLIOGRAPHY

1. Law in general
2. Comparative law. Unification of law
33. Civil procedure

<http://www.iuscomp.org/gla/>

**GERMAN LAW ARCHIVE**

Civil Procedure and Insolvency

- General Procedure and Civil Procedure in General
- Contentious Litigation Contentious Litigation
- Non-Contentious Jurisdiction Non-Contentious Jurisdiction

- Arbitration Arbitration
- Enforcement Enforcement and Execution of Decisions
- Insolvency Law Bankruptcy, Receivership, Administration

<http://www.japanlaw.co.jp/procedure/civilcode.html>

## THE CODE OF CIVIL PROCEDURE OF JAPAN

### BOOK 1 GENERAL PROVISIONS

#### Chapter 1 general rules

#### Chapter 2 court

#### chapter 3 parties

#### section 1 capacity to be a party and capacity for suit

#### section 2 joint suit

### 1. Civil Justice Reform Act

#### Commentary

Anderson, John L. et al. The 1990 Civil Justice Reform Act: a case study of the Eastern District of Washington. 30 Gonz. L. Rev. 53-66 (1994/95).

Dessem, R. Lawrence, Judicial reporting under the Civil Justice Reform Act: look, Mom, no cases! 54 U. Pitt. L. Rev. 687 (1993)

Johnston, Patrick. Civil justice reform: juggling between politics and perfection. 62 Fordham L. Rev. 833-882 (1994).

Mullenix, Linda S. Unconstitutional rulemaking: the Civil Justice Reform Act and separation of powers. 77 Minn. L. Rev. 1283-1338 (1993).

Symposium on Civil Justice Reform. 46 Stan. L. Rev. 1285-1634 (1994).

Congress and the Courts: our mutual obligation.....

.....Senator Joseph R. Biden, Jr. 1285

Preliminary observations on implementation of the pilot program of the Civil Justice Reform Act of 1990

.....Terence Dunworth & James S. Kakalik 1303

"Most cases settle": judicial promotion and





- regulation of settlements..Marc Galanter & Mia Cahill 1339
- A process model and agenda for civil justice reforms  
in the States.....Edward F. Sherman 1553
- Symposium: The Civil Justice Reform Act. 67 St. John's L. Rev. i-vi, 705-922  
(1993).
- Introduction.....Sen. Joseph R. Biden, Jr. i
- Reforming civil forfeiture law: the case for an  
automatic stay provision.....Gary R. Brown 705
- The Civil Justice Reform Act of 1990 and the 1993  
Amendments to the Federal Rules of Civil Procedure:  
can systemic ills afflicting the federal courts be  
remedied by local rules?.....Edward D. Cavanagh 721
- Judicial vacancies and delay in the federal courts:  
an empirical evaluation.....Kim Dayton 757
- The role of the federal magistrate judge in civil  
justice reform.....R. Lawrence Dessem 799
- Symposium: Reinventing Civil Litigation: Evaluating Proposals for Change. 59  
Brook. L. Rev. 655-1224 (1993).
- Foreword..... 655
- New paradigm, normal science, or crumbling construct?  
